საერთო საქმე

№6 (598) • 24 თებერვალი, 2021წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.50 ლარი

„ნაცმოძრაობა“, როგორც ფაშისტურ-კრიმინალური ორგანიზაცია, „ნაცმოძრაობა“, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, „ნაცმოძრაობა“, როგორც ოკუპანტთან შეკრული ძალა, უნდა აიკრძალოს!!!

გუშინ, 23 თებერვალს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, ნიკანორ მელიას დაკავებით და „ნაცმოძრაობის“ ოფისზე განხორციელებული სპეცოპერაციით, ნათლად და მკაფიოდ თქვა ის, რაც გუშინ კი არა, გუშინწინ, ერთი წლის წინ, თუნდაც რვა წლის წინ უნდა ეთქვა: „ქართული ოცნება“ „ნაცმოძრაობას“, მკვლელების, სადისტების, მოღალატეების, მოძალადეების პარტიას, საქართველოს არ დაუთმობს!

გუშინ, 23 თებერვალს, დაიწყო აღსრულება იმ მოთხოვნისა, რასაც ქართველი ხალხი რვა წელია დაჟინებით ითხოვს: აილაგმოს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელსაც კატეგორიულად არ სურს მშვიდობა, არ სურს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები — მას სურს რევოლუცია, ამბოხი, სამოქალაქო დაპირისპირება და ამ ფონზე ხელისუფლებაში დაბრუნება.

ე.წ. „ვარდების რევოლუციით“, ანუ წმინდა წყლის სახელმწიფო გადატრიალების გზით ხელისუფლებაში მოსული „ნაცმოძრაობა“ არასდროს ყოფილა პოლიტიკური ორგანიზაცია – ის ტერორისტული ორგანიზაციაა, რომელიც 17 წელია საქართველოს და ქართველ ხალხს ატერორებს.

ის იყო და არის ოკუპანტი ქვეყნის მეხუთე კოლონა, რომელმაც საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპანტს უფეშქაშა.

„ნაცმოძრაობა“ დღესაც ოკუპანტის თამაშს თამაშობს და მის დავალებებს ასრულებს.

მივმართავ საქართველოს ხელისუფლებას: გაადგებინეთ მთელ მსოფლიოს, რომ ის, რაც დღეს ხდება საქართველოში, ეს არის 2019 წლის 20 ივნისს დაწყებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის გაგრძელება, ეს არის კარგად ორგანიზებული და უხვად დაფინანსებული დიდი შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, რომელსაც ზურგს ოკუპანტი უმაგრებს.

ამ დიდ შეთქმულებას მხოლოდ მელია არ წარმოადგენს, მის ორგანიზატორთა რიგებში საკმაოდ ბევრი ავანტურისტი მოიაზრება.

ამხილეთ და კანონის მიხედვით იმოქმედეთ ამ ადამიანების კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღსაკვეთად.

დაბოლოს, „ნაცმოძრაობა“, როგორც ფაშისტურ-კრიმინალური ორგანიზაცია, „ნაცმოძრაობა“, როგორც ტერორისტული ორგანიზაცია, „ნაცმოძრაობა“, როგორც ოკუპანტთან შეკრული ძალა, უნდა აიკრძალოს!!!

არც ერთი ნაბიჯი უკან!

ჩვენს უკან საქართველოა!

„საერთო საქმე“ – ფაფუკი ამოაფრქვევს ამოთხვევისთვის

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება - ნოკაუტი ნაცმოძრაობისთვის

ირაკლი ღარიბაშვილი ის კაცია, რომელიც არც დემოკრატიულ ღირებულებებს ხელყოფს, მაგრამ არც სამშობლოს დააჩაგვრინებს ვინმეს

არ დავმალავ — ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერ-მინისტრად დაბრუნება ძალიან გამიხარდა.

ძალიან გამიხარდა არა იმიტომ, რომ მის წინამორბედზე რაიმეთი ნაწყენი ვიყავი, არამედ იმიტომ, რომ, მოცემულ სიტუაციაში, ეს არის ყველაზე ზუსტი და სწორი საკადრო გადაწყვეტილება, რითაც, ჩემი აზრით, ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის არსებული კონფრონტაცია და დაპირისპირება ნელ-ნელა ჩაცხრება და ნორმალურ ნიშნულს დაუბრუნდება.

მართალია, ვიღაც-ვიღაცები საპირისპიროს ამტკიცებენ და შეშფოთებით ამბობენ, რომ ღარიბაშვილი ხისტი ბუნების ადამიანია და ამ თავისი ხასიათის წყალობით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობას კიდევ უფრო მწვავეს და აგრესიულს გახდის. სიტუაციის განსამუხტად კარგი მომლაპარაკებელი გვჭირდება და არა ისეთი აგრესიული პოლიტიკოსი, როგორიც ღარიბაშვილიაო.

ოპოზიციასთან მოლაპარაკებებს ხელისუფლება დიდი ხანია აწარმოებს, ხან მარტო, ხან — ფასილიტატორ ელჩებთან ერთად, მაგრამ ამ მოლაპარაკებებიდან არაფერი გამოვიდა.

მოსახლეობას დიდი ხანია ყელში ამოუვიდა ეს არაფრისმომცემი და არაფრისმთქმელი პოლიტიკური შაირობა და კაფიაობა ორ მხარეს შორის, რომელსაც არანაირი კონკრეტული შედეგი არ მოჰყოლია და, როგორც ჩანს, არც მოჰყვება.

კარგი მომლაპარაკებელი კარგია, მაგრამ დღეს, შექმნილ სიტუაციაში, კარგ მომლაპარაკებელზე უფრო მეტად გვჭირდება პრინციპული, მტკიცე ნებისყოფის, შინაგანდ უშიშარი პოლიტიკოსი ხელისუფლებიდან, რომელიც იმოქმედებს არა ოპოზიციის მიერ შემოთავაზებული თვალთმაქცური და ფარისევლური დღის წესრიგის მიხედვით, არამედ იმოქმედებს კანონის მიხედვით და არავითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს ამ კანონებიდან.

ირაკლი ღარიბაშვილი სწორედ ასეთი კაცია — უშიშარი, პრინციპული, მართალი, კანონის პატივისმცემელი.

რვა წელია ოპოზიციას თავზე ხელს ვუსვამთ, ენის მოჩლექით, დაყვავებით ვესაუბრებით, ტკბილ-ტკბილ დაპირებებს ვაძლევთ, მაგრამ ამაოა ეს ყველაფერი.

საქართველოს ხელისუფლების აქილევსის ქუსლი, მისი სუსტი მხარე, ეს არის ოპოზიციისადმი, ცოტა არ იყოს, ზედმეტად ლოიალური და, ამავე დროს, შემოქმედებითი მიდგომა, რის გამოც, ზოგჯერ, დამნაშავე იმ მუხლით არ ისჯება, რასაც ის ჩადენილი დანაშაულის გამო იმსახურებს.

ასეთმა მიდგომამ ოპოზიციას დაუსჯელობის სინდრომი გაუჩინა, გარყვნა, გააზულუქა და, ფაქტობრივად, იმ უზნეო ბავშვს დაამსგავსა, რომელიც იმიტომ ტირის, რომ გასდის.

ქართული ოპოზიცია „ტირის“, „ზლუქუნებს“ და გულაჩვილებული ელჩები, დემოკრატიული ინსტიტუტების წარმომადგენლები მათ დაწყნარებასა და დამშვიდებაში უამრავ დროსა და ენერგიას ხარჯავენ.

ამასწინათ მელიამ ხელისუფლებას უსაყვედურა: ახლა რომ მიჭერთ, მაშინ რატომ არ დამიჭირეთ, როცა დასაჭერი ვიყავიო?

მსგავსი საყვედურები სხვებსაც ბევრჯერ უთქვამთ ხელისუფლების მისამართით და მისი უმოქმედობა მისი უნიათობითა და უუნარობით აუხსნიათ და არა მისი ჰუმანურობითა და კაცთმოყვარული ბუნებით.

სხვა გზა არ არის — სადღაც უნდა გავჩერდეთ და ყველამ, ხელისუფლებამ, ოპოზიციამ, რიგითმა მოქალაქემ, კანონის მიხედვით ცხოვრება უნდა დავიწყოთ, თუ გვინდა, რომ ცივილური, დემოკრატიული, სამართლიანი და სამართლებრივად მოწესრიგებული სახელმწიფო გვქონდეს.

თვალის ჩაპაჭუნებით, უდროო დროს ბოდიშების მოხდით, ზედმეტად ლოიალური და მაამებლური პოლიტიკით, სახელმწიფო არსად არასოდეს აშენებულა და არც ჩვენთან აშენდება.

ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: არ შეიძლება დემოკრატია ბორკილებად გვექცეს, არ შეიძლება მხოლოდ დემოკრატიას ვიცავდეთ და არ ვიცავდეთ საკუთარ სახელმწიფოს, საკუთარ სამშობლოს.

ირაკლი ღარიბაშვილი ის კაცია, რომელიც არც დემოკრატიულ ღირებულებებს ხელყოფს, მაგრამ არც სამშობლოს დააჩაგვრინებს ვინმეს და, რაც მთავარია, იმოქმედებს კანონის მიხედვით, რაც, როგორც ზემოთ ვთქვი, წინაპირობა იქნება იმისა, რომ ხელისუფლებასა და თავგასულ, კანონის ჩარჩოებიდან გასულ, პროვოკატორ ოპოზიციას შორის ნელ-ნელა აღსდგეს ურთიერთობის ცივილური ფორმები.

გიორგი გახარია ისე წავიდა დაკავებული თანამდებობიდან, რომ ვერ აღასრულა მთავარი პირობა, რომელიც მან ქართველ ხალხს მისცა: ესენი („ნაცმოძრაობას“ გულისხმობდა) არიან კრიმინალები, ქართველი ხალხის მტრები, მაგრამ ჩვენ ამათ არჩევნებში დავასრულებთო.

გახარიას პრემიერობის დროს არჩევნებში დავასრულეთ და დავამთავრეთ კი არა, „ნაცმოძრაობა“ კიდევ უფრო გაძლიერდა.

არ ვიცი, რატომ და რა მიზეზებით მოხდა ეს, ან რა წვლილი მიუძღვის ამაში გატონ გახარიას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

არადა, თუ გვინდა, ქართული სახელმწიფო შედგეს, „ნაცმოძრაობა“ რომ უნდა დასრულდეს, ეს ეჭვს არ იწვევს.

მერწმუნეთ, დამიჯერეთ: თუ „ნაცმოძრაობას“ არ დავასრულებთ, ის დაასრულებს საქართველოს!

„ნაცმოძრაობის“ დასრულებაზე როცა ვსაუბრობ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი „ნაცმოძრაობა“ ციხეში ჩავყაროთ, ნაციონალებზე, როგორც კუდიანებზე, ნადირობა გამოვაცხადოთ, ვცემოთ, დავასახჩროთ, ვაწამოთ ისე, როგორც ისინი გვიკეთებდნენ ჩვენ, დანარჩენ ქართველებს.

ეს არა, მაგრამ ნაციონალები ბოლომდე უნდა ვამხილოთ და საქართველოსაც და დანარჩენ მსოფლიოსაც დოკუმენტურად, სათანადო მასალებით და მტკიცებულებებით, ბოლომდე უნდა ვუთხრათ სიმართლე იმ შემზარავ დანაშაულებათა შესახებ, რაც „ნაცმოძრაობას“ და მის ლიდერს საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე აქვთ ჩადენილი.

— კი, მაგრამ, ხომ ვამბობთ ამ სიმართლეს და მეტი რა ვქნათო? — შემომედავებიან, ალბათ.

არა, არა, ეს მხოლოდ ნახევარი სიმართლეა, ისიც ალაგ-ალაგ შეფერადებული და რეტუშირებული.

კარგად რომ დავაკვირდეთ და სერიოზულად რომ დავუფიქრდეთ იმას, რაც საქართველოს პოლიტიკური თეატრის სცენაზე აქამდე ხდებოდა, ეს საქართველოს სირცხვილი იყო, თუმცა არა მარტო საქართველოს, არამედ იმ საერთაშორისო დემოკრატიული თანამეგობრობის სირცხვილიცა, რომლის წარმომადგენლებიც არაინფორმირებულობის თუ სხვა მიზეზების გამო, ზოგჯერ, თავგამოდებით ესარჩლებოდნენ იმ ფაშისტურ-კრიმინალურ ძალას, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ ჰქვია.

ამასწინათ დიქტატორ იდი ამინზე, უგანდის ყოფილ პრეზიდენტზე, დოკუმენტური ფილმი ვნახე.

ვერ წარმოიდგენთ, როგორ ჰგვანან ერთმანეთს იდი ამინი და მიხეილ სააკაშვილი, მათ შორის ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ერთი შავკანიანია, მეორე — თეთრი, მაგრამ სული ორივეს ნახშირივით შავი აქვთ და ორივეს უამრავი შავი საქმე აქვს ნაკეთები.

როდის გადაიღებენ ქართველები „ქართველ“ იდი ამინზე, მიხეილ სააკაშვილზე, დოკუმენტურ ფილმს და როდის აჩვენებენ მსოფლიოს, თუ ვინ არის, სინამდვილეში, კაცი, რომელიც დემოკრატიის შუქურა ეგონათ?

სხვათა შორის, აფრიკის დემოკრატიის შუქურას ეძახდნენ იდი ამინსაც, რომელიც ბოლოს სააკაშვილივით ქვეყნიდან გაიქცა.

●

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება პრემიერ-მინისტრად იმითაც არის სიმბოლური, რომ წესით და რიგით, სწორედ მან უნდა დაამთავროს ბიძინა ივანიშვილის და ქართველი ხალხის მიერ დაწყებული „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკური ველიდან გაყვანის პროცესი, რომელიც 2012 წელს დაიწყო და რომელიც, ჯერჯერობით, ბოლომდე არ არის მიყვანილი.

დარწმუნებული ვარ, ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად ის ადამიანებიც დაბრუნდებიან ქართულ პოლიტიკაში, რომელთა თავგანწირვის და თავდადების შედეგად გახდა შესაძლებელი „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება.

თუ თავს არ მოვიტყუებთ, ცხადია, რომ „ნაცმოძრაობას“ არავითარი რიგგარეშე არჩევნები არ აინტერესებს, ეს ყველაფერი ბლეფია — „ნაცმოძრაობას“, სინამდვილეში, ქაოსი, არეულობა, დესტაბილიზაცია სურს, რომ მღვრიე წყალში ოქროს თევზი დაიჭიროს.

„ნაცმოძრაობამ“ ომი გამოუცხადა საქართველოს და მთელ ქართველ ხალხს.

ყველაფერი კარგად იქნება — ამ ომში აუცილებლად საქართველო გაიმარჯვებს!

ვახტანგ ხარჩილავა

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სააკაშვილის „შესტიორკა“

„გმირი“ ნიკანორ მელია – ზონდერი, აღმასრულებელი ბიუროს ყოფილი უფროსი და პროფესიონალი პროვოკატორი

— გმირი გაგვიზრდია, — უთხრა აღტაცებულმა მამა ანზორმა დედა ნანას, ნაცების ოფისში გამაგრებული ნიკანორი რომ ნახა ტელევიზორში, რომელიც მოხალისე დამცველების მხარდაჭერით გულმოცემული, ხაფი ხმით გაიძახოდა: არ გადავიხდი და ვერ დამიჭერთო.

იმედები უნდა გაგიცრუოთ, მამა ანზორ — თქვენი შვილი გმირი კი არა, სააკაშვილის „შესტიორკაა“, რომელიც სააკაშვილის ბრძანებებს ასრულებს და ამას არც მალავს — მე ყველაფერს სააკაშვილთან შეთანხმებით ვაკეთებო, — თავად ბრძანა ამასწინათ, თქვენ რომ გმირი გგონიათ, იმ ჯელმა.

„შესტიორკობა“, ზოგადად, ცუდი რამ არის, მაგრამ სააკაშვილის „შესტიორკობა“ მთლად საშინელებაა.

როცა სააკაშვილის „შესტიორკობაზე“ თანხმდები, უნდა იცოდე, რომ ყველა იმ დანაშაულის თანამონაწილე და თანაავტორი ხდები ავტომატურად, რაც მას ჩაუდენია.

ასე რომ, უმძიმესი ცოდვები აქვს წამოკიდებული ზურგზე თქვენს „გმირ“ შვილს, მამა ანზორ და სანამ ის იქ, „ნაცმოძრაობაში“ არის, ეს ცოდვები სააკაშვილთან ერთად მანაც უნდა ზიდოს, მერე კი, როცა დრო მოვა, მანაც სააკაშვილთან ერთად უნდა აგოს პასუხი.

არადა, ეს დრო აუცილებლად მოვა, მამა ანზორ და თქვენ, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილებით დახუნძლულმა კაცმა, არ შეიძლება ეს არ იცოდეთ.

როგორც თქვენი კოლეგები ამბობენ, თავის დროზე თქვენც შევარდნაძის კაი მამალი „შესტიორკა“ იყავით და სწორედ ამით მიაღწიეთ დასახულ მიზანს.

სწორედ ამაზეა ნათქვამი — „კვიცი გვარზე ხტისო“.

თქვენ გგავთ თქვენი „კვიცი“, მამა ანზორ, თქვენ კიდევ გმირობისა არაფერი გცხიათ.

კი, ერთ-ერთი გმირობა კი გაქვთ ჩადენილი 2012 წელს, ზუგდიდში, „ქართული ოცნების“ მიტინგზე, ხეს ვიყავი ამოფარებული და ისე ვუსმენდი ბიძინა ივანიშვილის გამოსვლასო, — თქვით ერთ-ერთ ინტერვიუში.

სულ რაღაცას ეფარებით თქვენ და თქვენი შვილი — თქვენ ერთ ხეს, ის მეორე ხეს და ასე მოფარებულიდან გვიმტკიცებთ, რომ მაგრები ხართ.

ზუგდიდში ჩადენილი „გმირული“ საქციელით იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ არ მოგწონდათ და ერთი სული გქონდათ, როდის გადაშენდებოდნენ, თქვენი შვილიც იმით იწონებს თავს, რომ თავის დროზე ნაცების საწინააღმდეგო მიტინგებზე აქტიურობდა და ნაცებს ებრძოდა.

კი, მაგრამ, მერე რა მოხდა, რით შეაყვარეს თავი, ისეთი რა მამულიშვილური საქმეები ჩაიდინეს ამ არამზადა ნაცებმა, რომ თქვენი „გმირი“ შვილი მათი მოწინააღმდეგიდან მათ მომხრედ და მხარდამჭერად იქცა და აღმასრულებელი ბიუროს უფროსის თანამდებობაც კი გაირტყა?!

აღმასრულებელი ბიურო სააკაშვილის დროს რას აღასრულებდა და როგორ აღასრულებდა, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ „ქართველთმოყვარე“ ნიკას სულაც არ უთაკილია სააკაშვილის რეჟიმის დროს გაუბედურებული ქართველების სახლებიდან კინწისკვრით გამოყრა.

მაინც, რა დამსახურების გამო დაინიშნა ნიკანორი ამ თანამდებობაზე?

რა დამსახურების გამო დაინიშნა და, როგორც ბოროტი ხმები ამბობენ, ზონდერობდა თურმე ეს ჩვენი პატივცემული ნიკა და ისე გამეტებით ურტყამდა მომიტინგეებს, რომ გამოარჩიეს და დააწინაურეს.

არ ვიცით, რამდენად შეესაბამება სიმართლეს მისი ზონდერობის ამბავი, თუმცა, თუ კარგად დააკვირდებით ნიკას საქციელებს, მართლაც არის მასში რაღაც ზონდერული.

ვითომ შემთხვევითი ამბავია ის, რომ ეს „პოლიტიკოსი“ კაცი ხან ერთს რომ გაექაჩება საცემრად, ხან — მეორეს, ხან — მესამეს?

იაგო ხვიჩიას დაემუქრა, გაგხევ შუაზეო და შეშინებულმა იაგომ იარაღის ტარების უფლება ითხოვა — ტანად დიდია ნიკანორი, მომერევა და თავის დაცვის საშუალება მიმეცითო.

იქით ალეკო ელისაშვილს შეუთვალა, ერთი ადგილი დააყენე, თორემ მართლა შემოგივარდები პარლამენტში და იქიდან გამოგათრევო.

უყვარს ნიკას პარლამენტში შევარდნა და რა ჰქნას? ეტყობა, აღსრულების ბიუროში მუშაობის დროიდან გამოჰყვა ეს მავნე ჩვევა და ვერა და ვერ მოიშალა.

20 ივნისსაც სცადა პარლამენტში შევარდნა, მაგრამ არ გამოუვიდა და შევარდნა კი არა, შესვლა მინდოდაო, გვიმტკიცებს, ხელებაწეული უნდა შევსულიყავითო, ამათ კიდევ, ამ „ქართულმა ოცნებამ“, სახელმწიფო გადატრიალების და პარლამენტში შეჭრის ბრალდება შემომტენა, სამაჯური შემაბეს და თანაც გირაოს გადახდაც დამაკისრესო, — ნაწყენია ნიკანორი.

სამაჯური და გირაო კი არა, რაც შენ გააკეთე, ჩემო პოლიტიკოსო ნიკა, იმისთვის ნებისმიერ სამართლებრივ და დემოკრატიულ სახელმწიფოში მინიმუმ ათ წელს მაინც მოგარჭობდნენ, შენ კი სამაჯურით და გირაოთი გადარჩი და იმის გადახდაც არ გინდა?

— მართალი ვარ და ამიტომ არ გადავიხდი! — ჯიუტობს მელია-ენაგრძელია.

— რაში ხარ, მართალი? პარლამენტში შეჭრისკენ მოუწოდებდი ადამიანებს, სამჯერ მიიტანეთ იერიში პარლამენტზე და კიდევ იძახი, მართალი ვარო? შენ პარლამენტი საქათმე ხომ არ გგონია, მელიავ, როცა გინდა „შეიპარები“, როცა გინდა — „გამოიპარები“.

— გაბრაზებული ვიყავი... როცა ოკუპანტი გავრილოვი დავინახე პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელში, ჭკუა გადამეკეტაო, — პატრიოტულს აწვება ნიკანორი და შიგადაშიგ გამსახურდიას და კოსტავასაც ახსენებს — ჩვენო, ახალი ეროვნული მოძრაობა უნდა დავიწყოთო. ესო, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ახალი ეროვნული მოძრაობააო, რამდენი სიტყვაც არის, იმდენი დემაგოგია, ფარისევლობაა და თვალთმაქცობაა შიგ.

რაც შეეხება ოკუპანტი გავრილოვის დანახვაზე ჭკუის გადაკეტვას, ოკუპანტებთან ერთად რესტორანში რომ ქეიფობდით, ნაცებო, ჭკუა მაშინ არ გადაგკეტვიათ და რაღა გავრილოვის დანახვაზე დაგემართათ ბნედა?

აი, ამ ძალის თავმჯდომარე ბრძანდება ბატონი ნიკანორი და მამამის ანზორის ატყუებს — გმირი ვარო.

მამა ანზორი იმის ჩიტი არ არის, რომ დამწყებმა აფერისტებმა მოატყუონ, მაგრამ რა ჰქნას, მამაა და თავს იტყუებს, თავის მოტყუება კი ისეთ მასშტაბებში გადაეზარდა, ერთხელ შვილი ნაცებთან „ჩაუშვა“: ნიკა ნაცი არ არის, ნიკა ქართველიაო.

როგორც ჩანს, ჯერ მიშიკოს ყურამდე არ მიუღწევია ნიკას არანაცობის ამბავს, თორემ ახლადგამომცხვარ თავმჯდომარეს მოუწევს ახსნა-განმარტების მიცემა, თუ რატომ არ არის სახლში ნაცი, კაცი, რომელიც გარეთ ნაცია?

მამა ანზორის ატყუებს თუ მიშას ატყუებს, ჯერ არ დაუდგენიათ, მაგრამ ერთ-ერთს რომ ნამდვილად ატყუებს, ფაქტია.

სხვათა შორის, მიშა და ნიკა ბევრი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს — ორივეს ტრაბახი და ბაქიბუქი უყვარს — ისეთი პატრიოტები და ქვეყნისთვის თავდადებული ბიჭები ვართ, ისეთი გულადები და მამაცები ვართ, უკან არაფერზე დავიხევთო.

ამ დროს ერთი ძლივს ჩამოათრიეს კიევში სახურავიდან, მეორე კი თბილისში ოფისში ჩაიკეტა და ცოცხალი თავით გარეთ არ გამოდის — დამიჭერენო.

ერთსაც და მეორესაც ციხის ძალიან ეშინიათ — იციან, რომ საციხოდ უვარგისები არიან და ციხეში რომ აღმოჩნდნენ, ეგრევე ამთხლევდებიან და ყველაფერს დაფქვავენ

ნებაყოფლობითი პატიმარია ნიკანორ მელია — საკუთარ თავს თვითონ მიუსაჯა პატიმრობა და „ახრანნიკებად“ ოპოზიციონერი პოლიტიკოსები დაიყენა.

„ქართულ ოცნებაში“ ხუმრობენ თურმე — თუ არ გამოვა და იჯდეს მანდ, რამდენიც გაუხარდება. ჩვენ ერთი ოთხი წელი კიდევ ვიქნებით ხელისუფლებაში და იჯდეს ეს მელია თავის ციხეში ოთხი წელი. მეტის მისჯას მაინც არ ვაპირებდითო.

●

„ნაცმოძრაობა“ცდილობს, მელიასგან სიმართლისთვის წამებული და ტანჯული რაინდის სახე შექმნას, რომლის გარშემო ერი და ბერი უნდა გაერთიანდეს თურმე.

ნაციონალებმა, ამ ნეობოლშევიკებმა, ძველი ლოზუნგი „ზა როდინუ, ზა სტალინა“ მელიათი ჩაანაცვლეს და ჰგონიათ, აზვირთებული ხალხის მასა ახლა მელიასთვის დადებს თავს.

როგორი სასაცილოები, როგორი სამარცხვინოები, როგორი უბადრუკები და უნიჭოები ხართ, თქვე საწყალო ნაციონალებო, XXI საუკუნეში მელიას გასტალინებას, ან კიდევ უარესი — მელიას ახალ ზვიად გამსახურდიად, ახალ მერაბ კოსტავად წარმოჩენას რომ მოინდომებთ და თანამებრძოლებად პუტჩისტ ბოკერიას, კომკავშირელ ხაზარაძეს, პროკურატურის პარტკომს შალიკო ნათელაშვილს, „ფქვილის პრინცესად“ წოდებულ ნინო ანზოროვნას, აფრასიძეების სისხლში გასვრილ ბარამიძეს, კგბ-ის დამსახურებულ და ღვაწლმოსილ კადრებს — ძმებ ბერძენიშვილებს და კიდევ სხვა მრავალ ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ პოლიტიკურ „პროსტიტუტკებს“ რომ დაუნიშნავ, მერე კი ქართველი ხალხის იმაში დარწმუნებას შეეცდები, რომ ეს ყველაფერი თურმე ახალი ეროვნული მოძრაობაა.

ამაზე დიდი შეურაცხყოფა შეიძლება ქვეყანას მიაყენო?

ნიკანორ მელია პოლიტიკისთვის აბსოლუტურად უვარგისი და, ამავე დროს, სახიფათო კაცია.

ნიკანორ მელია არავინ არ არის — მას მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია აკისრია — შეასრულოს სააკაშვილის დავალებები და საკუთარ ქვეყანას პროვოკაციები მოუწყოს.

აი, ამ დავალებას კი მელია მართლაც შესაშური გულმოდგინებით ასრულებს — მელია ნამდვილი პროფესიონალი პროვოკატორია.

ეს არის და ეს!

ვახტანგ ხარჩილავა

„ნაციონალებს“ ვურჩევდი: ნუ გამოცდიან ქართველი ხალხის მოთმინებას, თორემ ხალხი თუ გამოვარდა გარეთ, მათ ბუმბულს ვნახავ გაშლილს, გაფანტულს ველადა...

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:

— ბატონო ნიკუშა, რა ხდება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, რა გადალაგებებია? მაშინ, როცა მელია უნდა დაეჭირათ, გახარია პრემიერობიდან გადადგა. როგორ აფასებთ ამ ნაბიჯს?

— განვითარებულ მოვლენებს, მეც, გარედან ვაკვირდები და ჩემებურ ხედვას მოგახსენებთ. მიუხედავად იმისა, რომ ვთვლიდი: გიორგი გახარია წარმატებული პრემიერი იყო, განსაკუთრებით კი, კრიზისულ მენეჯმენტს გაართვა თავი კარგად, ჩემთვის, აბსოლუტურად, მოულოდნელი და გაუგებარი იყო მისი გადადგომის მოტივაცია, რადგან მიმაჩნია: პრემიერი, პირველ რიგში, უნდა იცავდეს და პატივს სცემდეს კანონს და პოლიტიკური გარემოებებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს. ამით, რას ამბობს: კანონი არ უნდა აღსრულდეს, ე.ი. იგი, პოლიტიკურ ინდულგენციას აღიარებს?! გამოდის, თუ პოლიტიკოსი ხარ შეგიძლია კანონი დაარღვიო, პასუხიც არ უნდა მოგეთხოვოს და თუ ჩვეულებრივი მოქალაქე ხარ, მაშინ უნდა დაისაჯო?! ანუ, ქვეყანაში შერჩევითი სამართალი უნდა იყოს? ეს როდის უნდა დამთავრდეს, როდემდე უნდა ჰქონდეს პოლიტიკოსს ინდულგენცია?! კანონის დარღვევის შემთხვევაში ისევე უნდა აგოს ყველამ პასუხი როგორც ჩვეულებრივმა მოქალაქემ. სწორედ, რიგითი მოქალაქეები ირჩევენ პოლიტიკოსებს და კანონიც ყველასთვის უნდა კანონობდეს. მელიამ პირდაპირ ტელე-ეთერით, ასი ათასობით ადამიანის თვალწინ დაარღვია კანონი, რაზეც სახელმწიფომ რეაგირება უნდა მოახდინოს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ რომელი სახელმწიფოს შენებაზე ვსაუბრობთ? მაშინ რად გვინდა პარლამენტი, კანონი ან სასამართლო. როგორ შეიძლება რაღაც წყალქვეშა დინებების გამო, ასეთი პრეცედენტი დაუშვა. საერთოდ, ამ პოლიტიკოსებისგან ყველა დაიღალა. რა არის ეს, რა აგდებული დამოკიდებულებაა?! არსებობს კანონი რაც ყველასთვის ერთი უნდა იყოს. ასეთია ჩემი მოსაზრება ბოლოს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით. დიახ, არ აქვს მნიშვნელობა ვინ ხარ — ოპოზიციონერი თუ სხვა, კანონის წინაშე პასუხი უნდა აგო. გაუთავებლად ვადამდელ არჩევნებზე საუბრობენ. მმართველმა გუნდმა შესთავაზა: ერთი პროცენტიც თუ აღმოჩნდა გაყალბებული, კი ბატონო, არჩევნებს დავნიშნავთო, მაგრამ ამათ ხმების გადათვლაც არ უნდათ. ეუთო ოდირმა, ევროპარლამენტმა, ევროკავშირმა, სახელმწიფო დეპარტამენტმა აღიარა საქართველოში დემოკრატიულად ჩატარებული არჩევნები, კიდეც მოგვილოცეს. შალიკოს ფანჩატურის ოპოზიციას მიღებული პროცენტები არ მოსწონს, რევოლუციის მოწყობა ნებავთ და მათ ახირებას უნდა გადავაყოლოთ ქვეყანა?! ეს რა კრიტერიუმებია?

მათ ბელადს სურს რევოლუცია მოაწყოს, ტახტით მეფესავით შემოაბრძანონ საქართველოში და ერთპიროვნული მმართველობა ჰქონდეს. მრავალპარტიულ პარლამენტში ხომ ვერ დაიკმაყოფილებენ ძალადობრივ, მზაკვრულ ვნებებს. ამიტომ ხდება ყველაფერი.

— „მთავარ არხზე“ ერთ-ერთ გადაცემაში მელიამ განაცხადა: ბორკილებს ვერავინ დამადებსო.

— ვითომ, რათაო, ეგეც ნელსონ მანდელა არ გვყავდეს, რა. მან კანონი დაარღვია და პასუხი უნდა აგოს. სხვათა შორის, თავად ისჯის საკუთარ თავს — გადაეხადა დაკისრებული გირაო და ბორკილებს არავინ დაადებდა. უბრალოდ, ვითარებას იყენებს, სიტუაციის არევა სურს. ვფიქრობ, მას სააკაშვილი იყენებს.

— გახარია ღარიბაშვილმა შეცვალა. რას ფიქრობთ, მის კანდიდატურაზე?

— ირაკლი ღარიბაშვილს პრემიერ-მინისტრობის გამოცდილება აქვს. იგი წესიერი, შეურიგებელი, შეუპოვარი ადამიანია და რაც მთავარია, უზნეობის და იმ საშინელი წარსულის წინააღმდეგია, რაც ქართველმა ხალხმა რეჟიმის დროს გამოიარა. იმედი მაქვს, ამ ყველაფერს თავს კარგად გაართმევს.

— შეიძლება ვიფიქროთ, რომ ღარიბაშვილის დანიშვნით 2012 წლის მდგომარეობას ვუბრუნდებით და ძველ გულშემატკივრებსაც შემოვიკრებთ?

— იცი როდის მობრუნდებიან გულშემატკივრები? — როცა დაინახავენ, რომ ხელისუფლება „ნაცებთან“ დაკავშირებით მათ აზრს ითვალისწინებს. ანუ, „ნაცების“ გამოსწორება, შეუძლებელია. ხომ ვნახეთ, 9 წლის მანძილზე რასაც აკეთებდნენ — დესტრუქციის, არეულობის, ძალადობის, ძალაუფლების მოპოვების ჟინის გარდა ამ ხალხს არაფერი აინტერესებს — არც ქვეყანა აწუხებს და არც მოსახლეობის მდგომარეობა. ეს ყველაფერი როგორც წყლის ზედაპირზე, ისე ჩანს. ამიტომ, ჩემი აზრით, არჩევნების თემა უნდა ამოიწუროს. ასე გაგრძელება, შეუძლებელია.

ახალი არჩევნები თუნდაც ჩატარდეს, ვინ იძლევა გარანტიას, რომ ოპოზიცია იგივეს არ გააკეთებს — არ მოეწონება მიღებული პროცენტები და ისევ დაიწყებენ ყაყანს: არჩევნები გაყალბდაო. მართლაც რომ ჩატარდეს არჩევნები, მე თუ მკითხავთ, უარესად წააგებენ. რამდენი ხანი უნდა ვიყოთ საარჩევნო რეჟიმში?

მოსახლეობა უნდა მიხვდეს, რომ „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში სტაბილურად და მშვიდად იცხოვრებს. „ნაცები“ თუ მოვლენ, არავინ იცის ხალხს სად გადაჩხავენ. ეს კარგად უნდა შევიგნოთ.

— 27% 500 ათასი ამომრჩეველია...

— კი ბატონო, გეთანხმებით, დიდი ციფრია, მაგრამ ქვეყანაში ბევრი პრობლემაა და ხელისუფლება მის დაძლევაზე მუშაობს. ასე ხომ არ ხდება — ჯადოსნური ჯოხი აიქნიო და ყველაფერი თავისით გაკეთდეს. „ნაცებისთვის“ — ამ სექტისთვის სულერთია რა დაემართება სამშობლოს. მათ კერპთაყვანისმცემლებს ვეძახი. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები აკვირდებიან როგორ განვითარდება მოვლენები, გაუმკლავდება თუ არა ხელისუფლება 200 კაციან მიტინგებს და მათ რა პასუხს გასცემს. ხალხი ელოდება როდის დაემსგავსება სახელმწიფო სახელმწიფოს. თუ შედეგი არ დადგა, აი, მაშინ შეიძლება ეს საზოგადოება ფეხზე დადგეს. მერე შეადარონ „ნაცებმა“ საკუთარი ქვეყნის მომავლის გულშემატკივრები თავიანთ მხარდამჭერებს გნებავთ, რაოდენობრივად, გნებავთ, გულწრფელობით, მოტივაციით და ა.შ.

— ეს, უკვე, მეორედ ახსენეთ. ხედავთ ამის მოცემულობას, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გარეთ გამოვიდნენ?

— ვხედავ? ვხედავ კი არა, ჩემს გარშემო და ყველგან, ხალხი უკვე აბობოქრებულია. სოციალურ ქსელებს ხომ ადევნებთ თვალ-ყურს? ეს ადამიანები საზოგადოების შეგნებული ნაწილია, კონსტიტუციით და კანონით მოქმედებენ, ამიტომ არ გამორბიან ჯერ სახლებიდან. თორემ, ყველას კარგად ახსოვს ის ავბედითი 9 წელიწადი თუ როგორ მართეს „ნაცებმა“ ქვეყანა. ხალხს ამნეზია კი არ აქვს. მათ ვურჩევ: არ ამოწურონ ხალხის მოთმინება!

— ვაჭრობა, პარლამენტში შესვლა-არშესვლაზე, როდის უნდა დასრულდეს?

— მართლაც, ამას ბოლო აღარ უჩანს. დემოკრატიულ სისტემაში კაცობრიობა თამაშის გარკვეულ წესებზე თანხმდება. თუ წესები ირღვევა, ამას ყველა კარგად ხედავს — მოქალაქეებიც, საზოგადოებაც, საერთაშორისო პარტნიორებიც. ხომ ვნახეთ ვინ აპროტესტებს ვითომ გაყალბებულ არჩევნებს. ხომ ვნახეთ, რომ დასავლეთმა აღიარა კონკურენტუნარიანი არჩევნები. ამის შემდეგ, რატომ არ მთავრდება ეს ყველაფერი? პარლამენტი ერთპარტიულია, როცა ოპოზიციას საშუალებას არ აძლევ პარლამენტში შევიდეს. პირიქით, როცა ეხვეწები: შემოდიო და არ შედიან, ეს რას ნიშნავს? ვიმეორებ, ეს მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — რევოლუციურ სცენარს. აბა, დავფიქრდეთ, რომელ ჩვენს გარე თუ შიდა მტერს აწყობს საქართველოში არეულობა?!

— „ნაცებს“ პარლამენტში შესვლას უნდა ეხვეწებოდნენ თუ იქ, გაამწესონ, სადაც მათი ადგილია?

— იცი რა, ეს უნდა გააკეთოს სასამართლომ, იმ ორგანოებმა, ვისაც ეს ხელეწიფება და ა.შ. ვიმეორებ, დემოკრატია ისეთი პოლიტიკური წყობა და თამაშია, სანამ პარტიას ამომრჩეველი ჰყავს, მას არსებობის უფლებაც აქვს. თუმცა, კანონს თუ არღვევს, პოლიტიკა ინდულგენცია არ უნდა იყოს. კანონს თუ გადაახტები, პასუხი უნდა აგო. მელიას შემთხვევაში ასე არ მოხდა, რისი მაგალითიც ამ დღეებში ვიხილეთ. ანუ, სამართლებრივი სახელმწიფო თუ ხარ, დემოკრატიის საფუძველი და ერთ-ერთი პირველი საწყისი არის სამართლებრივი სივრცე. იქ, უნდა დამთავრდეს ვაჭრობა, პოლიტიკური გარიგებები და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებას პასუხს ვერ გასცემ, როცა შეგეკითხება: რატომ არის სამართალი შერჩევითი? რადგან მელიას პოლიტიკოსის მანტია აქვს მოსხმული, ყველაფრის უფლება აქვს? მაშინ, ჩვეულებრივი მოქალაქე რატომ ისჯება?

— ამ ფონზე, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას?

— ივანიშვილი პოლიტიკაში თავისი სურვილით არ მოსულა, ეს გარკვეულმა გარემოებამ განაპირობა. მისი მიზანი პოლიტიკოსობა როდი იყო. ჩვენ, ავტორიტარული, მოქალაქეებზე მოძალადე ხელისუფლება გვყავდა. ამ დროს, ივანიშვილმა გადადგა ნაბიჯი ხალხისკენ, ქვეყნისკენ. მან პოლიტიკის გარეშეც, ქვეყნისთვის დიდი ქველმოქმედება გასწია. არჩევნები მოიგო და მმართველობაში ახალგაზრდა გუნდი დატოვა. მან ჩათვალა, რომ ამ ეტაპიდან ეს გუნდი მზად არის. თავად, სახლიდანაც შეუძლია ქვეყანას უამრავი სიკეთე მოუტანოს.

— ერთ-ერთმა რესპონდენტმა მითხრა: ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ფარი და ხმალი იყო. როგორ ფიქრობთ, უფაროდ დარჩენილ „ქართულ ოცნებას“ ხალხი გაჰყვება?

— რა თქმა უნდა, „ქართული ოცნება“ რთული ამოცანის წინაშეა. როცა ასეთი წონის ლიდერი გუნდს ტოვებს, ეს გამოწვევაა. ივანიშვილი რომ მოვიდა, სულ ცდილობდა საქართველოში, ერთხელ და სამუდამოდ, კერპთაყვანისმცემლობა დაემთავრებინა. საკუთარი თავის მიმართაც იგივეს მოითხოვდა. თუ გახსოვთ, როგორც კი მიტინგზე ხალხი იწყებდა ყვირილს: ბიძინა, ბიძინა, იგი, აჩერებდა და ეუბნებოდა: საქართველო დავიყვიროთ ერთადო. ის დარწმუნებულია, რომ პოლიტიკაში გუნდურობა აუცილებელია. რაკი საპარლამენტო რეპუბლიკა ვართ, პარტიების ჭიდილი უნდა ხდებოდეს და არა პიროვნებების. ნელ-ნელა გუნდურობაზე უნდა გადავიდეთ. ხომ გადავედით საპარლამენტო რესპუბლიკაზე. 2024 წელს მთლიანად პროპორციულ არჩევნებს ჩავატარებ თ. ანუ, ქვეყანამ ეს გზა აირჩია. აქ, პარტიების ჭიდილი უნდა იყოს, რისი გამოცდილება და კულტურაც ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ ეს ნელ-ნელა უნდა ჩამოყალიბდეს. თავად ბატონი ბიძინა ყოველთვის მხარს უჭერდა იმას, რომ ქართულ პოლიტიკაში ერთპიროვნული დომინანტი არ არსებობდეს. უნდა იყოს აზრთა ჭიდილი და ა.შ. ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო, რომ მან ასპარეზი პარტიებს და გუნდურ პოლიტიკურ თამაშს დაუთმო. საბედნიეროდ, ქართველ ხალხს შესწევს იმის უნარი, რომ ბოროტი და კეთილი განასხვავოს. ჩვენ, შოთა რუსთაველის ქვეყანა ვართ და ეს ინტერვიუ ასე დავამთავროთ: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

თამარ შველიძე
555 23 28 24

არათუ რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, მასზე საუბარიც კი დანაშაულია!

რამდენჯერაც ეს მოღალატეები დაიძახებენ: გაყალბდაო, იმდენჯერ ქართველმა ხალხმა თავისი გადასახადები უნდა იხადოს ამათ სისულელეებში?!

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტ-პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, მოსამართლემ მელიას განაჩენი გამოაცხადა და მალევე, გახარიამ თანამდებობა დატოვა. თქვენი აზრით, ეს რას უკავშირდება?

— ჩემი აზრით, გახარიას გადადგომა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ჟურნალისტების კითხვაზე: როდის აპირებთ თანამდებობის დატოვებას, როდის მიდიხართო, გახარიამ უპასუხა: კი არ მივდივარ, მოვდივარო. როგორ გამართლდა ჟურნალისტების პროგნოზი და ინფორმაცია?! ანუ, აქედან ის ჩანს, რომ გახარიას წასვლა სპონტანურად არ მომხდარა. მან თქვა: თითქოს, „ქართულ ოცნებასთან“ მელიასთან დაკავშირებით გარკვეულ საკითხზე ვერ შეთანხმდა და ამიტომ გადადგა. მაშინ „ტვ-პირველის“ ჟურნალისტებს წინასწარ საიდან ჰქონდათ ინფორმაცია მისი გადადგომის შესახებ?! დიახ, ჟურნალისტებში არსებობდა მოლოდინი, რომ გახარია უნდა გადამდგარიყო ე.ი. ეს დაგეგმილი ოპერაცია გახლდათ. დაიგეგმა, რომ იგი ყველაზე დაძაბულ ვითარებაში უნდა გადამდგარიყო, რაც „ნაცმოძრაობას“ უკავშირდებოდა და მართლაც ასე მოხდა. თავისთავად, ეს ნიშნავს, რომ მის მიერ პოსტის დატოვება შემთხვევითი არ იყო.

კრიმინალს ან ძალით უნდა მოერიო ან კანონით. ვინაიდან „ნაცების“ კრიმინალი პოლიტიკით იყო შენიღბული, მათი დამარცხება ძალიან რთული იყო. დღესაც კი, მათი ნარჩენები სერიოზულ თანამდებობებს იკავებენ და ქვეყნისთვის გარკვეულ პრობლემებს ქმნიან, რაც სწორედ გახარიას გადადგომით გამოჩნდა. მას როგორც პრემიერს, ყველა დანარჩენისგან განსხვავებით (გამონაკლისია მხოლოდ ბიძინა ივანიშვილი), სიმპატიით ვუყურებდი. როგორც ბატონი ბიძინა, გახარიაც ძარღვიანი პრემიერი იყო. აქვე, ისიც გამოაშკარავდა, რომ იგი შემთხვევითი ფიგურა არ ყოფილა. იგიც, ფაქტობრივად, იმ ძალის ნაწილი იყო, რომელიც 2012 წელს ქართველმა ხალხმა არჩევნების გზით, თითქოს, პოლიტიკიდან გაისტუმრა. თუმცა, მათ ნარჩენებს ისევ ვხედავთ საკვანძო თანამდებობებზე. დღეს, ამის ლუსტრაცია ხდება. „ნაცმოძრაობასთან“ ბრძოლა იოლი არ არის. სამწუხაროდ, თავის დროზე მოხდა თვალყურისა და მიყურადების კადრების განადგურება, რაც „ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგ მტკიცებულებად უნდა გამოყენებულიყო. დღეს, ამ მხრივ, ვერავის წინააღმდეგ განაჩენი ვერარ დადგება იმ მარტივი მიზეზით, რომ იურიდიული კუთხით მტკიცებულებები აღარ არსებობს. რეალურად, ეს მტკიცებულებები, რა თქმა უნდა, ხელთ აქვთ ოპოზიციასაც და „ქართულ ოცნებასაც“ და როცა მოუნდებათ ხალხის წინააღმდეგ მაშინ გამოიყენებენ, მაგრამ იურიდიულად ეს განადგურებულია და ამ კადრების შემოქმედები ვერასდროს დაისჯებიან.



იმის დაშვება, რომ დღეს ხელახალი არჩევნები ჩატარდეს და „ნაცმოძრაობა“ კიდევ უფრო დიდი ძალით მოვიდეს, წარმოუდგენელია. საბედნიეროდ, მათი მხარდაჭერა ნულს ქვემოთაა.

ამიტომაც არ უნდოდათ ბიულეტენების გადათვლა, რასაც კობახიძე სთავაზობდა: სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე გადავთვალოთ ეს უბნებიო. არ აწყობდათ და ათას სისულელეს იგონებდნენ მიზეზად, რათა ბიულეტენები არ გადაეთვალათ. იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის თუ ვინმეს სასარგებლოდ გაყალბდა არჩევნები, ეს სწორედ „ნაცმოძრაობა“ და მისი სატელიტებია, რომელთაც უდიდესი გამოცდილება აქვთ არჩევნებში ხმების გაყალბების. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მათ შემოიტანეს საქართველოში არჩევნებში გაყალბების მექანიზმები, მანამდე ასეთი რამ არც არსებობდა.

მინდა გითხრათ: როდესაც დღევანდელ მოვლენებს ვუყურებ და უახლეს ისტორიას ვაფასებ, მგონია, რომ ზოგადად, ისტორია ისევე ყალბდებოდა, როგორც დღეს. ნაძირლებს გმირებად წარმოაჩენენ, გმირებს კიდევ ტალახს ესვრიან, ქოლავენ, რათა იგი კი არ გახდეს საზოგადოების ორიენტირი.

— თქვენ, ახსენეთ, სააკაშვილის შექმნილი სისტემის დანგრევა ადვილი არ არისო. იგი, „მთავარი არხის“ მეშვეობით უკრაინიდან მხარდამჭერებს პირდაპირ სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდებს. რა საფრთხეებია მოსალოდნელი?

— სააკაშვილი გაშმაგებულია იმიტომ, რომ იგი, უკვე, კუთხეში მიმწყვდეული ვირთხაა, რომელიც იძულებულია გიკბინოს, სხვა გამოსავალი არ აქვს. ის, ახლა, სახელმწიფოს კბენს. ასეთი განცხადების გამკეთებელი პირი, არამც-თუ პოლიტიკოსად, არამედ მოქალაქედაც არ შეიძლება იწოდებოდეს. სააკაშვილი იგივე მოწოდებებს აჟღერებდა 2003 წლის რევოლუციის წინაც: შევარდნაძის ბიუჯეტში არ გადაიხადოთ გადასახადები, არ დაემორჩილოთ პოლიციასო და ა.შ. ეს არის ანტისახელმწიფოებრივი, დანაშაულებრივი აზროვნება. ასეთი ადამიანები პოლიტიკაში კი არ უნდა იყვნენ, არამედ საერთოდ, არ შეიძლება თავისუფლად დადიოდნენ. გადასახადები დამალეთ, პოლიციას, სასამართლოს არ დაემორჩილოთო და მას ეს პოლიტიკური დაუმორჩილებლობა ჰგონია. სინამდვილეში, ეს პოლიტიკური დაუმორჩილებლობა კი არა, არამედ ანტიკონსტიტუციური ქმედებაა, რაც მთელს მსოფლიოში დასჯადია. სააკაშვილი კი დღემდე დაუსჯელია. რატომ ვერ მოხდა აქამდე მისი გადმოცემა, ციხეში ჩასმა, პასუხისგებაში მიცემა და ამის ნაცვლად, დღეს რატომ ქადაგებს პირდაპირი ეთერიდან დესტაბილიზაციას, ამაზე პასუხები არ არსებობს, რაც ჩემთვის გაუგებარი და აუხსნელია.

— „ნაცები“ აცხადებენ, რომ დასავლეთი მათ გვერდითაა. რატომ უჭერს იგი მხარს დესტაბილიზაციას?

— ტყუილია, თითქოს, სააკაშვილს დღეს ისევ აქვს დასავლეთის მხარდაჭერა. მას, დღეს, აღარანაირი დასავლური მხარდაჭერა არ გააჩნია. ის ინდივიდუალური განცხადებები, რომელიც ჟღერდება კონკრეტული პირებისგან — კონგრესმენებისგან თუ ა.შ., ეს, აბსოლუტურად, პიროვნულ დონეზე კეთდება და ჩვენთვის უცნობია რა დგას ამ განცხადებების მიღმა.

— ოპოზიცია რიგგარეშე არჩევნებს ითხოვს. რა შედეგი შეიძლება დადგეს?

— თავისთავად, როგორც არ უნდა დამთავრდეს, რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, უკვე ცუდი შედეგია. „ქართულმა ოცნებამ“ 90%-იც რომ აიღოს, ეს მაინც ცუდი შედეგია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამას რაღაც საფუძველი ხომ უნდა ჰქონდეს. დღეს, უკვე, კონსტიტუციურად, საფუძველი პრემიერის გადადგომა გახდა, მაგრამ მანამდე რა საფუძველი ჰქონდათ? პირადად, თქვენ, გაქვთ ნანახი რაიმე მტკიცებულება, რომ არჩევნები გაყალბდა? ეს არის, უბრალოდ, პიარით შექმნილი აზრი, ვითომ, არჩევნები გაყალბდა. კი ბატონო, დადონ მტკიცებულებები, მაგრამ რაც არ აქვთ, რას დადებენ. რა გააჩნიათ ხელთ, რა უჭირავთ? მათ ზუსტად იციან, რომ ვერავითარი მტკიცებულება ვერ ექნებათ და არც აქვთ. უბრალოდ, ეს მათი მხრიდან ანტისახელმწიფოებრივი მოთხოვნაა, რომლის შესრულება დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან დანაშაული იქნება. დღეს, ხელახალი არჩევნების დანიშვნა, არაფრით შეიძლება. არც ბიუჯეტია მზად და არც ქვეყნის ეკონომიკა, რომ ამხელა ხარჯი ტყუილუბრალოდ გაიღოს. რაც მთავარია, ოპოზიციის ყიყინის გარდა, ამის საფუძველი არ არსებობს. რას კარგავენ, იძახიან: ხელახალი არჩევნები ჩატარდესო. მერე, კიდევ იტყვიან გაყალბდაო, მერე კიდევ და ასე გაგრძელდება უსასრულოდ. რამდენჯერაც ეს მოღალატეები დაიძახებენ: გაყალბდაო, იმდენჯერ ქართველმა ხალხმა თავისი გადასახადები უნდა იხადოს ამათ სისულელეებში?!

— აქციები იგეგმება. კობახიძემ უკვე ხომ თქვა: საკონსტიტუციო ცენზს არ აკმაყოფილებენ, უფროსიც მისჯილი ჰყავთო. რაღას ელოდებიან?

— რა გითხრათ, ყველა პრემიერი ცდილობდა „ნაცების“ გასამართლების პროცესი ჩაშლილიყო. მერე, კოაბიტაცია შემოგვთავაზეს. ეს დანაშაულია. კოაბიტაცია აბსოლუტურად სხვა სიტყვაა და სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს არის განსხვავებულ აზრთან თანაარსებობა. ჩვენ, ახლა, განსხვავებულ აზრზე ვლაპარაკობთ, როდესაც „ნაცმოძრაობის“ პოლიტიკას ვიხსენებთ? ჩვენ, განსხვავებულ აზრთან თანაარსებობაზე ვსაუბრობთ? არა, ბატონებო. ჩვენ, ვსაუბრობთ კრიმინალთან თანაარსებობაზე, რასაც კოაბიტაციას ვერაფრით ვუწოდებთ, არამედ მას თავისი სახელი უნდა დაერქვას. **ჩვენ კოაბიტაციაზე კი არა ვსაუბრობთ, არამედ იმაზე უნდა მოხდეს თუ არა კრიმინალთან თანაარსებობა. კოაბიტაცია თავს მოგვახვიეს. დიახ, ჩვენ ვიყავით არა კოაბიტაციის, არამედ კრიმინალთან თანაარსებობის რეჟიმში.** ეს არის რეალობა. დღესაც, იგივეს ვაგრძელებთ. ეს კრიმინალები ოპოზიციაში იქნებიან თუ ხელისუფლებაში, პოლიტიკაში არიან და ამ სივრცეს ანაგვიანებენ. აღარც პატიოსანი, წესიერი ადამიანი აღარ მიდის პოლიტიკაში იმიტომ, რომ ასეთ ბინძურ ადამიანებთან თანამშრომლობა და ერთ მაგიდასთან ჯდომა არ უნდა. პოლიტიკა, უკვე, არაპოპულარული გახდა.

— როგორ ფიქრობთ, ამ პარტიას მოსახლეობის 27% იმიტომ ხომ არ უჭერს მხარს, რომ მათ სიმართლე ბოლომდე არ იციან?

— კი, ეს ძალიან ვრცელი თემაა და ერთი ინტერვიუ არ ეყოფა. მთლიანად სახელმწიფო აპარატი მუშაობდა არა „ნაცების“ დასჯაზე, არამედ მათ გათეთრებაზე. ბაჩო ახალაიას ვაშლის გათლაზე და წიწაკის სროლაზე რომ გაასამართლებ და მიშა სააკაშვილს პიჯაკების საქმეზე, რა თქმა უნდა, ეს მათი გათეთრებაა და არა დასჯა. სააკაშვილი არ არის გასამართლებული იმ რეალობაზე, რაც მან ქვეყანას დამართა, თუნდაც, ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის სახით. დიახ, მან საქართველოს ტერიტორიები რუსეთს გადასცა, არავითარი ომი არ ყოფილა. დღენახევარში ხელი კაპიტულაციას მოაწერა. მანახეთ ერთი მოქალაქე, რომელმაც ე.წ. ექსპუნქტიანი შეთანხმება ნანახი აქვს. რატომ არის ეს დოკუმენტი გასაიდუმლოებული? რატომ არ ვიცით რა კაპიტულაციას მოაწერა ხელი სააკაშვილმა? ეს იყო ომი? ეს ომი კი არა, არამედ ტერიტორიების გადაცემა იყო. აი, რა არის რეალობა. როცა ხელისუფლებაში ეროვნული ძალა მოვა, იმედია ამ საქმეს გამოიძიებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

გლოვა „სანაცვეთში“

„სანაცეთში“ გლოვაა – ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერად დაბრუნდა და ძალიანაც კარგი, რომ დაბრუნდა. როცა ის გადადგა თუ გადააყენეს, დიდი შეცდომა დაუშვეს. დარწმუნებული ვარ, ირაკლი რომ ყოფილიყო დღემდე პრემიერ-მინისტრი, ბევრი რამე სხვანაირად იქნებოდა.

ირაკლი ღარიბაშვილის გაშვება დიდი შეცდომა იყო-მეთქი. გახსოვთ, მიზეზად, ანუ შარად რა მოუდეს და რა მოუტანეს? კახური კლანი შექმნაო, ქვეყანა კორუფციაში ჩაძირაო, ბიზნესები მისმა ნათესავებმა გადაიფორმესო, ბევრი ფული იშოვეს და შოვნას კიდევ აპირებენო.

საოცარი რამ ხდებოდა!

თახსირები, ირაკლი ღარიბაშვილს რომ წაესივნენ და ე.წ. კახური კლანის ე.წ. მოდელი გამოიგონეს ფულს თავად აკეთებდნენ და დღესაც აკეთებენ. დიახ, ირაკლის ლანძღვით ხალხი “მაყუთს” აკეთებს — აბა, რა გეგონათ და რა გგონიათ? არ გაგიკვირდეთ, ზოგი მათგანი თანამდებობის პირიც იყო და ზოგი დღესაც ზის მაღალ სავარძელში. ბევრს მოეკითხა, ბევრსაც მოეკითხება.

სად გაქრა “კახური კლანი”? არსად, ეგ იყო გამოგონილი სიბინძურე მავანთა მიერ და ახმოვანებინებდნენ ე.წ. ჟურნალისტებს — კილაძეებს, მელაძეებს, გაბუნიებს და მათნაირ არამზადებს. “კახური კლანი” ვერ გაქრებოდა, რადგან ბუნებაში არ არსებობდა. მიიტანეს გაბერილი ჭორები ბიძინა ივანიშვილთან, აურიეს ერთმანეთში ჭუჭყი, ძონძი, ტალახი და ახალგაზრდა, ენერგიული კაცი იძულებული გახადეს, პოლიტიკას საერთოდ გასცლოდა. სამი წელიწადი დასვეს სახლში უმოქმედოდ ყოფილი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც გულიც ერჩის, ძალაც მოსდევს, იდეებიც აწუხებს და გონებაც უჭრის. ის არის ევროპული ტიპის ეროვნული კაცი. მე არ ვიცი, შეიძლება ირაკლი ღარიბაშვილის რომელიმე ნათესავს რაღაცა შეეშალა ან ხელი წაუცდა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ თუ რამე მსგავსი იყო, ამის გამოსწორება იმ ეტაპზევე შეიძლებოდა. იმ პერიოდში ზვიად ჯანყარაშვილს ახსენებდნენ, რომელიც იმის მეასედის გამკეთებელი არ იყო, რამდენსაც აბრალებდნენ. აქაც იგივე ხდებოდა, ვინც ჯანყარაშვილს აშავებდა, ამით ის ფულს შოულობდა. იშოვეს. ვიმეორებ: იშოვეს, ხალხო, დიდი ფულები იშოვეს თახსირებმა ირაკლის ლანძღვით, სახლები აიშენეს, ძვირადღიურებული ავტოები შეიძინეს, თავებზე ჩიხტი-კოპები დაიდგეს, აგარაკები იყიდეს, გაფაშფაშდნენ, გაბლატავდნენ და თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი ნაძირლები ხელახლა აპირებენ ჩვეული კამპანიის დაწყებას — როცა ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრობის კანდიდატად მეორედ წარმოადგინეს, იმავე საღამოს გამოცუცუნდნენ მატლები ტელევიზორში ხელების ფშვნეტით — აი, ეხლა კი ჩვენ ვიციოთ. ერთი დედაკაცი ყეფდა, ღარიბაშვილი მე გადავაყენე და ეხლაც თავს გავწირავ, რათა ამ თანამდებობაზე არ იყოსო.

ყველა და ყველაფერი გაიშიფრა, უკვე ვიცით, ვინ რა თამაშს თამაშობს, ვინ რა თამაში ითამაშა და ვინ რას აპირებს. თვით ირაკლი ღარიბაშვილმაც, ალბათ, ისწავლა, ვინ ვინ არის. მან გაიგო, როგორია ღალატი საქმეში და პოლიტიკაში, როგორია ღალატი შინაურობაში და გარეულობაში.

ავი ენები ამბობენ, ირაკლი ღარიბაშვილი ხისტია, მოურიდებელია, ფიცხია, ამით საქმეს გააფუჭებსო. “ნაცური” პროპაგანდის თანახმად, ირაკლი იმდენად ფიცხი და ნერვიული ყოფილა, ცოტა ხანში ქუჩებში სისხლის გუბეებს დააყენებს, ყველა ოპოზიციონერ ლიდერს დააპატიმრებს... არა, ჯერ ყურებს დააჭრის და მერე დააპატიმრებს, ყველა ტელევიზიაში სპეცრაზმით შევარდება და დაარბევს, დახვრეტენ ყველას, ვინც კი გაბედავს და განსხვავებულ აზრს გამოთქვამს. შემდეგ დაიწყება გადასახლებები ციმბირში. თუ ციმბირში არ მოხერხდება ამ ეტაპზე, აგერაა ყარაღაჯი და ქუმბათი კახეთში, თავის დროზე, ცხრაას ჩვიდმეტი წლის რევოლუციამდე, დეკაბრისტებსა და მათ ცოლებს აქ ასახლებდნენ. ყარაღაჯის, ხირსისა და ცლუნკაანის მიდამოებს კარგად იცნობს ირაკლი ღარიბაშვილიც, რადგან იქ გაიზარდა. უფრო სწორად... უნდა დამეწერა, აქ გაიზარდა-მეთქი, ამ წერილს კახეთში ვწერ, სოფელ ჯუგაანში, ფაქტობრივად ყარაღაჯის მისადგომებთან. არ დაიჯერებთ, წეღან ბინოკლით გავიხედე, სიტუაცია გადავამოწმე და სრული სიმშვიდეა, შეგვიძლია, დედაქალაქიდან გადმოსახლებულები უპრობლემოდ მივიღოთ. ისე, კარგი იქნებოდა, თუ აღვადგენდით სარკინიგზო მაგისტრალს თბილისიდან წნორის მიმართულებით. თავის დროზე, სოციალიზმის პერიოდში იყო, მაგრამ მერე, როგორც ბევრი სხვა რამ, ესეც ჩააოხრეს და ჩაატიალეს. ახლა კი დროა, აღვადგინოთ, რადგან გადასახლებებს მოძრავი ვაგონები, წივილ-კივილი, კიკინების გაწეწვა და დამშვიდობება უნდება. აბა, წარმოიდგინეთ, რა მაგარი იქნება, როცა პრემიერ-მინისტრი ბრძანებას გამოსცემს, მავანს ჩამოხრჩობა, მავანს კიდე გადასახლებაო. ნავთლუღში ჩამოდგება ვაგონები (კეთილმოუწყობელი), შეჰყრიან ტუსაღებს, ბორკილებს ძლივს რომ მოათრევენ და... ჰაიდა, ყარაღაჯისკენ, სადაც ყველა ტუსაღს დიდი ტანჯვა, წამება და ვაება ელოდება.

გივია თარგამაძე გახსოვთ, სულებს ამოგხდითო, რომ გვეძახოდა?!

გია ბარამიძე გახსოვთ, სვანეთში აფრასიძეები რომ ამოწყვიტა და გლდანის ეკლესიაში “გრუზავიკით” რომ შევარდა?!

ის ხალხი გახსოვთ, სანდრო გირგვლიანი რომ მოკლა და 200-მდე ახალგაზრდა ზედ მიაყოლა?!

ის მთავარსარდალი გახსოვთ, ცხინვალში ომი რომ “მოიგო” და უწვერულვაშო ბიჭების ცხედრები ქუჩაში მიატოვა?!

გახსოვთ, ხომ? ჰოდა, ესენი ლაპარაკობენ ირაკლი ღარიბაშვილზე, სისხლს დაღვრისო, მოძალადეაო, აგრესიულიაო... წარმოგიდგენიათ? ჯალათები სხვას ადანაშაულებენ ძალადობაში. ეს ავადმყოფები აჯერებენ ხალხს, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყანას დაანგრევს. ბარამიძე ყვიროდა “საზოგადოებრივი მაუწყებლის” ეთერში, ჩვენ ვართ აღმშენებლებიო, მხოლოდ ჩვენაო, მეტი არავინო. მკვლელები ამბობენ, ჯალათები-მეთქი!

და რაოდენ სამწუხაროა, რომ ამ ქვეყანაში არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ამათი სჯერათ. გირჩი ზურაბა იძახის, ირაკლი ღარიბაშვილის ერთადერთი ფუნქცია შეიძლება იყოს აგრესია ოპონენტების წინააღმდეგო. განარკუშებული ზურაბა უარყოფითად აფასებს ირაკლის გაპრემიერებას, აგრესიული იქნებაო. სადაც სამართალია, ამათ წინააღმდეგ აგრესიული კი არ უნდა იყოს, ზოგიერთი ვირის აბანოშიც არის შესაგდები, მაგრამ ხომ იცით, ჩვენთან როგორც ხდება ხოლმე? გამოლაგდებიან უსაქმური სენატორები და დაიწყებენ, პოლიტპატიმრები გაათავისუფლეთო. ამათ არ უნდათ იმის გაგება, რომ საქართველოში არსებობენ არამზადა პოლიტიკოსები და არა პოლიტიკური პატიმრები. სენატორებს არც იმისი გაგება უნდათ, არ აინტერესებთ, რომ საქართველოში უფრო მეტია დასაჭერი, ვიდრე იჭერენ. პრინციპში... ან კი ვის იჭერენ? არავის! ჩვენ პირველი სახელმწიფო ვართ დედამიწის ზუსგზე, სადაც ხალხი იხვეწება, “მავნეები” დაიჭირეთ, დამნაშავეები არიან, სამართლიანობა აღადგინეთო და არ იჭერენ, რადგან შარია, ათასი დამრიგებელ-მასწავლებელი გამოგვიჩნდება.

ტელევიზორში ეკა ბესელიას ჰკითხეს, ღარიბაშვილი რატომ დააბრუნა ივანიშვილმაო?

ეკაკომ ირონიული ღიმილით უპასუხა: იმიტომ, რომ ღარიბაშვილს განსაკუთრებული ერთგულება ახასიათებსო.

აბა, როგორ არ გავიცინოთ? ეკაკოს ერთგულება ცუდი თვისება ჰგონია და უფრო ცუდი ჰგონია განსაკუთრებული ერთგულება. აი, ამ ქალს რომ არანაირი ერთგულება არ შეუძლია, ამიტომაც მიუჯდა “ნაციონალების” მაგიდას. ერთგულება მოდის სინდის-ნამუსიდან, პატიოსნებიდან, გაგებიდან, ოჯახიდან და ასე შემდეგ. ალბათ ეკაკო იტყვის, მე ერთიც გამაჩნია, მეორეც და მესამეცო, მაგრამ... ეეეჰ, აქ არის არა წერტილი, არამედ ძალიან დიდი “მაგრამ”. შეიზლება პირადი ინტერესებით იმოქმედო და ალბათ უნდა იმოქმედო, მაგრამ ამ პირად ინტერესებში ჩაქსოვილი უნდა იყოს საერთოც. დაბოღმილი ადამიანი ვერაფერს იზამს, დაბოღმილი ადამიანი საცოდავი სანახავია... მაგალითად, კაცმა გვერდით დაგიყენა, ორ “კრუგზე” პარლამენტარობა გარგუნა, ცხოვრება მოგიწყო, რატომღა იბოღმები, მთელი ცხოვრება პარლამენტში ხომ არ იჯდები? მუდმივად ბიძინა ივანიშვილის კართან ხომ არ იქნები ჩაცუცქული? კარგად მახსოვს, 2012-ში ბიძინა ივანიშვილმა რომ თქვა, ახლა მე შეგიყვანთ პარლამენტში, შემდეგ კი თავად მიხედეთ საქმეს, ხალხის ნდობა დაიმსახურეთო. ესენი წავიდნენ ცალკე, დაშორდნენ “ქართულ ოცნებას”, ზოგი დააშორეს და ვერ მოერივნენ საკუთარ თავებს, ეგრევე დაიწყეს ივანიშვილის ლანძღვა.

ახლა დავსვათ შეკითხვა: როგორ მოიქცა ირაკლი ღარიბაშვილი, როცა გადადგა? ერთი გადაბრუნებული სიტყვა არ დასცდენია. მან იცოდა, რომ სიმართლე გზას მაინც გაიკვალავდა და ითმენდა. პრინციპში... არც არაფერი ჰქონდა მოსათმენი, მან გამოამჟღავნა ის თვისებები, რაც ჰქონდა — დიახ, ერთგულება და თანაც განსაკუთრებული, რაც თურმე ეკა ბესელიასთვის მიუღებელია, სასაცილოა. მისი ცხოვრებისეული კრედო ღარიბაშვილის კრედოსგან ძალიან განსხვავდება, ამას, ბესელიას შეუძლია, ადამიანი გამოიყენოს, შემდეგ კი აფურთხოს. თუმცა ამ ფურთხით თავადვე რომ ზარალდება, ამას ვერ გრძნობს, უნიჭოა და ამიტომ. იცოდეთ, ყველაზე საშიში უნიჭო ადამიანია. ყველაზე საშიშია ის, ვინც არ იცის, რომ ერთგულება ღვთისგან მომადლებული ნიჭია. მაგალითად, ჩემთვის მიხოს მიმდევარი გავარვარებული “ნაციონალი” უფრო მისაღებია, ვიდრე ოცნებაგამოვლილი მოღალატე, რომელიც იმ ჭაში აფურთხებს, საიდანაც ცოტა ხნის წინ წყალს სვამდა.

აი, ამიტომ მირჩევნია (ბევრს ურჩევნია) პრემიერად ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიცდაბრუნდა იმ დროს, როცა უნდა დაბრუნებულიყო. აი, ახლა კი ნამდვილად აღდგა სამართლიანობა.

არავითარი წერტილი... უბრალოდ, ბრავო!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

სი ქოულუ, ბატა, მარა მა დომიტალენქო?

გიორგი გახარიამ პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა. ეს მოხდა 18 თებერვალს, დაახლოებით 11 საათზე, შეიძლება ცოტა ადრეც. დაახლოებით 12-ის ნახევარზე ქართულ საზოგადოებაში უკვე დაიწყეს მისი ლანძღვა – თურმე ის ყოფილა მოღალატე, უნიათო, ცუდი, იმნაირი, ამნაირი და "ნაცების შნირი". ზოგიერთმა მისმა თავგადაკლულმა მომხრემ ისიც კი ბრძანა, გახარიას გუნდის გამო ვცემდი პატივს, თორემ საერთოდ ვერ ვიტანდიო.

ბუნებრივია, რაც გახარიამ გააკეთა, ამის გამო ახალი მომხრეებიც გამოუჩნდებიან, ისინი ახალი ტიპის გმირად შერაცხავენ და იმის მტკიცებასაც დაიწყებენ, რომ საღად იაზროვნა ნიკანორ მელიას დაპატიმრება-არდაპატიმრებასთან დაკავშირებით... რომ მან დაიკავა სახელმწიფოებრივი პოზიცია, ხელი არ შეუწყო პოლიტიკური კრიზისის უფრო გაღრმავებას და ასე შემდეგ. გახარიას ქებას, რა თქმა უნდა, დაიწყებენ "ნაციონალები" და მათთან გათანაბრებული პირები.

რატომ გადადგა გიორგი გახარია, რა გვითხრა წასვლისას, დროებითო, მშვიდობითო თუ... მე რავი, რა იქნებაო? ამონარიდი მისი განცხადებიდან:

„დღეს, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პოლიტიკური დაძაბულობა და პოლარიზაციაა, თვითონ ქვეყნის განვითარების, მისი უსაფრთხოებისა და მომავლის რისკებს ქმნის. მაშინ, როდესაც ყველანი ერთად, ჩვენს მოქალაქეებთან ერთად გლობალურ პანდემიას, ეკონომიკურ კრიზისს, რეგიონალურ გამოწვევებს ვებრძვით და რაც მთავარია, ჩვენ ყველანი ერთად პოლარიზაციას ვებრძვით, რათა უკეთესი მომავალი შევუქმნათ ჩვენს შვილებს, ასეთი ღონისძიება უნდა ჩატარდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც გადაზღვეული იქნება ყველა სახის რისკები და როდესაც არ იარსებებს არანაირი რისკი მიუხედავად პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და პოლიტიკური ორიენტაციისა, თითოეული ჩვენი მოქალაქის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ჩემს გუნდთან ერთად ვერ მივაღწიე ერთობლივ აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, მივიღე გადაწყვეტილება, გადავდგე. მინდა მჯეროდეს, რომ ეს ნაბიჯი ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში პოლარიზაციის შემცირებას, რამეთუ დარწმუნებული ვარ იმაში, რომ პოლარიზაცია და დაპირისპირება არის ყველზე დიდი რისკი ჩვენი ქვეყნის მომავლისა და ეკონომიკური განვითარებისა".

რას გვეუბნება გიორგი გახარია ამ განცხადებით? ძმებო და დებო, მე ნიკანორ მელიას ვერ დავიჭერ, პოლარიზაციას ხელს ვერ შევუწყობ, სულ კარგად ბრძანდებოდეთო. შე კაი კაცო, თავის დროზე ვანო მერაბიშვილი დაიჭირეს, ქვეყნის ხერხემალი, მელია ვინ ჩემი ფეხებია?

მოკლედ, გიორგი გახარია გადადგა, ოღონდ ძალიან ცუდად, უღიმღამოდ და უგერგილოდ. მე მაქვს ერთი ვერსია, რომელიც შესაძლოა, კახურ ვერსიადაც კი მოვნათლოთ: კახეთში წყაროზე ამბობენ, რომ რაკი მელია მეგრელია, გახარიამ დაინდო, არ დაიჭირა და "დაჟე" მეგრულმა სისხლმა იმ დონეზე იყივლა, ამ ამბავს ამოდონა თანამდებობაც კი შესწირა. ბიჯოოო, მაინც სულ

სხვანაირები არიან მეგრელები, სადაც არ უნდა იყვნენ, ერთმანეთის გატანა იციან. ამ ვერსიას მეც დავიჯერებდი, "საერთო გაზეთის" რედაქტორი მეგრელი რომ არ იყოს და არ ვიცოდე მისი აზრები ნიკანორ მელიას შესახებ.

კახეთში წყაროზე იმასაც ამბობენ, ნიკანორ მელია ეროვნული მოძრაობის მამა გახდაო, ფაქტობრივად "აიფონიანი" მერაბ კოსტავაა, თვითონ გამაცხადაო. ჰოდა, გახარია ახალ კოსტავას ხო არ დააპატიმრებდაო? დიახ, სწორედ ეგრე იყო, მომსწრე ვარ, მელიამ თქვა, ერთ მხარეს ეროვნული მოძრაობაა, ანუ ჩვენაო, მეორე მხარეს კიდე "ქართული ოცნებაო".

რაღა დაგიმალოთ, ბევრი ვიცინე... ეროვნული მოძრაობაო და მის უკან დაბალში იდგნენ: ნინო ძალო, ნატო ბაბო, სააკას ყოფილი რძალი, სპორტულებიანი ირაკლა, დოღრიალა გიგილო, ჭუტალა გიგა, "ოცნებიდან" დაპანჩურებული ჭიჭინა, ანანისტი ჭიაბერა, ანგაჟირებული შალიკო, დიდთავა კაკო და სხვანი, ამათზე უარესნი.

სპორტულებიანი ირაკლა ძალიან შორს წავიდა, ნიკა მელიას არ გავატანთ, სპეცრაზმს შესაბამისი აღჭურვილობით დავხვდებითო.

გაიგონეთ? შესაბამისი აღჭურვილობითო. ამას რომელიმე ორღობეში ზარბაზანიც ექნება გადამალული. ალბათ მეზარბაზნეებიც ჰყავს ჩასაფრებული "ზილებით".

ერთი ვერსიით, გახარიას ირაკლას ზარბაზნისა შეეშინდა და ამიტომაც მოჰკურცხლა. იცით, კიდევ რაზე მეცინება? მელიებს რევოლუცია უნდათ, ციხეში ჩაჯდომა – არა!

ეგრე სად არი? თუ ანარქისტობას აწვები და რევოლუციას მიწყობ, მინიმუმ, სამჯერ მაინც უნდა იყო გადასახლებული ყარაღაჯში. გმირობა გინდა და პატიმრობა არა?

სხვათა შორის, ორიოდ კვირის წინ ბატონმა გახარიამ ჟურნალისტებთან იხუმრასავით, მე კი არ მივდივარ, მოვდივარო. სწორედ ამ რეპლიკამ შვა კიდევ ერთი ვერსია: გიორგი გახარია წავა ოპოზიციაში, გახვეტავს იმ ნაგავს, რაც დაგროვილია შალიკოს ფანჩატურში და დაიკავებს თავისუფალ სივრცეს, ანუ მოგვევლინება ნამდვილ ოპოზიციონერად. ჩვენაო, დარწმუნებულნი ვართ, გახარია უახლოეს ხანში პარტიას შექმნისო, ამბობენ ნეტარ მორწმუნენი. გამოგიტყდებით, მე არ მჯერა ამ ვერსიის, არავითარ პარტიას ეგ არ შექმნის... უარესს გეტყვით, ის წავა იქ, საიდანაც მოვიდა, დიდი ალბათობით რუსეთში, ან დარჩება საქართველოში და იქნება ბიზნესში.

როდესაც პრემიერ-მინისტრი უცნაურ და ალოგიკურ ვითარებაში მიდის, უმალვე ჩნდება ეჭვები. გარკვეულ წრეებში უკვე ლაპარაკობენ, რომ გიორგი გახარია მალე დაიწყებს საკუთარი თავის გაპიარებას და გმირად წარმოჩინებას. როგორც ზემოთ გითხარით, ამაში მას "ნაციონალები" და მათთან გათანაბრებული პირები დაეხმარებიან. კულუარებში ალაპარაკდნენ იმაზეც, რომ ბოლო დროს მას მართავდნენ "ნაცმოძრაობიდან", მართავდნენ მიხეილ სააკაშვილი და თემურ ალასანია. როგორც ინკოგნიტო წყარო გვიყვება, აქ მთავარია კომპრომატები, კომპრომატები და კომპრომატები:

"სამწუხაროდ, სააკაშვილის ხროვამ რამდენიმე მსუყე კომპრომატი მოიპოვა. გარკვეულ წრეებში ჭორიც კი დადის, რამდენიმე კომპრომატი პირად ცხოვრებას ეხებაო. გიორგი გახარიამ ბოლო დავალება ვეღარ შეასრულა. ვეღარ გარისკა ორმაგი თამაში და წავიდა მეტად საპასუხისმგებლო მომენტში. გამოსავალი იპოვა, ოღონდ თავისთვის, ქვეყანა დაიკიდა".

პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ გიორგი გახარიამ ბოლო პერიოდში ორმაგი თამაში წამოიწყოო. ეს უფრო პოლიტიკური თამაში იყო, პირადი ცხოვრებით შანტაჟს არ ჰგავდაო. როდესაც პირად ცხოვრებაზე ლაპარაკობენ, ზოგს აუცილებლად ჰგონია, მაინც და მაინც მავანმა ცოლს უნდა უღალატოს, მავანმა კიდევ ქმარს. როდესაც კომპრომატზეა ლაპარაკი, ვერ გაიგებთ, ადამიანი სად და რა საქმეში გამოიჭირეს – ყველას აქვს თავისი სისუსტეები.

არის უამრავი ვერსია. მაგალითად, ყოფილი პარლამენტარი ხათუნა ხოფერია ამბობს, რომ ე.წ. ოპოზიციამ "გავრილოვის ღამის" სცენარის გამეორება სცადა მელიას "აშეინიკის" პროექტით:

"ანუ, დაპირისპირება, სისხლისღვრა, პოლარიზაცია და ისევ გახარიასთვის შეტენვა ყველაფრის. აღარ შეიტენა გახარიამ, დაასწრო და წავიდა. ჰოდა, უცებ შეიცვალა შტურმიც, დაჭერაც, თვალების დათხრაც".

ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება, მაგრამ რაღაც მომენტში ნაკლებ დამაჯერებლად გამოიყურება. ანუ, მელიას რომ დაიჭერდნენ, 20 ივნისის ღამე განმეორდებოდა და ყველაფერი ისევ გახარიას შეეტენებოდა? ისე, აქ ერთი რამეც არის საგულისხმო, რა აუცილებლობაა, საპოლიციო საქმეებზე პრემიერ-მინისტრმა აგოს პასუხი? რატომ "შეიტენა" ამჯერად თვითონ "მელიას საქმე", როცა არავინ ეკითხება და არავინ ავალდებულებს? ბოლო-ბოლო, გადაებარებინა ძალოვანი მინისტრებისთვის და დაებანა ხელები. ან კი გამოვიდოდა ხალხი გარეთ? ვიმეორებ: ვინც გამომსვლელი იყო, აქამდე გამოვიდოდა, "ნაცმოძრაობის" ოფისის მიმდებარე ტერიტორია გადაივსებოდა. ვის აინტერესებს მელია? არავის, ერთი უბადრუკი ჯგროს გარდა!

საიდან მოვიდა გიორგი გახარია პოლიტიკაში და საერთოდ, როდის გაჩნდა ქართულ სინამდვილეში? 2011 წელს ჩამოვიდა მოსკოვიდან, საქართველოს მოქალაქე არ იყო, იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უბოძა. რატომ, რისთვის და რანაირად, ეს დღემდე გაურკვეველია. არა, იმას არ ვამბობ, არ ეკუთვნოდა-მეთქი, უბრალოდ ასეთი ოპერატიულობა და სააკაშვილის მხრიდან მოწყალება ეჭვს ბადებს.

როგორ მოხვდა ბიძინა ივანიშვილის გუნდში? გია ხუხაშვილს რომ ჰკითხოთ (ჩემთან აქვს მოყოლილი), ბიძინასთან მაგან მიიყვანა შემთხვევით. მოკლედ, ხუხაშვილი ამ ამბავს ასე ხატავს: "ბიძინა ივანიშვილის კარზე ვარ, სიტუაციებს ვალაგებთ, თანამდებობებს ვანაწილებთ, ერთ საღამოს სახლში დაღლილი მივედი, დედაჩემი მეუბნება, ზედა სართულიდან მეზობელი იყო ჩამოსული, შენთან რაღაც საქმე აქვსო. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოვიდა, ვნახე, საკმაოდ სიმპატიური კაცი იყო. მეუბნება, ჩემი შვილი დაბრუნდა მოსკოვიდან, საქართველოში უნდა ცხოვრება, შეხვდი, დაილაპარაკეთ, შეიძლება რაღაცაში გამოგადგეთო. დავპირდი, შევხვდები-მეთქი. ერთ დღესაც ბიზნეს-ომბუდსმენის საკითხი დადგა, ვიღაცა უნდა დაენიშნათ და უცებ გახარია გამახსენდა. დავუძახეთ, გავესაუბრეთ, საკმაოდ ნორმალური აღმოჩნდა".

პრინციპში, არ არის პრობლემა, არ მიიყვანდა ხუხაშვილი, მიიყვანდა ქიბროწაშვილი, აქ მთავარია, როგორ დაასრულა გიორგი გახარიამ პოლიტიკური კარიერა – ჩემი აზრით, ძალიან ცუდად.

„სი ქოულუ, ბატა, მარა მა დომიტალენქო?" (შენ კი მიდიხარ, ბატა, მაგრამ მე მტოვებო?) ეუბნება ტყვე მეგობარს, რომელიც გაქცევას აპირებს.

შენ კი გაიქეცი, გახარია, მაგრამ ჩვენ რატომ დაგვტოვე ჯიმაია, ასეთ დღეში?

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ქართველი ერი, რომელსაც ჭირსა შიგან გამაგრების უნიკალური უნარი აქვს, ამ სიძნელეებსაც აუცილებლად დაძლევს!

„საერთო გაზეთის“ სტუმარია საზოგადო მოღვაწე, საქართველოს პარლამენტის წევრი, გივი ჯიჯინაძე:

- ბატონო გივი, როგორ გესახებათ თქვენი მოღვაწეობა ამ საპარლამენტო ვადის განმავლობაში. რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა და რას ფიქრობთ, კონკრეტულად, რა ამოცანების დაძლევა მოგიწევთ უახლოეს პერიოდში?

- ქვეყანა მართლაც რომ დიდი და ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. და არა მარტო, ჩვენი ქვეყანა. კორონა ვირუსმა, არ მინდა ძალიან შეშინებული პიროვნების როლში აღმოვჩნდე, მართლაც რომ დააჩოქა დედამიწა, ჩვენი ულამაზესი ცისფერი პლანეტა. ამ გამოწვევას დიდი გაჭირვებით უმკლავდებიან ძლევამოსილი სახელმწიფოები და რა გასაკვირია, თუ საქართველოც მძიმე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. ამ პრობლემების გადაწყვეტას ერთ მუშტად, ერთ ხორცად და ერთ სულად შეკვრა სჭირდება ქართველი ერისა, რომელსაც გააჩნია არაჩვეულებრივი უნარი, ყველაზე დიდი გაჭირვების დროს დაირაზმოს და ისე გასცეს პასუხი ყველას და ყველაფერს.

მე იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტის (სამტრედია, ვანი, ხონი, წყალტუბო) მაჟორიტარი დეპუტატი ვარ და ამ მუნიციპალიტეტების ფონზე სრულად ვაცნობიერებ იმ გლობალურ პრობლემებს, რომელთა წინაშეც არმოჩნდა ცივილიზებული სამყარო. ამიტომაც ვაპირებ ოთხივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად და მოსახლეობის ჩართვით შევებრძოლოთ ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ჩვენს წინაშე დგას. ღმერთმა იცოდეს, ამ უთანასწორო ბრძოლაში ბოლომდე ვიბრძოლებ, რათა მართალი ვიყო ქვეყნისა და საკუთარი სინდისის წინაშე. ჩემი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატის უპირველესი ამოცანა ის არის, რომ ჩემი ამომრჩეველი პატიოსანი, პირნათელი, ერთან და ბერთან შეურცხვენელი ხალხი, ამაყობდეს თავისი ქართველობით, ლაღად და თამამად დადიოდეს საკუთარ მამულში.

სამწუხაროდ, კოვიდმა ძალზე შეგვაფერხა. არადა, უკვე განხორციელების პირას იყო მისული რამდენიმე პროექტი, რომელიც განვითარების ახალ სტიმულს მისცემდა ჩვენს რეგიონს და თავისუფლად ამოასუნთქებდა, როგორც ჩვენს გლეხობას, ისე ინტელიგენციის წარმომადგენლებსაც. მე მაინც გამოუსწორებელ ოპტიმისტად ვრჩები და მწამს, რომ ყველაფერს გავაკეთებთ ამ საშვილიშვილო მიზნების მისაღწევად. ადამიანების წინაშე დგას არაერთი პრობლემა, რომლებსაც მე თითქმის ყოველკვირეულად ვაწყდები და ვცდილობ, კონკრეტული მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობასთან ერთად მოვუგვარო პრობლემები მოსახლეობას.

როცა დაიწყო პანდემიის მეორე, უფრო შემზარავი ეტაპი, როცა დაავადებულთა რიცხვი ყოველდღიურად რამდენიმე ათასს აღწევდა, ამ მოვლენას, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის გამიზნულმა ქმედებებმა, რომლებიც ამ საშინელი დაავადების მძვინვარების დროს არ ერიდებოდნენ არც რიცხვმრავალ შეკრებებს და არც რიცხვმრავალ ღრეობებს. ერთი მიზანი ამოძრავებდათ, საქართველო ვერ გამკლავებოდა დაავადებას და საყოველთაო ქაოსისა და გაურკვევლობის პირობებში მოეხერხებინათ მღვრიე წყალში თევზის დაჭერა. მოეხერხებინათ თავიანთი უბინძურესი მიზნების განხორციელება. თუმცა ქართველი ხალხი არ წამოეგო ამ ავანტიურას და დღემდე ყველაფერი, ღვთის შეწევნით, ჩვენთვის სასურველ კალაპოტში მიედინება. როგორ შეიძლება არ ითქვას, რომ ამ ეტაპზეც კი არ შეწყვეტილა არც ერთი დიდი, მასშტაბური, ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე პროექტის განხორციელება და ასე იქნება დღეის შემდეგაც.

- არ შემიძლია არ გკითხოთ იმ პოლიტიკური კრიზისის შესახებ, რომლის გამოწვევასაც ცდილობენ ხელმოცარული პოლიტიკოსები, რომლებსაც არაფრად უღირთ ის გარემოება, რომ მათი უგუნური ქმედებების გამო ქვეყანა შეიძლება უფსკრულში აღმოჩნდეს.

- მათი მიზანიც სწორედ ეს არის, ქვეყნის დაქცევა და ნაცარტუტად ქცევა იმ მიღწევებისა, რომლებიც ქვეყანას გააჩნია. ბოლო საპარლამენტო არჩევნებმა სწორედ ეს დაადასტურა. მთელმა სამყარომ აღიარა ამ არჩევნების ლეგიტიმურობა — ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, დიდმა ბრიტანეთმა, ევროკავშირმა, ეუთომ, ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ, ყველამ, ვისაც გამოგზავნილი ჰყავდა დამკვირვებელთა საკმაოდ სოლიდური ჯგუფი, მხოლოდ ოპოზიციამ გადაწყვიტა, რომ მათი მარცხი მხოლოდ არჩევნების გაყალბებით იყო გამოწვეული და არა მათი უგუნური წინასაარჩევნო რიტორიკით. მათმა მოკავშირეებმაც — მათი ჯიბის არასამთავრობო ორგანიზაციებმაც კი უკან დაიხიეს და აღიარეს, შეცდომები დავუშვითო. მე კი ყოველივე ამას შეცდომად კი არა, დანაშაულად მივიჩნევ. ერთი სიტყვით, მათ ქმედებას არავითარი რეალური საფუძველი არ გააჩნია. გარდა მათი სურვილისა, ნებისმიერი საშუალებით მოექცნენ ხელისუფლების სათავეში და ქვეყანას გაუმეორონ ის უბედურებები, რაც მათი მართველობის ცხრა წლის განმავლობაში დამართეს. მათზე არც საპარლამენტო უმრავლესობის შეთავაზება ჭრის, რომელიც საპარლამენტო კომისიის შექმნას გულისხმობს და რომელიც არჩევნების შედეგებს შეისწავლიდა და გააანალიზებდა. შეჰპირდნენ კიდევაც, თუკი თუნდაც ერთპროცენტიან გადაცდომას დააფიქსირებთ, მაშინვე დავნიშნავთ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსო. მაგრამ ჯიუტად გაიძახიან, მოლაპარაკებას არავითარი აზრი არ აქვს, რომლებიც ამერეთში დგას, თქვენთვის გასაგებია და ეს კითხვაც ამას ეხება.

- წეღანაც მოგახსენეთ, რომ უმთავრესი პრობლემაა უმუშევრობა და ზოგადად, სოციალური საკითხები. სამართლიანობა მოითხოვს, რომ დაგიდასტუროთ, მოსახლეობის არცთუ მცირერიცხოვანმა ნაწილმა მოახერხა უკიდურესი გაჭირვებიდან თავის დაღწევა. თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილი კვლავაც ებრძვის უმწვავეს სოციალურ პრობლემატიკას. სწორედ მათთვის შესაქმნელია ახალი სამუშაო ადგილები, რაც ბიზნესის განვითარებას უკავშირდება. რა თქმა უნდა, რესურსი ბიზნესის კეთებისა, ჩვენს რეგიონს, საკმაოდ სოლიდური გააჩნია. მაგალითისთვის თუნდაც ტურიზმის სფეროს ავირჩევდი. თუნდაც ხონის რაიონში მდებარე ოკაცეს კანიონი, რომელიც ძალიან პოპულარული და პერსპექტიულია განვითარების თვალსაზრისი თ. წყალტუბოს რაც შეეხება და მისი განვითარების პერსპექტივას, შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისნაირი სასტარტო პოზიცია ბევრ რეგიონს არ გააჩნია და მისი სრული ამუშავების შემთხვევაში, დიდ სარგებელს მოუტანს არა მარტო მუნიციპალიტეტს, არამედ მთლიანად იმერეთის რეგიონს და სრულიად საქართველოს.

არ შეიძლება არ ითქვას სამტრედიის ბალნეოლოგიურ კურორტზე, რომელიც კერძო ინვესტორის ხელშია და, მიუხედავად ამისა, დიდი ხელშეწყობა ჭირდება. სამტრედიის ბალნეოლოგიური კურორტი თავისი პოტენციალით არაფრით ჩამოუვარდება წყალტუბოს. უფრო მეტიც, იქაური წყალი აღემატება თავისი შემადგენლობით და ისმევა კიდეც. აქ მუშაობენ ჰოლანდიელი ბიზნესმენები და მათთან შეთანხმებაა საჭირო, რათა ეს მართლაც უნიკალური წყალი ხალხის სამსახურში ჩავაყენო თ. ვანში გახსნილია მსოფლიო მნიშვნელობის ეთნოგრაფიული მუზეუმი, რომელშიც დავანებულია კაკობრიობის განვითარების ეტაპების არქიეტაპები. იქ მალე დასრულდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასტუმროს მშენებლობაც და ვანიც მზად იქნება, ტურისტების მოსაზიდად.

ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ მწვანილის მოყვანას, რომელიც თავისი მნიშვნელობით არაფრით ჩამოუვარდება სოფლის მეურნეობის ისეთ უმნიშვნელოვანეს დარგს, როგორიც მევენახეობაა. ჩემს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს, დავარწმუნო სოფლის მოსახლეობა, რომ მათ გაცილებით გაუადვილდებოდათ მუშაობა, თუ შექმნიდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს. ეს აპრობირებული მეთოდია მთელ ევროპაში. ასევე ძალიან დიდია კოპიტნარის საერთაშორისო აეროპორტის დანიშნულება, რომელიც კიდევ უფრო გაფართოვდა და მზადაა საქართველოს სტუმართა მისაღებად. ერთი სიტყვით, პერსპექტივებიც გრანდიოზულია და მუშაობაც ამ მიმართულებით, დიდი გველის.

- სამტრედიის მუნიციპალიტეტი, ის ერთ-ერთი საკვანძო მნიშვნელობის მქონე რაიონია თავისი სარკინიგზო არტერიებით. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ამ მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა სჭირდება?

- რა თქმა უნდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მუნიციპალიტეტებს შორის, ის საქართველოს სარკინიგზო და საავტომობილო გზაჯვარედინს წარმოადგენს ამიერკავკასიაში. სამწუხაროდ, ბოლო წლებში დატრიალებულმა კატაკლიზმებმა ცუდად იმოქმედა სამტრედიის განვითარებაზეც. ფაქტობრივად, შეწყდა მიმოსვლა დასავლეთის მიმართულებით. ამ მიმოსვლის აღდგენა კი პოლიტიკური საკითხია და ეს ქვეყნის უმაღლესმა ხელისუფლებამ უნდა გადაჭრას. იმედი მაქვს, ყინული დაიძვრება და სამტრედიაც დაიბრუნებს ადრინდელ ფუნქციებს.

- ბატონო გივი, თქვენ, თქვენი პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გარდა, მუდმივად მოიაზრებით, როგორც ქართული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი. თქვენ და ანსამბლი „ქართული ხმები“ ქართული ნიჭიერების, გენის, შემართების ერთ უბრწყინვალეს გამოვლინებად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია დღესაც. ამიტომ არ შემიძლია არ მოგილოცოთ ის ფაქტი, რომ ქართული კულტურა, პარლამენტის გადაწყვეტილებით,

თანდათან გამოდის გერის როლიდან და ამიერიდან, მას საკუთარი კურატორი ეყოლება კულტურის სამინისტროს სახით, რას იტყვით ამის თაობაზე?

- კულტურა და ხელოვნება საქართველოს სავიზიტო ბარათს წარმოადგენდა მუდამ და წარმოადგენს დღესაც. ამაზე ორი აზრი არც შეიძლება არსებობდეს. „ვეფხისტყაოსანი“ სრულიად დამსახურებულად უმშვენებს გვერდს მსოფლიო მნიშვნელობის შედევრებს და, ხშირ შემთხვევაში, მათზე წინაც კი დგას. ჩვენი „ლექსი ვეფხვისა და მოყმისა“, ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე შემოქმედება და თუნდაც ჭაბუა ამირეჯიბის ლიტერატურული მემკვიდრეობა, ჩვენი სიამაყის ერთი საუკეთესო ნიმუშია. ეს ნაწარმოებები სრულად პასუხობენ დემოკრატიის და ტოლერანტობის დღევანდელ მოთხოვნებს და თან ახალი შტრიხებიც შეაქვთ მასში. ქართული სიმღერა, ცეკვა, თავისთავადი მუსიკა, მხატვრობა, თეატრი, კინო, არქიტექტურა ქართული ფენომენის გამორჩეულობაზე მეტყველებს და ამიტომ სამართლიანობის აღდგენად, მიგვაჩნია, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება — აღდგენილი იქნას კულტურის სამინისტრო. ეს ქართული გენის მომავალი გამარჯვებების საწინდარი გახდება.



- გვაინტერესებს თქვენი აზრი ბატონი ბიძინა ივანიშვილის როლსა და მნიშვნელობაზე ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. როგორ შეაფასებთ მის გადაწყვეტილებას პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე?

- ბიძინა ივანიშვილი მართლაც უნიკალური მოვლენაა ჩვენს სინამდვილეში. მე მას 1997 წლიდან ვიცნობ და არა მარტო ვიცნობ, ვმეგობრობ კიდეც. მან, ფაქტობრივად, შეუძლებელი შეძლო და საქართველოს დიდი ჭირი მოაშორა, ჭირი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია. ბატონმა ბიძინამ ეს შეძლო მშვიდობიანად, ყოველგვარი ძალადობისა და ძალმომრეობის გარეშე. საჭიდაო ტერმინი რომ გამოვიყენოთ, ბეჭებზე დასცა ქართველთა სისხლზე გაზულუქებული ხელისუფლება. მან შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა არაერთი სახელოვანი ქართველი შემოქმედი, დანგრევასა და იავარქმნას გადაარჩინა არაერთი ტაძარი და ხელოვნების კერები. ლომის წილი დადო სამების საკათედრო ტაძრის აგებაში.

ერთ უბრალო მაგალითს მოვიყვან, რაც მის გამორჩეულად ეროვნულ პოზიციაზე მეტყველებს. ქობულეთთან ახლოს ბავშვებისთვის უნიკალური კომპლექსი „ციცინათელა“ ააგო და სამართავად სახელმწიფოს გადასცა. იმდროინდელმა ხელისუფლებამ არც აცია, არც აცხელა და „ ციცინათელა“ მყისვე უცხოტომელებზე გაყიდა. ბატონმა ბიძინამ ეს გაიგო თუ არა, მაშინვე გამოისყიდა ახალი მეპატრონეებისგან ბავშვების საყვარელი ცენტრი და ისევ საქართველოს საკუთრება გახადა. ეს ერთი უბრალო შტრიხია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ სხვანაირად ბატონ ბიძინას არ უცხოვრია. იგი უშიშარი კაცია და როცა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მასა და მის ოჯახს სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა, ერთი წუთითაც არ დაუხევია უკან და ბოლომდე მიიყვანა დაწყებული საქმე. პოლიტიკიდანაც იმიტომ წავიდა, რომ ღრმადაა დარწმუნებული, „ქართული ოცნების“ წევრებისგან დაკომპლექტებული ხელისუფლება სწორედაც რომ მის გზას ადგას და ბოლომდე მიიყვანს მის მიერ დაწყებულ საქმეს. ხელისუფლებაშიც ისეთი გამორჩეული პიროვნებები დატოვა, როგორიც ჩვენი პარტიის ახალი თავმჯდომარე, ახალგაზრდა, ჭკვიანი კაცი ბატონი ირაკლი კობახიძე, ჩვენი ახალი პრემიერ-მინისტრი და სხვები არიან.

- ბატონო გივი, დიდი მადლობა, რომ გამონახეთ დრო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის. გისურვებთ წარმატებებს თქვენს საქმიანობაში.

- მადლობას მოვახსენებ „საერთო გაზეთს“ ასეთი ყურადღების გამოჩენისთვის. თქვენი გაზეთი ყოველთვის ხმალამოღებული იბრძოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად და მჯერა, კვლავ ასეთი შემართებით გაგრძელებთ მოღვაწეობას.

ნატო ივანიაძე
593 56 48 28

ფეისბუქის „ლომები“

სოციალურ ქსელ ფეისბუქში რაც ხდება, თავისუფლად შეიძლება შევადაროთ „ცივ ომს“, ილანძღება, იწყევლება, ცინიკოსობს ყველა, ვისაც ამის საშუალებას აძლევს საკუთარი „ინტელექტი“ და „ზნეობა“. ლანძღავენ პოლიტიკოსებს, სასულიერო პირებს, ხელოვნებისა და კულტურის სფეროების დამსახურებულ წარმომადგენლებს, მეცნიერებს, ერთი სიტყვით, იმ ადამიანებს, რომლებიც ავტორიტეტით სარგებლობენ საზოგადოებაში და რიგით მოქალაქეებსაც, რომელთა აზრი და პოზიციაც არ მოწონთ. ილანძღება და იგინება ქალი და კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა. ამ „საქმეშიც“, როგორც წესი კოლექტიური ნაცები და მათი ფანკლუბი „ლიდერობს“. ერთმა ფრიად ჭკუასაკითხავმა კაცმა მითხრა, ფეისბუქი „პოპულარობის“ იოლად მოპოვების საშუალებაა. ადამიანები, რომლებიც ფაქტობრივად არაფერს წარმოადგენენ, არაფერი გაუკეთებიათ მნიშვნელოვანი მწერლობაში, მხატვრობაში, მუსიკაში, პოლიტიკაში თუ ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრების სფეროში, ფეისბუქით შესაძლებელი გახდა, რომ ეს ფაქტობრივად არარაობები, „პოპულარულები“ გამხდარიყვნენ. და რით გახდნენ? იმით, რომ ვიღაცას დედას შეაგინებენ, ვიღაცას გენიტალიებად მოიხსენიებენ, იმ ადამიანებს, რომლებიც რეალურად მათზე გაცილებით მაღლა დგანან თავიანთი ინტელექტით, მნიშვნელობით და გაკეთებული საქმეებით. სოციალური ქსელი პოპულარობის იოლად, მუქთად მოპოვების საშუალება გახდაო. გამუდმებით მოედინება ზიზღისა და სიბინძურის ნიაღვარი, მათაც როგორც თავად ამ სიბინძურის ავტორთ და სულგაყიდულ, არამკითხველიბერასტ „ენჯეოშნიკებს“ დაუჩემებით, რომ ეს გამოხატვის თავისუფლებაა. თურმე მავანის პირადი გვერდია და რასაც უნდა იმას დაწერს, ვისაც უნდა იმას ეტყვის, რაც მოეგუნებება, ეს ვითომ პირადულია. კი მაგრამ, რანაირად არის პირადული, როცა ამ ინფორმაციას ათასობით ადამიანი კითხულობს, ფაქტობრივად, საჯარო ინფორმაციაა.

პირადი ის არის, როცა ე.წ. მესინჯერში მისწერ კონკრეტულ ფეისბუქმომხმარებელს რაღაცას და მესამე პირი ამას ვერ წაიკითხავს. ისე, პირადშიც რატომ უნდა მისწეროს ამისთანა პოპულარობის მოსურნემ, უცნობ ადამიანს უწმაწური შინაარსის მესიჯები? აი, ასე ხდება ადამიანების დატერორება, დაზომბირება, ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა. ადამიანებს სიმართლე ვერ უთქვამთ იმის შიშით, რომ ვიღაცამ უწმაწური სიტყვებით არ გალანძღოს პირადში თუ სოციალური ქსელის ღია სივრცეში. ამით ფაქტობრივად, საზოგადოებრივ აზრზე ზეწოლა ხდება, რა მხრივაც, როგორც აღვნიშნეთ განსაკუთრებით ნაცები და მათი „ფანკლუბი“ აქტიურობს, თუმცა არც ის ხალხი აკლებს, რომელიც თურმე არც ნაცია და არც ქოცი, ერთი სიტყვით, შემზარავი, საზიზღარი სურათია შექმნილი.

თემასთან დაკავშირებით, გთავაზობთ საუბარს ფსიქოლოგ ნანა აბესაძესთან:

—ზოგადად ყველა ადამიანში დევს აგრესია, ვისშიც უფრო მეტად არის ეს მონაცემი, ის ავლენს. საერთოდ ასეთ აგრესიულ, უხამს კომენტარებსა თუ პოსტებს ძირითადად, ის ადამიანები წერენ, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან, არც განათლებით, არც ცოდნის დონით, არც ინტელექტით და უნდათ გამორჩეულები იყვნენ, მიიქციონ სხვისი ყურადღება. ასეთ ადამიანს მიაჩნია, რომ, რაც უფრო „მჭახე“ თუ უხამს კომენტარს დაწერს, უფრო მეტ „ლაიქს“ დააგროვებს და მეტად მიიქცევს ყურადღებას. ეს მათი პიროვნული კომპლექსების ხარჯზე ხდება და რატომ — ამ ადამიანებმა მთელი ცხოვრების განმავლობაში ვერ მიიპყრეს ყურადღება, არაფრით არ გამოირჩეოდნენ მასისგან არც სწავლით, არც ჭკუა-გონებით, მსჯელობით, საერთოდ არაფრით. სოციალურ ქსელში შესანიშნავი გარემოა, რომ იყოს „გამორჩეული“ თუნდაც იმით, რომ მის რაღაც ისეთ კომენტარს 30 მოწონება აქვს და ეს უხარია. ეს ერთგვარი თვითდამკვიდრებაა ადამიანისთვის, ხომ ხედავთ ჩემმა კომენტარმა რამდენი მოწონება დააგროვაო. აუცილებლად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ აგრესიული კომენტარების დამწერნი არიან ტროლები, ბოტები თუ რასაც ეძახიან, რომლებსაც ვიღაცები უხდი-

10 გვ.

9 გვ.

ფეისბუქის „ლომეები“

ან ამაში ფულს. რადგან საზოგადოება ასეთი დამშეული, გაღატაკებულია, ამაზე თანხმდება, მაგრამ სინდისის ძარღვიც ხომ უნდა არსებობდეს?

ზოგადად, ამ აგრესიულ ადამიანებზე ასეთი მოკლე მონახაზი შეიძლება გავაკეთოთ. იგივე საქართველოშიც გარემო ისეთი დამთრგუნველია, მეტი რომ აღარ შეიძლება, საერთოდ კი, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია ხომ? როცა ასეთი ნეგატიური გარემოა, აგრესია გროვდება და ადამიანებმა არ იციან სად წაიღონ ეს აგრესია. ტელევიზორიდანაც გაუთავებლად გვესმის მოკვდა, მოკვდა... გინდა თუ არ გინდა, ეს მაინც ილექება ადამიანის ქვეცნობიერში. ზოგმა შეიძლება თქვას, ტელევიზორს არც ვუსმენ, ხმა დაწეული მაქვსო, უნდა, არ უნდა, ის უარყოფითი მაინც ილექება მის ქვეცნობიერში და მერე ვლინდება ქცევის სახითაც. იმპულსური ქცევის, არაკორექტული ქცევის, არაკორექტული კომენტარის სახით. ინფორმაცია, რომელსაც ყოველდღიურად ვიღებთ მასმედიისგან, გარდა იმისა, რომ ნეგატიურად მოქმედებს ჩვენს აღქმაზე და იწვევს რიგ პათოლოგიურ ცვლილებებს, ის ასევე ემსახურება ჩვენს ცნობიერზე ზემოქმედებას, იგივე მანიპულაციას. ეს არის ფსიქოლოგიური ხრიკი, რომელიც გვაყენებს ფაქტების წინაშე, რომელთაგანაც უნდა ავირჩიოთ ცუდიდან ნაკლებად ცუდი, თან უნდა გვეგონოს, რომ ეს ჩვენი გადაწყვეტილებაა. ფსიქოლოგიურ მანიპულატორებს აინტერესებთ ადამიანის ინტელექტუალური რესურსი, რათა ის მიმართონ საკუთარი ინტერესების გასატარებლად. როცა არჩევანია ორ ცუდს შორის და ვირჩევთ ნაკლებად ცუდს, სწორედ ეს ნაკლებად ცუდია მანიპულატორისთვის სასურველი.

როცა ადამიანი გამუდმებული სტრესის ქვეშ იმყოფება, მისი ორგანიზმი საჭიროზე მეტ ადრენალინს გამოყოფს, რაც იწვევს ასე შემაწუხებელ ტაქიკარდიას. დღევანდელი და არამარტო დღევანდელი სტრესული გარემო იგივეა, რაც მტაცებელი ცხოველის თავდასხმა, რადგან ჩვენი ტვინი დიდად არ ანსხვავებს ვეფხვის ღრიალს და ვინმესგან მოსმენილი ნეგატივით გამოწვეულ ემოციას. ყველა შემთხვევაში ირთვება დაცვის მექანიზმი და ჰორმონები იწყებენ მუშაობას. გამუდმებული სტრესის ქვეშ ცხოვრება იგივეა, რომ ადამიანი მუდმივად გაურბოდეს მტაცებელს.

- ქალბატონო ნანა, ფეისბუქტროლები ახსენეთ, რომლებსაც ვიღაცები უხდიან ხელფასსო. არაერთხელ მომისმენია პროფესიონალი ძალოვანებისგან, რომ ადგილობრივი ძალიან „თავისუფლებისმოყვარე დემოკრატები“, სწორედაც უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტურა და მათი ინტერესების გამტარებლები არიან. არ გამოვრიცხავ, რომ ზუსტად მაგ „კონტინგენტიდან“ იყვნენ ფეისბუქტროლებიც. თქვენ, როგორ ასკვნით, რომ ვიღაცა კონკრეტული პერსონა ტროლია?

- მე სოციალურის ქსელის კონკრეტულ ჯგუფში უამრავი პაციენტი მყავს, ანუ უკვე ჩემი სტატისტიკა მაქვს მათ შესახებ, ვინც ათვალიერებს ამ ფეისბუქგვერდებს. სულაც სამედიცინო გვერდი რომ არის, იცით იქაც რამდენი ტროლია, ანუ დეზინფორმატორები, რომლებიც, როგორც გითხარით, მაგაში იღებენ ხელფასს. ერთი სიტყვით, გამომდინარე ამ პანდემიიდან და იმ გარემოებიდან, რომ ადამიანი არ არის რეალიზებული, ხდება ის, რაც ხდება.

ვის რა პრობლემა ჰქონდა ბავშვობაში, ვინ ვერ სწავლობდა, ვის დედის ყურადღება აკლდა, ვის რა, მოკლედ, ყველას თავისი კომპლექსები აქვს. ესენი უმეტესად არიან დაკომპლექსებული ადამიანები იმიტომ, რომ შემდგარი, რეალიზებული პიროვნება, არანაირად არ წავა ამაზე, უბრალოდ, არ ჭირდება. მე ასე ვფიქრობ და მიმაჩნია, თუმცა ზიგმუნდ ფროიდი გაცილებით მეტს გვეტყოდა, ვიდრე მე და ნებისმიერი სხვა ფსიქოლოგი გეტყვით.

იმდენად სპეციფიური და გასაიდუმლოებულია მათი მუშაობის სტილი, რომ მე ნამდვილად არ ვიცი როგორ მუშაობენ. ფაქტია, რომ იმ სამედიცინო ჯგუფში, რომელშიც მე ვარ, მრავლად არიან დეზინფორმატორები. უბრალოდ ვერ ვხვდები, მათ რაში ჭირდებათ ადამიანებს ცრუ ინფორმაცია მიაწოდონ ჯანმრთელობაზე, მაგრამ მე ვიცი კოვიდპანდემიის დროს პანიკა რომ დაეთესათ, ასეთ რაღაცას აკეთებდნენ. რამდენიმე ასეთი ადამიანი დავიჭირე კიდეც ფაქტზე. ვის და რა ძალას ემსახურებიან ეს ხალხი, მე და თქვენ ვერასოდეს გავიგებთ, მხოლოდ ის შეიძლება ვიცოდეთ, რომ ტროლია და დეზინფორმაციის გავრცელებაში ფულს უხდიან.

სიმართლე გითხრათ, დღეს არსებული სურათი 90-იან წლების დასაწყისს მახსენებს, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და დამოუკიდებლობისკენ დავიწყეთ სვლა, თითქოს უცებ ამოტრიალდა ყველაფერი. ქვეშ მოქცეული ბალასტი, ბოდიში მომითხოვია და მეძავები, ნარკომანები, ქურდები, არარაობები, აი, ასეთი „მახინჯი“ ადამიანები ამოვიდნენ ზედაპირზე და თქვეს, ახლა ჩვენი დრო მოვიდაო. ზუსტად იგივე ვითარებაა ახლა, დააკვირდით ვინ უზით „ობიექტურად პოპულარული“ ტელევიზიების ეთერებში, ან ვის რეკლამას ეწევიან ბეჭდურ თუ ინტერნეტმედიაში. უბრალოდ, მაშინ, ანუ 30 წლის წინ ინტერნეტი და ფეისბუქი არ იყო, მაგრამ ასე ხდებოდა. იყო მივარდნები, ადამიანების დაშინება-დატერორება... ვინ იყვნენ ეს დამშინებელ-დამტერორებლები, არავინ იცის, მათ სახელი და სახე არ ქონდათ. ესენი იყვნენ კოლექტიური მოძალადეები, რომლებიც მიტმასნილები იყვნენ ეროვნულ მოძრაობას. ვითომ რაღაც პატრიოტულ მოტივებზე იყო აგებული მათი ყველა ქმედება და ასე ხდებოდა ფაქტობრივად, მთელი საზოგადოების დაშანტაჟება. ამ რამდენიმე წლიანი „პატრიოტიზმის“ შედეგად მივიღეთ, დანგრეულ-გაპარტახებული ქვეყანა. ახლაც იგივე ხდება. რამდენჯერმე ითქვა, მივხედოთ ამ ფეისბუქის „მწერლებსო“, სახელისუფლებო წრეებშიც დაიწყეს ამაზე საუბარი, იქნებ შეიქმნას რაღაც სამსახური, რომელიც სოციალურ ქსელებს, ფეისბუქსივრცეს დაარეგულირებს და გააკონტროლებსო, მაგრამ რატომღაც არაფერი გამოვიდა აქედან და დღემდე გრძელდება ქაოსი და აღვირახსნილობა.

ხელისუფლებას არ გამოუვიდა, მაგრამ გამოსვლია აქაურ „ნამესტნიკებს“ ცენზურის „დარგში“, სახელმწიფო ტელევიზიის ექს-შეფინია, ნაციმიდრეკილ ე.წ. ჟურნალისტ თამარა კინწურაშვილსა და ვინმე „თინეიჯერ“-მდედრ ბუზიაშვილს. როგორც ფეისბუქმომხმარებლები აცხადებენ, რომელთაგან ზოგი ცნობილი ადვოკატია, ზოგი ეროვნულად მოაზროვნე სამოქალაქო აქტივისტი ან უბრალოდ პატრიოტი ადამიანი, თვეობით ბლოკავს ამ ნაცმდედრების ტანდემი. ნორმალურად მოაზროვნე ადამიანები, ის ხალხი, რომლებიც კოლექტიური ნაცების მხარდამჭერებად არ მოიაზრებიან, რასაც ღიადაც აცხადებენ, ფეისბუქცენზორების „მსხვერპლი“ ხდებიან. სამაგიეროდ, ამ „ობიექტურმა“ კანტორამ რატომღაც არ დაბლოკა ის გაურკვეველი „პოლიტიკური გემოვნების“ მქონე „მეცნიერ-ფიზიკოსი“, როგორც თვითონ წერს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი მამრი, რომელიც ლამის ერთი კვირის განმავლობაში უწმაწური სიტყვებით გვლანძღავდა როგორც თქვენს მონამორჩილს, ისე, „ქართულ ოცნებას“ ბიძინა ივანიშვილის მეთაურობით, კოლექტიური ნაცების მოწინააღმდეგეს და საერთოდ, ყველა ადამიანს, რომელმაც შენიშვნა მისცა, რომ ამ ასაკის ადამიანს, მით უმეტეს, განათლების სისტემაში მომუშავეს, არ შეეფერებოდა ამ ლექსიკით საუბარი. ეს ე.წ. ლექტორი მესინჯერში შემომივარდა და ახლა იქ დააყენა სიბინძურის კორიანტელი. გამოფინა კედელზე ჩემი ფოტოები, რომ თურმე 20-ლარიანი მეძავი ვარ, ფსიქიურად შეშლილი, სუს-ის და პოლიციის „ნასედკა“ და ა.შ. რომელიც თურმე ამ „უწყინარ“, „ზრდილობით აღსავსე“ „მეცნიერს“ ვლანძღავ და „ვატერორობ“. თქვენ წარმოიდგინეთ, მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ ორივე სქესის ფეისბუქმომხმარებლებიდან, თურმე უნდა ლანძღო უწმაწური სიტყვებით, ვინც შენიშვნას მოგცემს უზრდელური გამონათქვამის გამო. ერთმა ასეთმა „ვაჟკაცმა“ ვითომდა საკაძემ „დამარიგა“, პოლიციას სად სცალია ფეისბუქის ჩასვრილი „ლომების“ სადევნად, მართლა დამნაშავეებისთვის ვერ მიუხედიათო. თურმე უცნობი ადამიანის, მით უმეტეს ქალის ლანძღვა-გინება „საგმირო“ საქციელია. ეს „ბატალიები“ იმიტომ წამოიწყო იმერელმა „მეცნიერმა“, როცა ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი ქალბატონის ასევე უწმაწური სიტყვებით ლანძღვის გამო, შენიშვნა მივეცი. რას იშლით ნერვებს, დაბლოკეთ ეს ბინძური გარეწარიო, მირჩიეს ამ პერსონის ლექსიკით შეძრულმა ფეისბუქმეგობრებმა, კი ბატონო, დავბლოკე, მაგრამ იგივე გაგრძელდა. სხვათა შორის, სოციალური ქსელის მეშვეობით მივმართე განათლების სამინისტროსა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ეს კონკრეტული პერსონა თუ იყო მათი თანამშრომელი, მით უმეტეს ლექტორი და თუ იყო, რა ესაქმებოდა ამ ლექსიკის მქონე არსებას სასწავლო დაწესებულებაში. რა თქმა უნდა არავინ გამომხმაურებია, ისე, საერთო ნაცნობმა მითხრა, რომ მართლაც მუშაობს იქ ეს „ღირსეული“ კადრი. ახლა უკვე უშუალოდ მივმართავ ორივე უწყება-დაწესებულებას და მოვისმენ მათ პოზიციას.

მაინც და მაინც იურისტობა არ ჭირდება იმის მიხვედრას, რომ, რაც დღეს ფეისბუქში ხდება კონკრეტული ადამიანების, მათ შორის, პოლიტიკოსების მიმართ, არის სისხლის სამართლის დანაშაული, ოღონდ ეს დანაშაული არის ასე ვთქვათ, დაფარული და დაცული იმით, რომ ეს არის პირადი მიმოწერა, ვიღაცის პირადი საქმე. არავითარი პირადი, ეს არის საჯაროდ ადამიანების შეურაცხყოფა, ცილისწამება, ღირსების შელახვა. ვიმეორებ, ან პირადში რატომ უნდა მოგწეროს ვიღაცა არარაობამ სიბინძურე და გლანძღოს? რატომ არ არის ეს სს-ის დანაშაული? რა მნიშვნელობა აქვს ქუჩაში შეგაგინებს ვიღაც მშობლებს და გაგლანძღავს, თუ ამ შემთხვევაში სოციალურ ქსელში. პირველი თურმე დანაშაულია და ფეისბუქში ამას ვიღაცა რომ აკეთებს, ეს აღარ არის დანაშაული? დიდი ალბათობით, ეს არის სპეციალურად დატოვებული ხვრელი, იმ „კანონშემოქმედთაგან“, რომლებმაც სს-ის კოდექსიდან ამოიღეს ცილისწამებისა და სამშობლოს ღალატის ბრალდებების დასჯადობა. „შეუმდგარმა“ პერსონებმა იციან, რომ მაინც და მაინც ვერ შეედავებიან სისხლის სამართლებრივი კუთხით, გამოუმუშავდათ დაუსჯელობის სინდრომი და არავის ეპუებიან. ლანძღვა-შეურაცხყოფის ფაქტზე პოლიციას რომ მივმართე განცხადებით და გამომძიებელი დაუკავშირდა „ფიზიკოს-მეცნიერს“, თურმე ახლა სამართალდამცავებს დაატეხა აგრესია, რა ვქნათ, სავარაუდოდ, ზესტაფონიდან ვერაფერით ჩამოვიყვანეთ დასაკითხად, ძალიან აგრესიულიაო, თურმე აქეთ იმუქრება. კრიმინალურ პოლიციას სიტყვიერ შეურაცხყოფაზე თურმე მკაცრი რეაგირების მოხდენა არ შეუძლია. ამ „აგრესიულმა“ დავუშვათ, ქუჩაში ვიღაცას დანა რომ გაუყაროს, პასუხი არ უნდა ვაგებინოთ, იმის მიმიზეზებით, აგრესიულიაო? რას ნიშნავს აგრესიულია, არ ექვემდებარება კანონს? მე ან ჩემი ოჯახის წევრი „გავაგრესიულდეთ“ და ცხვირპირი დავამტვრიოთ ამ მართლა არარაობას, არც ჩვენ გვაგებინებთ პასუხს? ისე, მახსოვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფროსმა ახალგაზრდა ქალბატონმა წამოიწყო საუბარი ასე ვთქვათ, ფეისბუქტერორთან დაკავშირებით, მაგრამ მალევე გაჩერდა ეს საკითხი. ალბათ მერე უთხრეს მავანთ, შენ რა, ამაზე ცენზურას გვიწესებო და გააჩუმეს.

ფეისბუქმომხმარებლები კითხულობენ, სად ბრძანდება ე.წ. სახალხო დამცველი ქალბატონი ლომჯარია, რომელსაც ჩვენი ჯიბიდან ვუხდით სოლიდურ ჯამაგირს, ახლა არ ირღვევა ადამიანის უფლებები, ან იგივე ქალთა უფლებები, თუ მარტო კოლექტიური ნაცები და მათი ფანკლუბი, სექსუალური, ეროვნული და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები არიან ადამიანებიო. საღად მოაზროვნე საზოგადოებას განსაკუთრებით ის აშფოთებს, ქალბატონები აქტიურობენ ამ ლანძღვა-გინებაში. საზოგადოება იმდენად გაირყვნა და გათახსირდა, გათახსირება მეტი კი არაფერია, ქართველი ქალი უწმაწური სიტყვებით რომ ილანძღება, თან ამბობს ოჯახის ქალი, „მაგარი“ ქალი ვარო. უფრო დიდი დაცემა და ფსკერი შეიძლება არსებობდეს? ჩემთვის ფრიად პატივსაცემი, ღირსეული ადამიანის სიტყვებს მოვიშველიებ, ეს არ არის ქართველი ხალხი, ამის გამკეთებელს არ შეიძლება ქართველი დაუძახო, გასულები არიან ქართველობის „ჩარჩოებიდან“. ეს ადამიანები ვერც საქართველოს დამცველებად გამოდგებიან, ვერც საზოგადოების მსახურებად და ვერც კარგი ოჯახის პატრონებად.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ქართველი აზერბაიჯანელები, არც ერთ ომში, რომელიც საქართველოს მუსლიმან მტერთან ჰქონია, მუსლიმების მხარეს არ დავმდგარვართ და არც არასოდეს დავდგებით

გვესაუბრება საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე ალი ბაბაევი.

— ალი აღა, რას იტყვით გარეჯის საკითხზე?

— საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელები ყოველთვის ვიყავით და ვართ საქართველოს ინტერესების გამომხატველი. ის, რაც ჩვენს კომპეტენციაში არ შედის და სახელმწიფოთა შორის საკითხია, ჩვენ არ ვერევით. მაგრამ გვწყინს, როცა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები საინფორმაციო საშუალებებში და სოციალურ ქსელებში შეურაცხყოფას გვაყენებენ. ჩვენ მომხრე ვართ ორი სახელმწიფოს კეთილმეზობლური დამოკიდებულების და ნურავინ ჩაგვრევს ამ საქმეში. ვთხოვთ ქართველებს — შეურაცხყოფას ნუ გვაყენებენ.

რაც შეეხება დავით გარეჯს, სამონასტრო კომპლექსი, რომელიც ერთ-ერთმა ასურელმა მამამ დავითმა ააშენა, იყო ყველა ქრისტიანის სალოცავი ადგილი. იქ მიდიოდნენ სალოცავად, როგორც ქართველები, ასევე ალბანელები, რადგან მაშინ საზღვარი ასე არ იყო გავლებული. ასეა ახლა ქურმუხის წმინდა გიორგის სალოცავი. იქ ქრისტიანული წირვა-ლოცვა კი მიმდინარეობს, მაგრამ ზოგიერთი მუსულმანი ფეხშიშველი მიდის და ტაძრის კედლებზე, გარედან, სანთლებს ანთებს.

— ანუ, თქვენ იმას ამბობთ, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, როგორც ქართველებისაა, ისე არის ალბანელების შთამომავალი აზერბაიჯანელების?

— დავით გარეჯი არის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური კულტურის ძეგლი, სალოცავი, რომელიც დღეს არის საქართველოს ტერიტორიაზე და არის ქართული ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი.

ჩვენ მომხრე ვართ, ამ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტება დადგინდეს და დამნაშავე თუ ვინმე არის ამ გაუგებრობაში, დაისაჯოს.

საერთოდ, დავით გარეჯი ყოველთვის იყო პოლიტიკური სპეკულაციის თემა.

არსებობენ ძალები, რომლებიც დღესაც დაინტერესებული არიან ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის გაფუჭების. ამიტომ მომხრე ვარ, ბოლოს და ბოლოს, გამოიძიოს პროკურატურამ და გაირკვეს ყველაფერი. განისაზღვროს მიჯნა, საზღვარი და დამთავრდეს გაურკვევლობა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში, რადგან ეს დიდ ზიანს აყენებს იმ მეგობრულ დამოკიდებულებას, რაც არის აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის. ყველაზე მეტად ეს გვაწუხებს ჩვენ — საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს. ჩვენ მუდმივი შეურაცხყოფის ობიექტები ვხდებით.

— გამოვიდეს აზერბაიჯანის ხელისუფლება და თქვას თავისი სიტყვა, აქ ხომ, ბოლო-ბოლო, აზერბაიჯანელები იჩაგრებიან, როგორც თქვენ ამბობთ, უსამართლოდ.

— არ მოველით მათგან დაცვას. ჩვენ არასდროს ჩაგვითვლია ჩვენი თავი იმ სახელმწიფოს მოქალაქეებად. აზერბაიჯანი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოა. ჩვენ საქართველოს ინტერესებს ვითვალისწინებთ.

ვინც არ იცის, კარგად გაერკვიოს. ჩვენ, იმის მიუხედავად, რომ ვართ მუსულმანური სარწმუნოების ხალხი, არც ერთ ომში, რომელიც ჰქონდა საქართველოს მუსულმანური მტრის წინააღმდეგ, არ დავმდგარვართ მუსულმანების მხარეს. ჩემი ბევრი წინაპარი საქართველოს დაცვას შეეწირა და მეც ამას ვაპირებ, თუ საჭირო იქნა.

კიდევ ვიმეორებ: დავით გარეჯი არის საქართველოს ისტორიული მემკვიდრეობის კულტურული ძეგლი, რომელიც არის შესული იუნესკოს ძეგლთა დაცვის ნუსხაში. ამის მეტს მე ვერაფერს გეტყვით.

— თქვენ ბიძინა ივანიშვილის თანამებრძოლი ხართ, რამდენადაც ვიცი, 2011 წლიდან. ის წავიდა პოლიტიკიდან. რას იტყვით, ყველაფერი კარგად დატოვა საქართველოში?

— 2006 წლიდან ვიყავი სამართლიანობის მომხრე და ვიბრძოდი იმის მიუხედავად, რომ უდიდეს მორალურ და ფსიქოლოგიურ წნეხებს გავდიოდით მეც და ჩემი ოჯახიც სააკაშვილის მხრიდან.

2007 წლის 2 ნოემბრიდან ვიდექი ქართველი ხალხის გვერდით და ყველა ქარტეხილი გავიარე 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, ანუ სააკაშვილის რეჟიმის დამხობამდე.

2011 წლიდან მე ვიყავი ბიძინა ივანიშვილის მომხრე. ვიყავი სათათბიროს წევრი, იმ 26 კაციდან, რომლებიც შემოიკრიბა მაშინ ბიძინა ივანიშვილმა. დღეს იმ 26-დან ბევრი მინისტრია, ან სხვა დიდი თანამდებობები უკავიათ.

მე გახლდით „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს წევრიც.

2015 წლის მერე პოლიტიკიდან დისტანცირებული ვარ, თუმცა ერთი დღე არ ვყოფილვარ ჩემი გუნდიდან წასული. დღემდე ერთგული ვარ „ქართული ოცნების“, რადგან ვარ ამ პარტიის დამფუძნებელი ირაკლი ღარიბაშვილთან, სოზარ სუბართან და სხვებთან ერთად.

დღეს, სამწუხაროდ, „ქართულ ოცნებაში“ მოვიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავის დროზე ქვას და კეტს გვიშენდნენ, გვაგინებდნენ და გვდევნიდნენ. ახლა ზოგი მათგანი პარლამენტარია, ზოგი — სხვა თანამდებობებზე არის წამოსკუპებული, მაგრამ არ მინდა ამაზე ლაპარაკი.

ბიძინა ივანიშვილი, როცა პოლიტიკაში მოვიდა და ხალხს დაჰპირდა სტაბილურობას, მე მგონი, მე-9 წელიწადი მიდის, ერთი გოჯი მიწა არ დაკარგულა, ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდა, ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება, სოფლები, სადაც არ იყო გზა და ელექტროენერგია, არ იყო გაზი, დღეს გამშვენდა, განათდა, თითქმის ყველა მაღალმთიან სოფელს აქვს ბუნებრივი გაზი. ჯანდაცვის პროგრამები გაიხსენეთ, რამდენი ადამიანი სარგებლობს უფასო სამედიცინო მომსახურებით, შეღავათებით, სახელმწიფო დაზღვევით, კიბოს მკურნალობა დღეს უფასოა. ყოველივე ეს დამსახურებაა სწორედ იმ რეფორმების, რასაც დაჰპირდა ხალხს ბიძინა ივანიშვილი.

პოლიცია ხალხს არ სცემს, არ უდებს ჯიბეში ნარკოტიკს, არ აპატიმრებს უდანაშაულოდ. სასამართლო, რომელიც სააკაშვილის ხუშტურებზე დადიოდა, ასობით და ათასობით უდანაშაულოს ყრიდა საპატიმროებში, სავსე იყო ციხეები, მძიმე წნეხში იყვნენ, ასევე, ათასობით პრობაციონერი, 0,01% იყო გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა, საპროცესო შეთანხმებებში 100 000 და მილიონები ირიცხებოდა გაჭირვებული მოსახლეობის ჯიბეებიდან. ქონებას და ბიზნესს რომ აყაჩაღებდნენ, დღეს ხომ არ არის ეს ამბავი?! ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა ეს.

ამ ქვეყნისთვის აკეთებს ეს კაცი ყველაფერს. თუნდაც დენდროლოგიური პარკი, შავი ზღვის პლაჟა, ქუთაისის უნივერსიტეტი, წყალტუბო, აბასთუმანი, ბორჯომი, რომელი ერთი ჩამოვთვალო? რელიგიური ძეგლების რესტავრაცია, სამების მონასტერი, ცოტა საქმეა ეს?

ავადსახდენებელი სააკაშვილის პერიოდში პოლიციას ტანსაცმელი და ფეხსაცმელი რომ არ ჰქონდა, რომ ჩააცვა და ხელფასებს აძლევდა, ჩვენი ქვეყნისთვის არ აკეთებდა ამას? რატომ ვართ ასე უმადური, არ მესმის.

რაც მოვყევი, ზღვაში წვეთია, რაც ივანიშვილმა საქართველოს გაუკეთა. თუ ახლა განზე გადგა, თავისი მოვალეობა ქვეყნის წინაშე მას უკვე შესრულებული აქვს.

„ქართულ ოცნებაში“ არიან პორტირებულები, რომლებიც მუშაობენ მტრების სასარგებლოდ. წავიდა ბიძინა ივანიშვილი და დატოვა მოედანი — თქვენ გაარკვიეთ, რა გსურთ, რა გინდათ, რომ გააკეთოთო.

— ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლა უნდა. იმსახურებენ ისინი ამას?

— მათ ქართველმა ხალხმა უარი უთხრა 2012 წლიდან მოყოლებული ყველა არჩევნებში. ისინი ველარ დაბრუნდებიან, რადგან ქართველი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა კარგად იცის, ვინ ვინ არის.

თუ მათ საქართველოსთვის სიკეთე უნდათ, მათმა ამომრჩეველმა მისცათ ხმა. 60 დეპუტატი ცოტა არ არის, შესულიყვნენ პარლამენტში და წარმოედგინათ ალტერნატიული ეკონომიკური პროექტები, სოციალური პროექტები, საერთაშორისო ინიციატივები, წამოაყენონ და იბრძოლონ მათი განხორციელებისთვის. შეწყვიტონ ქუჩაში ტერორი, ყვირილი და ბუნტი. დაიღალა ხალხი. ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა ქვეყნის სასიკეთოდ. ეს რაც არის, რაც უნდათ მათ, ყველა ვხვდებით შესანიშნავად.

მე, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, ვთვლი, რომ უნდა შეიცვალოს ძალიან ბევრი კანონი. პირველ რიგში, პარლამენტის წევრი ვერ უნდა გახდეს საქართველოს მოქალაქე, რომელმაც ქართული ენა არ იცის კარგად და მეორე, ნასამართლევებს უნდა აეკრძალოთ არჩევნებში მონაწილეობა. როგორ უნდა გველაპარაკებოდნენ ადამიანების უფლებებზე უგულავა, ბოკერია და სხვები. ეს ხომ წარმოუდგენელი ამბავია. ასევე, ცრუ, დაუდასტურებელი და ცილისმწამებლური ინფორმაციების გავრცელებისთვის უნდა დაისაჯონ მასმედიის წარმომადგენლები და სამაუწყებლო კომპანიები.

— ამ დღეებში ახალი პემიერი გვეყოლება. თქვენი აზრით, შეძლებს ირაკლი ღარიბაშვილი იმ პრობლემების მშვიდობიანად გადაჭრას, რომლის წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა ზოგადად და კონკრეტულად, ოპოზიციის მხრიდან შექმნილ პრობლემებს მოაგვარებს?

— მივესალმები მის დაბრუნებას საქართველოს ხელისუფლებაში. მისი პრემიერობის დროს საქართველომ ბევრ წარმატებას მიაღწია, თუნდაც პირადი ურთიერთობების დონეზე აშშ-ის დღევანდელ პრეზიდენტთან. შს მინისტრობის დროსაც ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა. გარკვეული ხანი თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობდა და ყველამ ვნახეთ, რა გრანდიოზული პროექტები განახორციელა. ოპოზიცია რომ ამბობს, გაუნათლებელი თავდაცვის მინისტრი იყო ირაკლი ღარიბაშვილიო, ერთი ჩამოთვალონ, მათი თავდაცვის მინისტრები რომელი იყვნენ ირაკლი ღარიბაშვილზე მეტად კომპეტენტურები — კეზერაშვილი, ბარამიძე, შაშკინი, ლომაია, მერაბიშვილი თუ ვინ?!

მე, პირადად, დიდი იმედი მაქვს ირაკლი ღარიბაშვილის, რომ გააკეთებს ყველაფერს თავისი პრინციპულობით და ყველას მიუჩენს თავის ადგილს, რა თქმა უნდა, გუნდთან ერთად.

ოპოზიციას რევოლუცია უნდა? — ვერ ეღირსებიან!

ქართულ საზოგადოებაში არიან ადამიანები, ჭკვიანი, გონიერი ხალხი, ისეთები, როგორიცაა თქვენი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა, რომლის ყველა პუბლიკაციას დიდი ყურადღებით ვკითხულობ, არიან სხვებიც, ჩემნაირად მოფიქრალი ბევრი სხვაც არის, ჩვენ არ დავუშვებთ კვლავ არეულობას და დესტაბილიზაციას.

ნაციონალები არიან დამნაშავე კრიმინალები, რომლებიც, ჩემი აზრით, ციხეში უნდა იჯდნენ. ხალხი ბევრს ითმენს და თუ მოთმინების ფიალა აივსო, ხალხი აღარ გაჩერდება.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ვინ არის გიორგი გახარია მოღალატე თუ გმირი?

გახარიას გადადგომა იმდენად მოულოდნელი და გამაოგნებელი იყო, რომ შოკში ჩააგდო მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით კი მისი ფანები, რომელთა რიგებიც, როგორც ირკვევა, საკმაოდ მრავალრიცხოვანია.

როცა ამ გადადგომის საიდუმლოს ამოხსნას ვცდილობთ, პირველ რიგში, იმის გარკვევით უნდა დავიწყოთ, ვის გაუხარდა გახარიას გადადგომა და ვის ეწყინა, ვინ იხეირა მისი გადადგომით და ვინ იზარალა.

გახარიამ თავისი გადადგომით, პირველ რიგში, „ნაცმოძრაობა“ და დანარჩენი ოპოზიცია გაახარა, ხოლო თუ ვინმეს დასწყვიტა გული, ეს მისი და „ქართული ოცნების“ გულშემატკივრები და მხარდამჭერები არიან, რომლებიც ენდობოდნენ, რომლებსაც მისი იმედი ჰქონდათ, მან კი მათ იმედებს ცივი წყალი გადაასხა და ისე წავიდა, ბოდიშიც კი არ მოუხდია და არ უთქვამს: მაპატიეთ, რომ ამ შუა ომში გტოვებთ და ბრძოლის ველიდან გავდივარ, მაგრამ ამის, ამის და ამის გამო იძულებული ვარ, ასე მოვიქცეო.

სულ სხვაა ღალატი, როცა ამ ღალატს შეგნებულად, მიზანმიმართულად გეგმავ და შესაფერის მომენტს ელოდები, ღალატის გეგმა რაც შეიძლება ეფექტურად და შედეგიანად განახორციელო.

ძნელი სათქმელია, ღალატის რომელ კატეგორიას მიეკუთვნება გახარიას გადადგომა — უნებლიე ღალატს თუ მიზანმიმართულ, წინასწარ გააზრებულს.

მთელი უბედურება იმაშია, რომ ამ ორი ვერსიიდან ორივე შეიძლება სიმართლედ ჩათვალო, გააჩნია, რა კუთხით და რა რაკურსით შეხედავ გასაანალიზებელ საკითხს.

არსებობს მესამე ვერსიაც, რომელიც „ნაცმოძრაობას“ ეკუთვნის.

ნაციონალების და ოპოზიციის აზრით, გახარიას ღალატი არც კი გაუვლია გულში. მან იმოქმედა, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე, სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნებამ, რომელმაც კრიზისულ სიტუაციაში, როცა გაჩნდა საფრთხე, რომ სისხლი დაღვრილიყო და ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება დაწყებულიყო, საკუთარი პოლიტიკური კარიერის

ფაქტია, თავისი უეცარი გადადგომით გახარიამ საკმაოდ მძიმე დარტყმა მიაყენა თავის გუნდს — „ქართულ ოცნებას“; სამაგიეროდ, ისეთი მომგებიანი თემა მიაწოდა „ნაცმოძრაობას“ და, ფაქტობრივად, დაშლის პირამდე მისულ ოპოზიციას, რომ ორივე წელში გამართა და ახალი სასიცოცხლო ენერგია შთაბერა.

ვიღაც-ვიღაცების აზრით, რაც გახარიამ გააკეთა, ეს ღალატია და ვინც ასე ფიქრობს, აბსოლუტურად ლეგიტიმური მიზეზი აქვს, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ასეთი დასკვნა გამოიტანოს.

თუმცა ღალატსაც აქვს სხვადასხვა ფორმები და წახნაგები.

ერთია ღალატი, როცა არავის ღალატი არ გინდა, მაგრამ ისეთ წინდაუხედავ ნაბიჯს გადადგამ, რომ შენს საქციელს ღალატად წარმოაჩენს.

მსხვერპლშეწირვით განმუხტა და გააანეიტრალა კრიზისი, რითაც ქვეყანასაც და „ქართულ ოცნებასაც“ დიდი საფრთხე აარიდა თავიდან.

ამ მოსაზრებას თუ სარწმუნოდ მივიჩნევთ, მოღალატე კი არა, გმირი ყოფილა გახარია, რომელმაც ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დატაკებული ქართველების გასაშველებლად თითქმის იგივე გმირობა გაიმეორა, რაც გია აბესაძემ ჩაიდინა თავის დროზე, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ცეცხლი, რომელიც გახარიამ საკუთარი ნებიოთ „წაიკიდა“, არ წვავს და არ კლავს — პირიქით, ამ ცეცხლიდან შეიძლება უფრო გაძლიერებული და ფოლადივით გამოწრთობილი გამოხვიდე.

მოკლედ რომ ვქვათ და ამ ვერსიების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, გიორგი გახარია ან მოღალატეა, ან — გმირი.

თუმცა, ჩვენი აზრით, გახარია არც მოღალატეა და არც — გმირი.

ის არის 20 ივნისს, ეგრეთ წოდებული გავრილოვის ღამის მძიმე შედეგებით დაკომპლექსებული ადამიანი, რომელმაც ვერ გაუძლო ამ ღამის შემდეგ მასზე უწყვეტად განხორციელებულ ფსიქოლოგიურ შეტევას და ახალ სკანდალში გახვევიხ შიშით ბრძოლის ველიდან გაიქცა.

მართლაცდა, არ არის ადვილი ყოველდღე, ყოველი მხრიდან გესმოდეს შენი მისამართით ზიზღით და სიძულვილით წარმოთქმული სიტყვები: სისხლისმსმელი ჯალათი, გახარია — თვალთხარია, გახარია — ახალგაზრდების მტერი, გახარია — მონა, გახარია — ოკუპანტის მოკავშირე და ა. შ.

მით უმეტეს, ძნელია ამის ატანა, როცა ბუნებით სულაც არ ხარ სასტიკი და სისხლისმოყვარე ადამიანი და არავითარი სურვილი არ გაქვს, ვინმეს თვალი გამოსთხარო, ვინმე დაახეიბრო, დაასისხლიანო.

არ იმჩნევდა, თორემ 20 ივნისის შემდეგ გახარია აშკარად შეიცვალა, თითქოს შინაგანად გატყდა და დანებდა, მის სიტყვებს ჩვეული სიმტკიცე და თავდაჯერებულობა მოაკლდა.

მართალია, მან 20 ივნისს მომხდარ ამბებზე მთლიანად თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა, მაგრამ ამ პასუხისმგებლობას თითქოს სიმტკიცე და პრინციპულობა არ უმაგრებდა ზურგს.

მე მგონი, ზუსტად ამან გატეხა მორალურად გიორგი გახარია და მის განცხადებებს, რომ ეს იყო პარლამენტში შეჭრის და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, საყრდენი გამოაცალა.

სამაგიეროდ, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებული და გათავხედებული ოპოზიციური ფრთა და, მათ შორის, 20–21 ივნისის შტურმის უშუალო ხელმძღვანელები, აქეთ გადმოვიდნენ შეტევაზე და „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ძალაუფლების გადამეტებაში და „მშვიდობიანი“ მომიტინგეების წინააღმდეგ რეპრესიული სადამსჯელო ქმედებების განხორციელებაში დაადანაშაულეს.

სხვათა შორის, ოპოზიცია წარმატებით იყენებს მეთოდს „გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო“.

ამ გაღმა შედავებაში მართლაც ბევრი რამ დარჩა ოპოზიციას გამოღმა და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ გამოღმა გადმოძალულ ნადავლში ძვირფასი და ფასდაუდებელი განძი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი გახარიაც აღმოჩნდეს.

დარწმუნებული ვართ, გახარია არ იკადრებს იმას, რაც მისმა ყოფილმა თანაგუნდელებმა იკადრეს, როცა „ქართული ოცნებიდან“ წამოსულები ნიკუტა გვარამიას, ნოდარიკო მელაძეს, ინგა გრიგოლიას კუდის ქიცინით გაუკოტრიალდნენ ფეხებთან, იქიდან კი შალიკოს „ფანჩატურს“ და „ნაცმოძრაობის“ ოფისს მიაშურეს, თუმცა იმაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, ოპოზიცია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ „ქართული ოცნებიდან“ კარის გაჯახუნებით წამოსული პრემიერ-მინისტრი რაღაც ფორმით თავის მხარეს გადმოქაჩოს და პარტნიორად გაიხადოს.

ძნელი სათქმელია, რა მოხდება მომავალში, თუმცა იმ მოცემულობით, რაც დღეს არსებობს, აშკარაა, რომ გიორგი გახარიამ, ნებსით თუ უნებლიეთ, ოპოზიციას ძალიან მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია და მის აქამდე ნაკლებად ლეგიტიმურ და საორჭოფო ღირებულების მოქმედებებს მეტი დამაჯერებლობა და დამატებითი არგუმენტები შესძინა თუნდაც ჩვენი პარტნიორი ქვეყნების და საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.

— თურმე მართალი ყოფილა ოპოზიცია — საქართველოში იმდენად რთული და კრიზისული ვითარებაა, რომ პრემიერ-მინისტრიც კი გადადგა! — მერწმუნეთ, ეს შეფასება არაერთხელ გაიჟღერებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, საერთაშორისო ტრიბუნაზე და ამ საგანგაშო შეფასების გაქარწყლება არ იქნება ადვილი საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისთვის.

როგორც არ უნდა შევალამაზოთ, როგორც არ უნდა შევფუთოთ, ფაქტი ფაქტად რჩება: გიორგი გახარიამ მძიმე დარტყმა მიაყენა „ქართულ ოცნებას“ და იმას იკვე ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რა მოტივით გააკეთა მან ეს.

გიორგი გახარიას დაჟინებით მოუწოდებენ მისი ფანები, სასაწრაფოდ შექმნას პოლიტიკური პარტია და დაუყოვნებლივ დაბრუნდეს ქართულ პოლიტიკაში.

გახარიას, თუ ამის სურვილი ექნება, ცხადია, ვერავინ დაუშლის ვერც პარტიის ჩამოყალიბებას და ვერც ვერც პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვას.

ვფიქრობთ, ქართული პოლიტიკისთვის ზედმიწევნით კარგი იქნება, თუ გიორგი გახარია სერიოზულ პოლიტიკურ ორგანიზაციას შექმნის და იმ ელექტორატის მობილიზებას შეძლებს, რომელიც კარგა ხანია განზე გადგა და ახალი პოლიტიკური ძალის გამოჩენას ელოდება.

გახარიას მიერ პოლიტიკური პარტიის შექმნა და ამ პარტიის მიერ გადადგმული ნაბიჯები მოგვცემს საშუალებას, პასუხი გავცეთ კითხვას, ვინ არის გიორგი გახარია — „ქართული ოცნების“ მტერი და მოღალატე, თუ ქვეყნის მხსნელი და გმირი, რომელმაც სამოქალაქო მშვიდობის შენარჩუნებას თავისი პოლიტიკური კარიერა შესწირა?

დიახ, გიორგი გახარიას ყველანაირი რესურსი აქვს, შექმნას ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაცია, მაგრამ მთავარი პოლიტიკური, გნებავთ, მატერიალური რესურსი კი არ არის, არამედ მთავარი ისაა, აქვს თუ არა მას საკუთარი ქვეყნისადმი სიყვარულის რესურსი, რომელიც საშუალებას არ მისცემს მას, სრულიად ახალგაზრდულ ასაკში პოლიტიკურ პენსიაზე გავიდეს და შორიდან მშვიდად უყუროს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს.

მიმოხილველი

თურქეთი საქართველოს თავის ისტორიულ ტერიტორიად მიიჩნევს?

თურქეთმა საქართველოზე სრული კონტროლი თუ განახორციელა, მას დიდი თურანის იდეის ხორცშესხმაში ვერავინ ვეღარ შეუშლის ხელს

საქართველოში გავრცელებული ე.წ. დიპლომატიური რიტორიკით, მეზობელი თურქეთი, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი და მეგობარი ქვეყანაა, თუმცა, რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენ, ხოლო სახელმწიფოები ყოველთვის იქცევიან საკუთარი ინტერესების შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, მეგობრული ლოიალურობის არც განწყობა აქვთ და არც ინტერესი.

როგორც აღმოჩნდა, თურქულ საინფორმაციო მედიაში, რომელიც ერდოღანის მიერ მკაცრად

კონტროლდება თურქეთის ხელისუფლებისადმი მიტანილი დესტრუქციული შტურმის შემდეგ, რის გამოც, სხვათა შორის, 160 000-ზე მეტი ადამიანი აღმოჩნდა საპატიმროებში და თურქეთში ტოტალური პოლიტიკური კონტროლის არნახული პრეცედენტი შეიქმნა, კვლავ წამიტივტივდა ძველი ნარატივები დიდი თურანის პროპაგანდისა, კერძოდ, 2055 წლისთვის თურქეთის გავლენის ზონების გაფართოების თაობაზე.

„საერთო გაზეთი“ არაერთხელ წერდა აია-სოფიას მეჩეთად გადაქცევის მოსალოდნელ სავალალო შედეგებზე თურქეთისთვის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჯერ არ დამდგარა დრო თურქეთმა იწვნიოს ამ დიდი მკრეხელობის შედეგი. ამიტომ უფრო და უფრო გაბედულად ცდილობს საზღვრების და გავლენების გაფართოებას.

როგორც დავინახეთ, დიდი იყო თურქეთის როლი ახლახან მიმდინარე სომხეთ-აზერბაიჯანის საომარ კონფლიქტში.

ესეც გახლდათ ერთგვარი სიგნალი.

მას შემდეგ თურქული ტელე და ბეჭდური მედიები აქტიურად საუბრობენ თურქეთის გავლენის სფეროების გაფართოებაზე, წარმოადგენენ რუკებს, სადაც თურქულ ტერიტორიად არაბეთიც კი მოიაზრება და დიდი სიამოვნებით აჟღერებენ ინფორმაციებსა და ვარაუდებს, ხან შეფარულად, ხანაც ღიად, თურქეთის გადაქცევაზე ისლამური კულტურის გამაერთიანებელ ცენტრად.

თურქეთის პრემიერ-მინისტრი აჰმედ დავითოღლუ თავის წიგნში „სტრატეგიული სიღრმე“ აღწერს თურქეთის ახალ მიმართულებებსა და კონცეპტუალურ გეგმებს. კერძოდ, პანისლამურ-ნეოოსმანურ იდეას, ანუ მუსლიმების გამაერთიანებლის ისტორიულ მიზანს, ხალიფატს, რომელიც მძლავრობდა მე-11 ს-დან მთელ წინა აზიაში და მეორე, პანთურქიზმის იდეას, რომელიც გულისხმობს შუა აზიისა და კასპიის ზღვების ენერგომატარებლების ხელში ჩაგდებას — არაბეთის, ჩრდილოეთ აფრიკისა და, ამასთან ერთად, ვოლგისპირეთის დაპყრობას, მით უფრო, რომ ამ უკანასკნელში ისლამური სარწმუნოების ხალხებიც ცხოვრობენ. ვოლგისპირეთი დასახლებულია, ნაწილობრივ, ყაზახებით, ბაშკირებით, თათრებით, არ დაგვავიწყდეს ყირიმიც, რომელიც სახანო იყო ადრე.

დავითოღლუ ახსენებს მუსლიმანური სარწმუნოების მქონე ჩრდილო კავკასიელ ხალხსაც და თავის ნაშრომში ამ ტერიტორიასაც თურქული გავლენის სფეროდ მოიაზრებს.

სხვათა შორის, საინტერესო ფაქტია, რომ ინფორმაციებს, რომლებიც ამ თემებთან დაკავშირებით თურქულ მედიაში ვრცელდება, აშშ-ის ექსპერტებიც აქტიურად განიხილავენ, ხოლო თურქულ მედიაში ეს განხილვები და მსჯელობა ვრცელდება, როგორც პოზიტიური მოვლენა.

ამის შესახებ საერთოდ არ ლაპარაკობს და არ აინტერესებს ქართულ საინფორმაციო საშუალებებს, მაშინ, როცა ეს საკითხები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან თუ, როგორც ცნობილია, თურქეთს, იგივე, ჩრდილო კავკასიაზე კონტროლის დამყარება სურს, ეს შეუძლებელი იქნება საქართველოზე კონტროლის გარეშე, რადგან ჩრდილო კავკასიიდან არის შესაძლებელი თურქეთის მისწრაფებების განხორციელება ვოლგისპირეთსა და ცენტრალურ აზიაზე. თურქეთმა საქართველოზე სრული კონტროლი თუ განახორციელა, მას დიდი თურანის იდეის ხორცშესხმაში ვერავინ ვეღარ შეუშლის ხელს, ეს მშვენივრად იცის რუსეთის სახელმწიფომაც...

რაც შეეხება თურქეთის დამოკიდებულებას ცალკე საქართველოს, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოსადმი, გზად ამ დიდი იდეის განხორციელების საქმეში, მათი სტრატეგიით, პირველ რიგის ამოცანაა, საქართველოს ეკონომიკური ექსპანსია, რომელიც უკვე 30 წელიწადია თანმიმდევრულად მიმდინარეობს.

ამას დამატებული ქრისტიანული რელიგიის გავლენების და როლის შესუსტება მეჩეთების მშენებლობის პარალელურად. დღეს საქართველოში უკვე 300-მდე მედრესე და მეჩეთია. მათ შორის, 70 მუსულმანური სალოცავი საკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდშია აშენებული.

თურქეთი, რომელსაც ხელს უწყობს აშშ, ყველანაირი ხერხით ცდილობს, ფინანსურადაც კი, რომ მოხდეს საქართველოში ლიბერალური ტრენდის გაძლიერება-გაფართოება, მოიშალოს ტრადიცია, ოჯახური, ადამიანური ურთიერთობები, საბოლოოდ დაიქცეს და განადგურდეს აქაურობა, მეტი ქართველი გაიხიზნოს ქვეყნიდან, მით უფრო, რომ გაეროც მათთვის სანუგეშო სტატისტიკას აქვეყნებს და აცხადებს, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა ერთი მილიონით შემცირდება.

შეგახსენებთ, რომ 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში 433 784 მუსულმანური სარწმუნოების მოქალაქე ცხოვრობს.

საინტერესოა ისიც, რომ უცხოურ პრესაში ექსპერტების დიდი ნაწილი საქართველოს ევროპის ნაწილად კი არა, ყოველგვარი ლოგიკის დაცვით, ნეოოსმანური იმპერიის ნაწილად მოიაზრებს და ამას აქვს თავისი მიზეზები. პირველ რიგში, ის, რომ ევროპა-ამერიკა ვერ ახერხებს აქ კონტროლის დამყარებას. ირანი და რუსეთი ორი ძლიერი მოთამაშეა რეგიონში და ძნელია მათ მისწვდე ოკეანის გაღმიდან.

ამასობაში, ათასობით თურქი საქართველოს მოქალაქეობას იღებს. ეს ტენდენცია განსაკუთრებით აქტიური იყო 2003–11 წლებში. სააკაშვილმა 2758 თურქს ერთი ხელის დაკვრით საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა.

აჭარაში და არა მხოლოდ აჭარაში, თბილისშიც, დღეს არსებობს თურქული უბნები, თურქეთის მოქალაქეების ბიზნესებმა სრულად დაიპყრო აჭარის ეკონომიკური სივრცე. თურქები ყიდულობენ შენობებს, ოჯარით იღებენ მიწებს. როგორც ცნობილია, თურქეთის სახელმწიფოში მოქმედებს ლიბერალური ეკონომიკური პროგრამები, რომლის მიხედვით, თურქეთის ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც გადაწყვეტს ქვეყნის გარეთ ბიზნესსაქმიანობა აწარმოოს, სახელმწიფო უპროცენტო სუბსიდიებით უზრუნველყოფს. თურქეთის მეზობლად კი ყველაზე ხელსაყრელი ნიადაგი ამ მხრივ მხოლოდ საქართველოა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ძალიან მალე საქართველოში აქტიურად დაიწყო მეჩეთების მშენებლობა, რისთვისაც თანხებს არ იშურებს თურქეთის ხელისუფლება. იხსნება მედრესეები. აჭარის მაღალმთიანეთის ეკონომიურად გაჭირვებული ოჯახებიდან თურქეთში მიჰყავთ ახალგაზრდები და მცირეწლოვანი ბავშვებიც ათი წლიდან. მათთვის გამოყოფილია სპეციალური ინტერნატები, აჭმევენ, აძლევენ ტანსაცმელს, ასწავლიან ყურანს, ზრდიან მოლებად. შემდეგ ეს ახალგაზრდები ბრუნდებიან საქართველოში და ხსნიან სამლოცველო სახლებს თურქეთის სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით. სამლოცველო სახლების მშენებლობა არა მხოლოდ აჭარაში, გურიაშიც ინტენსიურად მიმდინარეობს. გახსოვთ, ალბათ, ორიოდე წლის წინ ლანჩხუთში მიმდინარე პროცესები და ახლახან ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ბუკნარში მომხდარი ინციდენტი. ეს არის, ჩემი აზრით, პირდაპირი მისიონერული პანთურქიზმის გამოხატულება.

საყურადღებოა საქართველოს მდინარეებზე თურქული ინვესტიციებით მიმდინარე ჰესების მშენებლობაც. ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტების განმახორციელებელ კომპანია „ენკა“-ს („ენკა ინშაათ ვე სანაი ანონიმ შირქეთ“, „ენკა რინიუეიბლზ“) უდიდესი კორპორაცია აქვს შექმნილი ჩვენს ქვეყანაში.

დაბოლოს, ჩემი ვარაუდები სიზმრისეულ ილუზიებად რომ არ მოგეჩვენოთ, შეგახსენებთ, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში 130 მილიონი მუსლიმი თურქი ცხოვრობს, რომელთაც, როგორც ჩვენ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდეო“, ისე აქვთ „დიდი თურანის“ ისტორიული ოცნება.

საინტერესოა, რა გზა რჩება საქართველოს, რომელიც დიდი თურანისკენ მიმავალ თურქეთის გზაზე ერთადერთი მართლმადიდებლური სახელმწიფოა საზღვარგარეთ მყოფი სისხლისმიერი და ძლიერი ლობისტური ჯგუფების გარეშე. მოგეხსენებათ, ჩვენს მეზობლებს ჰყავთ ნათესავები საზღვარგარეთ, ჩვენ — არა.

ევროპა-ამერიკის იმედად ყოფნაზე კი ჩვენი საქმე ისეა — „სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძრესო“ და, როგორც საინფორმაციო წყაროები იტყობინებიან და როგორც ლოგიკაც გვკარნახობს, რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებულ თურქეთს გაძლიერებაში ხელს ევროპა-ამერიკა არ შეუშლის, კავკასიაში კი საქართველო ნაფოტივით არის, რომელსაც, როცა უნდათ, მაშინ მოისვრიან კოცონში, ცეცხლის გასაღვივებლად, ან მთლიანად დასაწვავად...

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ამერიკა დაბრუნდა!

„...ამერიკა დაბრუნდა!“ — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მიუნხენის ტრადიციული უსაფრთხოების კონფერენციაზე. საერთაშორისო არენაზე პრეზიდენტის რანგში ბაიდენი პირველად გამოვიდა, ამიტომ მის განცხადებებზე განსაკუთრებული ყურადღება იყო გამახვილებული. მსოფლიოს საზოგადოებას განსაკუთრებულად აინტერესებდა, რომელი გზით გააგრძელებს სვლას აშშ. დონალდ ტრამპის მმართველობის პერიოდში აშშ-ს, შეიძლება ითქვას, საკმაოდ ცივი დამოკიდებულება ჰქონდა ევროკავშირის და მათ შორის, ნატოს წევრ ქვეყნებთან. ტრამპი არც მალავდა, რომ მისთვის მთავარი აშშ-ის ინტერესების წინა პლანზე წამოწევა იყო. ძირითად აქცენტს ტრამპი ქვეყნის ეკონომიკაზე აკეთებდა, ამიტომაც უარს ამბობდა სხვა ქვეყნების შინაურ საქმეებში ჩარევაზე, რაც ნაწილობრივ განახორციელა კიდეც.

მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენცია, დავოსის (შვეიცარია) ტრადიციული ეკონომიკური ფორუმის მსგავსად, დისტანციურ რეჟიმში გაიმართა. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური ფორუმის დისტანციურ რეჟიმში გამართვამ განსაკუთრებულად შვეიცარიის ტურისტული სფერო დააზარალა. დავოსში სასტუმროს მეპატრონეები და ტურისტულ სფეროში დასაქმებულები

შემოსავლის 70%-ს სწორედ ეკონომიკური ფორუმის პერიოდში იღებენ, როდესაც იქ მსოფლიოს უმდიდრესი ბიზნესმენები და პოლიტიკოსები, მათ შორის ბევრი ქვეყნის პირველი პირები სტუმრობენ. როგორ იმოქმედა გერმანიის ეკონომიკაზე დისტანციურად გამართულმა კონფერენციამ, ჯერ უცნობია.

მსოფლიოს ქვეყნებს უკვე ერთი წელია ძირითადი ბრძოლა პანდემიასთან აქვს გაჩაღებული. სწორედ ეს გახლდათ უსაფრთხოების კონფერენციაზე მსჯელობის ძირითადი საკითხი. თუმცა, განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ჯო ბაიდენის გამოსვლა გახლდათ. მისი განცხადებით: „...რუსეთი ცდილობდა ტრანსატლანტიკურ ქვეყნებს შორის უთანხმოების ჩამოგდებას, ნატოს ორგანიზაციის დისკრედიტაციას, რათა თავისი გავლენა გაეძლიერებინა... აშშ ევროატლანტიკურ ქვეყნებთან გააძლიერებს თანამშრომლობას, ევროკავშირთან აღვადგენთ თანამშრომლობას, ევროპის ქვეყნებთან გვექნება მუდმივი კონსულტაციები... წინა წლები იყო ევროკავშირის და ნატოს ურთიერთობის მდგრადობის გამოცდა, რომელიც ჩავაბარე თ. ახლა ამერიკა დაბრუნდა!“

ჯო ბაიდენმა რუსეთი ჰაკერულ შეტევებში და ცალკეული ქვეყნების დაშინებაში დაადანაშაულა. მისივე განცხადებით, დაუშვებელია უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მის წინააღმდეგ ბრძოლა. ჩვენთვის, საქართველოსთვის, საყურადღებო უნდა იყოს, რომ აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა უკრაინაზე, ჩვენ კი, როდესაც იგივე და, შეიძლება ვთქვათ, გაცილებით მეტი პრობლემები გვაქვს, გვერდი აგვიარა.

ჰაკერულ შეტევებთან დაკავშირებით „მაიკროსოფტის“ დამფუძნებელმა ბილ გეიტსმა განაცხადა, რომ უსაფრთხოების დაცვისთვის სამეცნიერო მუშაობა მიმდინარეობს. ჯო ბაიდენმა შედარებით რბილად გააკრიტიკა ჩინეთი, მაგრამ სუსხი აშკარად იგრძნობოდა.

ბრალდებებთან და კრიტიკასთან ერთად, ჯო ბაიდენმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთთან და ჩინეთთან აუცილებელია თანამშრომლობა. მაგალითად, დაასახელა რუსეთთან მიღწეული საშუალო და მცირე რადიუსის მოქმედების რაკეტების შეზღუდვის შეთანხმების განახლება. სხვა რომელ სფეროში და რა სახით ითანამშრომლებს რუსეთთან, არ დაუკონკრეტებია. ჩინეთთან, თავისთავად, ეკონომიკური კავშირი ექნება. ჯო ბაიდენს პოლიტიკურ, კერძოდ, რუსეთთან მიმართებაში დაეთანხმა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი. მისი თქმით: „...კრემლი უტევს ჩვენს — აშშ-ევროკავშირის ურთიერთობას, ამიტომ უნდა შევიმუშავოთ რუსეთთან საბრძოლველად საერთო კონცეფცია“. თითქმის იგივე გაიმეორა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა.

ექსპერტების გაკვირვება გამოიწვია უსაფრთხოიების კონფერენციაზე გაკეთებულმა ცალკეული ქვეყნების ლიდერების განცხადებებმა. მათთვის გაუგებარია, როგორ ითანამშრომლებს ბაიდენი რუსეთთან, როდესაც ქვეყანას მუქარის ენით ესაუბრება. ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით კი გერმანიაა დაინტერესებული რუსეთთან კარგი ურთიერთობით, თანამშრომლობს კიდეც ენერგეტიკულ სფეროში — გაზსადენ „ჩრდილოეთის ნაკადი2“-ის მშენებლობა დასრულების ფაზაშია და საინტერესოა, ამ დროს მერკელი რუსეთის წინააღმდეგ როგორ აპირებს ბრძოლას.

პოლიტოლოგების შეფასებით, საერთაშორისო არენაზე პრეზიდენტის რანგში თავისი პირველი გამოსვლა ჯო ბაიდენმა მსოფლიოს ქვეყნებთან ნდობის აღდგენისთვის გამოიყენა. ხაზგასმით აღნიშნავენ იმას, რომ ბაიდენმა უარი თქვა ტრამპის ფილოსოფიურ გამონათქვამზე — „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“. ბუნდოვანი დარჩა, თუ ვისთან და როგორ ითანამშრომლებს აშშ-ის ახალი პრეზიდენტი თავის ადმინისტრაციასთან ერთად.

პანდემიასთან ბრძოლა მსოფლიოში გრძელდება. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია „დიდი შვიდეულის“ და მდიდარ ქვეყნებს მოუწოდებს, დაეხმარონ მესამე სამყაროს ღარიბ ქვეყნებს. საერთაშორისო ორგანიზაციის განცხადებით, ამ ქვეყნებს ფულზე მეტად ვაქცინა სჭირდებათ. ამიტომ ქვეყნებმა, რომლებსაც ჭარბი რაოდენობით აქვთ ვაქცინა, ის ღარიბ ქვეყნებსაც უნდა გადაუნაწილონ. ანგელა მერკელის განცხადებით, ყველა დემოკრატიული ხელისუფლება უნდა ზრუნავდეს საკუთარ მოქალაქეებზე. „...განვითარებად ქვეყნებს ვაქცინით მას შემდეგ დავეხმარებით, როდესაც სრულიად დავაკმაყოფილებთ ჩვენს ქვეყანას“, — განაცხადა მერკელმა. მედიკოსების მტკიცებით, ვირუსმა მუტაცია განიცადა, გერმანიის ჩრდილოეთ რეგიონში შეიქმნა საგანგაშო ვითარება, სადაც კომენდანტის საათია გამოცხადებული. მერკელის თქმით, დაუშვებელია ვაქცინის პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენება. რა იგულისხმა ფრაუ მერკელმა, უცნობია.

ცნობილი გახდა, რომ „დიდი შვიდეულის“ ქვეყნები ღარიბი ქვეყნებს პანდემიასთან საბრძოლველად 7,5 მილიარდ დოლარს გამოუყოფენ.

გასულ კვირას, მიუნხენის კონფერენციამდე, ჯო ბაიდენი, ასევე პირველად პრეზიდენტის რანგში, ესაუბრა აშშ-ის საზოგადოებას CNN-ის ეთერიდან. ჟურნალისტის თხოვნას, გამოეთქვა აზრი ტრამპის იმპიჩმენტზე, პირდაპირ პასუხს თავი აარიდა. „...ბოლო ოთხი წელი საუბარი, ძირითადად, ტრამპზე იყო, ახლა, მომდევნო წლებში, მსურს, ჩვენს ხალხზე ვისაუბროთ“. კითხვაზე, როგორ შეეგუა თეთრ სახლს, იუმორით უპასუხა: „...დილით ვიღვიძებ, თვალს ვახელ და ჯილის ვეკითხები, სად ვართ“.

ვიდრე ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი მსოფლიოს ლიდერებს ტელეფონით ესაუბრება, რესპუბლიკური პარტიის წევრები მას იმპიჩმენტს უშზადებენ. ბრალდებად შარშან ზაფხულში მოძრაობა „შავების სიცოცხლე მნიშვნელოვანია“-ს აქციებში მონაწილეობას და არეულობების წახალისებას უყენებენ. კონგრესის სპიკერი ნენსი პელოსი ინიციატივით გამოვიდა, შეიქმნას დამოუკიდებელი საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც 6 იანვარს კაპიტოლიუმში შეჭრის მოვლენებს ობიექტურად გამოიძიებს. აშშ-ში უკვე ღიად აკრიტიკებნენ იქაურ პრესას არაობიექტურობის გამო. როგორც ჩანს, აშშ-ში „კუდიანებზე ნადირობა“ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

გასულ კვირას მსოფლიოს ატომური სააგენტოს დელეგაცია ირანში ჩავიდა ოფიციალური ვიზიტით. დელეგაციის წევრებმა დაათვალიერეს ატომური ობიექტები. გაირკვა, რომ მუქარის მიუხედავად, ირანში ურანის გამდიდრების პროცესი ჯერ არ დაუწყიათ. ურანის გამდიდრებაზე ირანული მხარე ატომური შეთანხმებიდან აშშ-ის გასვლის შემდეგ ალაპარაკდა. დელეგაციას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ჯავად ზარიფი მასპინძლობდა. ამერიკული მხარე მიესალმა მოლაპარაკება-შეთანხმების განახლებას. უსაფრთხოების საკითხებში ჯო ბაიდენის თანაშემწის ჯეიმს სალივანის განცხადებით, აუცილებელია პროცესში რუსეთისა და ჩინეთის ჩართვა. სიმართლე ვთქვათ, ირანთან დიალოგის ინიციატორად იმთავითვე სწორედ რუსეთის მხარე გამოდიოდა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თქმით, ევროკავშირთან ურთიერთობა დიდი ხანია გაფუჭებულია, ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ გაწყვიტონ კავშირი. ეს მისი მეორე განცხადებაა ბოლო ორ კვირაში. ექსპერტები შიშობენ, ხომ არ ჩამოეშვება სამყაროში მეორედ „რკინის ფარდა“. სამყაროში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენებიდან გამომდინარე, ყველაფერია მოსალოდნელი. საქართველოში კი უნდა ვიფიქროთ, რათა ქვეყანას შინაური თუ გარეშე საფრთხეები ავაცილოთ.

გია ბურჯული
551 71 27 07

რას აკეთებთ, ქართველებო, ქართველთმოძულე სააკაშვილს და პატიმრების მწამებელ ბოკერიას მიჰყვებით საქართველოს წინააღმდეგ წამოწყებულ ომში?

არაერთხელ მითქვამს და კვლავ გავიმეორებ: მოიშორეთ ხელისუფლებაში შეპარული ერის მოღალატეები და ურწმუნონი.

დღეს ჩვენს თვალწინ საშინელებები ხდება.

დააკვირდით, კვლავ ის ძალები, რომლებმაც სახელმწიფო გადატრიალებით 2003 წელს ხელში აიღეს ქვეყნის მმართველობის სადავეები და მას შემდეგ ძალისმიერი მეთოდებით მართავდნენ ქვეყანას, დღესაც იგივეს ჩადიან.

ოპოზიციაში არიან და ხალხს ისევ ატერორებენ, მოსვენებას არ აძლევენ მოსახლეობას, რომ ნორმალურად იცხოვროს ხალხმა და არ ვიყოთ მუდმივ დაძაბულობაში, ომის და გადატრიალების მოლოდინში.

ეს ე.წ. ოპოზიცია, რომელთა სახელებს უკავშირდება არაერთი სისხლიანი დარბევა, პროტესტს გამოხატავენ 23 თებერვლის ოპერაციაზე და თავხედი ნიკანორ მელიას დაკავებაზე.

ყველამ დავინახეთ, ოპერაცია ჩატარდა ყოველგვარი კანონის დაცვით და რაც მთავარია, არავინ დაშავებულა.

ამ საქართველოს მოღალატეებს შევახსენებ 2004 წლის 12 მარტს — ჩვენი ეკლესიის ბარბაროსულ დარბევას: ჩვენს წინააღმდეგ მობილიზებული იყო 3000-მდე სპეცრაზმელი, სამხედრო ნაწილები, ე.წ. მე-8 პოლკი, ეკლესიას მოადგნენ დილის 6 საათზე და იერიში მოიტანეს ეკლესიაზე, სამხიდიანი „ტრაილერით“ შემოანგრიეს ეკლესიის კარი. სპეცრაზმელებს მოჰყვებოდნენ: გია ბარამიძე, ზურაბ ადეიშვილი, გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, ვანო მერაბიშვილი და სხვა მაღალჩინოსნები. ამას იმიტომ აღვნიშნავ, რომ თვალსაჩინოდ თუ არ ვიცი, რისთვის, ხელისუფლების მაშინდელი მაღალჩინოსნები, სპეცოპერაციას ადგილზე აკვირდებოდნენ. მე და მრევლის დიდი ნაწილი ცემით და შეურაცხმყოფელი სიტყვებით ეკლესიიდან გამოგვათრიეს, სცემდნენ ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს, სისხლით იყო მორწყული ეკლესიის ტერიტორია.

10 ადამიანი დაგვაპატიმრეს მაშინ.

ციხეში არნახული ზეწოლა იყო ჩვენზე. ჩემი ციხიდან ცოცხლად გამოშვება არ უნდოდათ, რის გამოც რამდენიმეჯერ მომწამლეს. თვითონ გიგა ბოკერიას ვადებ ხელს, მან შემომიგზავნა ციხეში მკვლელი, რომელმაც მომწამლა. ხუთი წელიწადი გისოსებში გამოკეტილი მამყოფეს. იქ დავკარგე ჯანმრთელობა და ენერგია.

მე ამ ავაზაკებმა და ურწმუნოებმა ეკლესიების შენებისთვის და სარწმუნოების ერთგულებისთვის დამსაჯეს, ხოლო დღემდე გულში ჰყავთ ჩახუტებული ეკლესიაში ჩაბუდებული უღირსი მამები. ყველამ ვიცით მათი სახელები და გვარები...

ჩვენი უმოწყალო დარბევისას სულ რამდენიმე მედიასაშუალებამ გაბედა მოსვლა, მათ შორის იყო „საერთო გაზეთის“ რედაქტორი, ვახტანგ ხარჩილავა და „ასავალ-დასავალის“ რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი.

ამ ჯალათების ლიდერი მიხეილ სააკაშვილი ამერიკიდან პირდაპირ ჯორჯ სოროსთან ერთად აძლევდა დამბრძანებლებს დირექტივებს.

მათ, რომლებიც დღეს „ნაცმოძრაობის“ სახით ჯალათ სააკაშვილის გზას გაჰყურებენ, მინდა ვკითხო: ვის იცავთ? მას, ვინც გაასხვისა სრულიად საქართველო თავისი ბუნებრივი რესურსებით, სტრატეგიული ობიექტებით, დათმო კოდორის ხეობა, ცხინვალის რეგიონი — ახალგორი 120-ზე მეტი სოფლით, გაყიდა ჩვენი წმინდა გარეჯი, რომლის ტერიტორია 6 000 ბერის სისხლით არის გაპოხიერებული?

ვინც ამის გამკეთებლებს მხარს უჭერთ, გონს მოეგეთ, უგუნურნო, ვერ აცნობიერებთ, საითკენ მიგაქანებენ.

თქვენს აზრებს და გრძნობებს მართავს ქართველთმოძულე სააკაშვილი, რომელიც კვლავ ცდილობს სახელმწიფო გადატრიალების მოხდენას, ქვეყნის დაქცევას, ქართველების დილეგებში ჩასმას, ტანჯვა-წამებას, დახოცვას.

მოძალადე და ბიუჯეტის ქურდი გიგი უგულავამ ამასწინათ გაიხსენა ბიბლიის სიტყვები: „ესენი ეტლებითა და ჰუნებითა, ხოლო ჩვენ უფლის სახელითო“. რომელ უფალზე ლაპარაკობს ეს უღმერთო, ესენი მთელი მათი მმართველობის პერიოდში ებრძოდნენ ეკლესიას, ყოველგვარ ქრისტიანულს. ამ კრიმინალების დაჯგუფებისთვის, რომელიც სექტას უფრო გავს, ღვთიური ძალიან უცხოა.

უგულავა, 7 ნოემბრის დარბევის თანამონაწილე ბურჯანაძე, რომელმაც შეაქო სპეცრაზმელები, აფრასიძეების ამომწყვეტი ბარამიძე, ციხეში დამწყვდეული პატიმრების ამომწყვეტი ბოკერია, ესენი არიან მელიას სახე.

ვლოცავ ირაკლი ღარიბაშვილს — ღმერთმა ხელი მოუმართოს კანონის აღსრულებაში.

ყოველი მოქალაქე უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს კანონს.

გლდანის ივერიის
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი
ბასილი მკალავიშვილი

შამბალა

უკვდავი იოგების სავანე, რომელსაც უხილავი მცველები იცავენ

შამბალას ყველაზე ხშირად ჰიმალაიასთან აკავშირებენ. დედამიწის ყველაზე მაღალი მთათა სისტემა მართლაც ზეციური კარიბჭეა, რადგან მნახველთა და მკვლევართა აზრით, აქ არის კონცენტრირებული ზეენერგიები პარალელური სამყაროებიდან. აღმოსავლური გადმოცემების მიხედვით, ჰიმალაის თოვლიან მთებში არსებობს მისტიკური, უხილავი სინათლის იერარქია. მას ემორჩილება დიადი თეთრი საძმო. (ამის შესახებ ჰესიოდეც კი წერდა). ის კაცობრიობის ისტორიის დაბადებიდან არსებობდა და მისი შექმნა არამიწიერ, უზენაეს ცივილიზაციას მიეწერება, რომლის მისია კაცობრიობის ევოლუციის დახმარება და პლანეტის ენერგეტიკული დაცვაა. ამ იერარქიის შესაძლებლობები საგრძნობლად აღემატება ადამიანთა შესაძლებლობებს.დროთა განმავლობაში მათ გარშემო გაერთიანდა პლანეტის საუკეთესო წარმომადგენლობა, რომლებიც დიდ სულთა, მაჰათმათა დახმარებით ეზიარნენ უზენაესი ცოდნის საიდუმლოებებს. მათ სულიერი განვითარებით ბევრად გაუსწრეს თანამედროვეებს და თავისი სიცოცხლე მიუძღვნეს კაცობრიობის მსახურებას, არა მხოლოდ რელიგიის, არამედ მეცნიერების, ხელოვნების სფეროებშიც. იერარქიის წევრები, განსხვულდებიან რა ჩვეულებრივ ადამიანთა გარემოში სხვადასხვა ერების წარმომადგენლებად, ეწევიან საზოგადო, მეცნიერულ თუ სულიერ მოღვაწეობას და ამ გზით ხელს უწყობენ ჩვენი ცივილიზაციის განვითარებასა და პროგრესს. ამიტომ დიადი თეთრი საძმო თავს კაცობრიობის მასწავლებლებს უწოდებს. მათ დროშაზე სამი თვალია. მათი სიმბოლო თეთრი სპილოა. მათ პლანეტად ურანი ითვლება. მათ აქვთ უხილავი კუნძული წყნარ ოკეანეში და ჩრდილოეთის სავანე ჩრდილოეთ პოლუსზე. საძმო ფლობს არაერთ აშრამს პლანეტაზე, ღვთაებათა სავანეებად წოდებული ასეთი ენერგეტიკული ცენტრები, როგორც კაცობრიობის ისტორია გვიჩვენებს, არსებობდა სამხრეთ ამერიკაში, ჩრდილოეთ ევროპაში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, კავკასიაში, ალტაიში. მაგრამ მთავარი ჰიმალაიშია. შესაძლებელია ეს ადგილები გამქრალი ცივილიზაციების გადარჩენილი წარმომადგენლების — ატლანტიდელების თავშესაფარადაც იქცა. შამბალას შესახებ ცნობები შუა საუკუნეებიდან არსებობს. მას შემდეგ არ განელებულა წამყვანი ქვეყნების მთავრობათა ინტერესი, რომლებიც არაერთხელ შეეცადნენ ამ მისტიკური ადგილის პოვნას და მისი ენერგიების პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენებას. მეოცე საუკუნეში ჰიტლერი დაინტერესდა ამ თემატიკით და სპეციალური საიდუმლო ორგანიზაციაც კი შექმნა, რომელიც ტიბეტში გაემგზავრა, მაგრამ მათი ადგილსამყოფელი ვერც ერთმა ექსპედიციამ ვერ აღმოაჩინა, რადგან მათ ვერავინ პოულობს, თუ არ არის ხმობილი. იქ, სადაც ფიზიკური და არაფიზიკური სამყაროები შერწყმულია, უნებართვოდ მიახლოებულებს ელვა და ჭექა-ქუხილი ატყდება თავს. მათი ნამდვილი ადგილის შესახებ მხოლოდ რამდენიმე ლამამ იცის.მთელი მსოფლიოდან მიისწრაფიან პილიგრიმები ტიბეტისაკენ. იქ, სადაც შეუძლებელი არაფერია და ყველაზე მეტად იგრძნობა მისტიკურ ძალებთან სიახლოვე. ჰიმალაის მაღალ მთებში ბევრს ეწყება ხილვები, ზოგი კი საერთოდ უჩინარდება. არსებობს მკვლევართა და მხილველთა ჩანაწერები, რომელთა აღწერითაც საძმოს კოშკებიდან ჩრდილოეთის ციალივით ანათებს ცისფერი ცეცხლი. ამ ტერიტორიებზე ალპური მცენარეები და მინერალები სასწაულმოქმედია. რჩეულმა ადამიანებმა, რომლებმაც მოინახულეს საიდუმლო საძმოს სამყოფელი, აღწერეს, რომ მათ კოშკებში არის ბიბლიოთეკები, ლაბორატორიები, საცავები, ტაძრები. ასევე მრავალი კატაკომბი და მღვიმე. ამ საძმოს შესახებ პურანებში წერია, რომ ესაა სავანე უკვდავი იოგებისა, რომლებსაც უხილავი მცველები იცავენ. ციკლების ცვლის დროს ისინი გამოდიან კაცობრიობის წინაშე და რჩეულ ადამიანებს სათანამშრომლოდ იწვევენ. სავანის მკვიდრნი ნისლებით არიან დაფარულნი, შეუძლიათ ჰაერში ამაღლება და სტიქიების მართვა, გაუჩინარება. ისინი მზის სხივებიდან იღებენ ენერგიებს. მათი ენერგეტიკული ორეული ხშირად ეცხადება ადამიანებს. მათ შეუძლიათ ნათელხილვა დედამიწის ყველა ბინადრისა და მოვლენისა. მათთვის დრო და სივრცე არ წარმოადგენს დაბრკოლებას. ისინი თავს კარგად გრძნობენ მატერიალურ სხეულებში და მზის გულშიც. ისინი არიან მდუმარე მცველნი პლანეტისა, მუდამ რომ ფხიზლობენ. ეს საოცრებათა ქვეყანაა, ცოცხალი ცეცხლის სავანე, სადაც არ არსებობს სიბერე და სიკვდილი. ხმობილები იქ მოხვედრისას ეუფლებიან ზებუნებრივ ენერგიებსა და ძალაუფლებას საკუთარ სხეულზე. მათზე აღარ მოქმედებს ასაკი, სიცივე, შიმშილი და ძილის მოთხოვნილება. ტიბეტში იციან, რომ "შამბალა" ბედნიერების წყალს ნიშნავს და როგორც ამბობენ, აქ ჩიტების გალობაც კი წმინდაა. შამბალა ადრე ფიზიკურ ოქტავაში არსებობდა და ექვს რეგიონს მოიცავდა ციმბირიდან ინდოეთამდე. შემდეგ კი ეთერულ დონეზე გადავიდა. ზოგი ფიქრობს, რომ ეს ბიბლიური ედემია, აღმოსავლეთის ყველაზე მაღალი ადგილი, სადაც დარგულია სიცოცხლის ხე და მოედინება სიცოცხლის წყარო, სადაც ქვესკნელი და ზესკნელი უკავშირდება ერთმანეთს. ვატიკანის არქივებში მოიპოვება ცნობები, რომ კათოლიკე მისიონერები სტუმრობდნენ ჰიმალაის მთის ბრძენ არსებებს, რომელთაც ჰქონდათ ხილული სხეული, მსგავსი კრისტალიზებული მატერიისა. ისინი პარალელურად ორ სამყაროში ცხოვრობდნენ. მათი დანახვა მხოლოდ სუფთა გულის და ნათელხილვის უნარის მქონეებს შეეძლოთ. შუასაუკუნეების ევროპული თქმულებების მიხედვით. პრესვიტერის ჯადოსნური სამეფო იყო მაღალ მთაზე, სადაც მიწა და ცა ერთდებოდა. მისი მკვიდრნი ანგელოზებს ჰგავდნენ, რომლებიც ქრისტიანობის დამცველ უხილავ ძალებს წარმოადგენდნენ. სამეფოში ინახებოდა ჭეშმარიტების ელექსირი, ქვა, რომელიც ხილულს უხილავად ქმნიდა და მაგიური სარკე, რომელშიც მომავალი ჩანდა. თავად იოანე ხუცესი კი ფლობდა ზურმუხტის ჯადოსნურ სკიპტრას. სამეფოში ცხოვრობდნენ მფრინავი დრაკონები. აქ იყო შადრევანი, რომელიც კურნავდა და აახალგაზრდავებდა. როგორც ეზოთერული წყაროებიდანაა ცნობილი, შამბალადან პლანეტაზე ვრცელდება კოსმიური ცოდნა. ზეადამიანები დროდადრო გამოდიან სიჩუმის სამეფოდან და თავიანთ სწავლებებს ავრცელებენ. კაცობრიობის თეოსოფიური, მისტიკური და რელიგიური საძმოები და ორგანიზაციები, წარსულშიც და ახლაც, ამ ცოდნას ფლობენ და მათი მფარველობით სარგებლობენ. მე 19 საუკუნეში ამ კოსმიური ყოფიერების საფუძვლებს თეოსოფიურ მოძღვრებაში მოუყარა თავი ელენე ბლავაცკაიამ. მან მატერიალიზმის მარწუხებში მოქცეული დასავლეთისათვის გახსნა სულიერების ახალი სარკმელი და აღმოსავლურ ცოდნას აზიარა იგი. ბლავაცკაიას შემდეგ კოსმიური ცოდნის გავრცელება გააგრძელეს ელენე და ნიკოლოზ რერიხებმა. ცნობილი მეცნიერი და მხატვარი მეუღლესთან ერთად დროებით ცხოვრობდა ინდოეთში. მათ ორი ექსპედიცია მოაწყვეს ჰიმალაისა და ტიბეტში, გაეცვნენ ლამაიზმს, შეხვდნენ ჰიმალაის მაჰათმებს. ელენე რერიხმა ჩაიწერა ზეციური კარნახი, ცოცხალი ეთიკა, რომელსაც "აგნი იოგა" უწოდა. "ცეცხლის იოგა" არის გზა სულიერ სამყაროში დასაბრუნებლად, სულისა და სხეულის გასაერთიანებლად, უმაღლესი კოსმიური ენერგიების მოსაზიდად. ეს არის მოძღვრება ადამიანის გამოუყენებელ, შინაგან რესურსებზე, მის ფარულ ენერგიებზე. ეს არის სახელმძღვანელო ცხოვრებიდან გაუსვლელად, მაგიისა და რიტუალების გარეშე, უმაღლეს სამყაროსთან ცოცხალი კავშირისა. ეს არის მომავალი კოსმოსური ეპოქის მოსამზადებელი პროგრამა, უახლეს აღთქმად წოდებული. ბლავაცკაიას შეხედულებებისაგან განსხვავებით, ელენე რერიხის ნაშრომი უფრო ახლოსაა ქრისტიანულ ცნობიერებასთან. ის, ისევე, როგორც ბლავაცკაიას "საიდუმლო დოქტრინა" ჩაწერილ იქნა ამაღლებული მეუფე ელ მორიას კარნახით, რომელიც არის სინათლის დიადი საძმოს წარმომადგენელი. „აგნი იოგას" სწავლებას აგრძელებს მისტიკური ტრაქტატი "კალაჩაკრა ტანტრა" და "დაუბნელებელი სინათლე" (დროის ბორბალი). ესაა ცოდნა სამყაროს საიდუმლო ცხოვრებასა და მის უხილავ ენერგიებზე.

რერიხების შემდეგ სინათლის იერარქიები სხვადასხვა შუამავლების საშუალებით ავრცელებენ სულიერ მოძღვრებას, რომელიც ღმერთის, სამყაროს, ადამიანის, წარსულის ცოდნის ახლებურ გაგებასა და მომავლის წინასწარმეტყველებას შეიცავს. გასულ საუკუნეში აშშ-ში ასეთი შუამავლები იყვნენ ელიზაბეტ და მარკ პროფეტები. მათი ჩანაწერების მიხედვით, საჭიროა ღვთის სულის აღმოჩენა, ანგელოზის დანახვა საკუთარ თავში. ახალ რეალობაში შესასვლელად საჭიროა წარსულის ბლოკებისა და ჩვევა-წარმოდგენებისაგან განთავისუფლება, დნმ-ის ათი სპირალის გააქტიურება, მიძინებული კოდების გაღვიძება, საკუთარ უჯრედოვან სტრუქტურებთან დიალოგი, ინ-იან ენერგიების დაბალანსება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იისფერი სხივის ენერგიების მოზიდვა, რომელიც ახდენს ნებისმიერი მოვლენის ტრანსფორმაციას. ეს ყველაფერი უბრალო ადამიანებს კოსმიურ არსებებად გარდაქმნის, გამოიწვევს პლანეტარული მატერიის საზღვრებიდან გასვლას და ახალი ცნობიერების დაბადებას, ასევე კვანტურ ნახტომს, რომელიც ევოლუციის ახალ სპირალზე გაიყვანს კაცობრიობას და შეცვლის მომავლის სცენარს.

ოცდამეერთე საუკუნიდან „ჩენელინგები" საგრძნობლად გახშირდა. შუამავალთა რიცხვი, რომლებიც ეთერული ოქტავიდან ისმენენ ზეციურ კარნახს, მრავლრიცხოვანია. გზავნილები მედიტაციების დროს ვლინდება პლანეტის სხვადასხვა კუთხეებში. ის ახალი მოტივაციებია მათთვის, ვისაც სულიერი სამყაროს რწმენა და ცხოვრების გარდაქმნის სურვილი აქვს დაკარგული. გზავნილები შეიცავს ფართო ცოდნას ასტრონომიის, მედიცინის, ეკოლოგიის შესახებ. გზავნილების მიხედვით, ზეციური იერარქია შედგება პლანეტარული ლოგოსის, პლანეტარული სულების, ელოჰიმების, მთავარანგელოზების, ამაღლებული მეუფეებისა და მასწავლებლების, ჩოხანების, კარმული მმართველების, სტიქიის მმართველებისაგან. ისინი პლანეტის შვიდი მთავარი ენერგეტიკული ცენტრის ეთერულ ოქტავაში ბინადრობენ. მათთან ხვდება ყველა რელიგიის წარმომადგენელი, ამაღლებული სული, რომლებმაც სინათლის შორეულ სამყაროზე თქვეს უარი და საკუთარი კარმის ამოწურვის შემდეგ, კაცობრიობის დასახმარებლად გადაწყვიტეს დარჩენა, როგორც ბოდჰისატვებმა. პერიოდულად ისინი განსხეულდებიან, იბადებიან და კაცობრიობას დიდ მასწავლებლებად ევლინებიან. თითოეული სპეციალურ სფეროს განაგებს დედამიწაზე. ისინი ემორჩილებიან პლანეტარულ ლოგოსს, შვიდ კოსმიურ სხივს და შემდეგ — მზიურ იერარქიას, რომელსაც კოსმიური ქრისტე და სამება წარმოადგენს. მათი წმინდა ენერგიები მართავენ პლანეტას, მათი სახელების ხსენებაც კი იწვევს ცვლილებებს კოსმოსში. მოხმობისა და საკუთარი ენერგიების სიხშირის ამაღლების გარეშე მათ ვერავინ მიაწვდენს ხმას. პერიოდულად ისინი შორეულ ანტიმატერიალურ სამყაროებში გადადიან, მათ ადგილს კი ამაღლებულ ადამიანთა ახალი სულები იკავებენ. ზეციური იერარქიის წევრები არიან წმინდა ცეცხლის ქურუმები, პლანეტის ენერგეტიკული მმართველები. ისინი ჯერ კიდევ ლემურიის დროს მოვიდნენ ჩვენს პლანეტაზე, რათა იმპულსი მიეცათ კაცობრიობის განვითარებისათვის. ისინი ადამიანთა ევოლუციას წარმართავენ, თუმცა თავად არიან ევოლუციის შედეგნი. ისინი ქრისტეს ცნობიერებას 7 კოსმიურ ასპექტში ავლენენ და ამ ასპექტებს განაგებენ. მათი 7 ენერგეტიკული სხივის საშუალებით ხორციელდება პლანეტისა და ადამიანთა ყოფიერების სხვადასხვა მიმართულებების მართვა. თეოსოფოსთა აზრით, ამ იერარქიაზეა საუბარი იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებაშიც, რომელშიც ნახსენებია ტახტზე მჯდომი ძველი დღეთა, მის წინ შვიდი სული, შვიდი ლამპარი, ოთხი არსება, რომელთაც საიდუმლო ბორბალი უპყრიათ, 24 უხუცესი, შვიდი ანგელოზი და ასე შემდეგ. შესაძლებელია ამ იერარქიაზე საუბრობდა დიონისე არეოპაგელიც, რომელმაც ზეციური იერარქიის მხოლოდ ნაწილი გააცნო ქრისტიანულ სამყაროს და აღნიშნა, რომ არსებობენ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი სულიერი მეუფეებიც.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

როგორ ისწრაფვოდა საბჭოთა კავშირი ნატოსკენ

67 წლის წინათ საბჭოთა კავშირმა ნატოში გაწევრიანება ითხოვა. დასავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა მას უარი უთხრეს, რადგან ჩათვალეს, რომ მოსკოვს ამ სამხედრო გაერთიანების წევრობა მხოლოდ იმიტომ, უნდოდა, რომ ალიანსი შიგნიდან დაეშალა. პასუხად საბჭოთა კავშირმა ალიანსი პროექტის მიერ გაცხადებული მიზნების შეუსრულებლობაში დაადანაშაულა და საკუთარი ბლოკი შექმნა, რომელშიც მის გარდა ევროპის 8 სოციალისტური ქვეყანა გაერთიანდა.

1954 წლის 31 მარტს საბჭოთა კავშირმა ბოლოჯერ სცადა ნატოში შესვლა.

ალიანსში შესვლის თხოვნით ოფიციალური ნოტა მიმართული იყო ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოების მთავრობებისადმი. გზავნილში მოხსენიებული იყო, რომ სწორედ

სამხედრო ბლოკების ფორმირება უძღვოდა წინ ორივე მსოფლიო ომს.

საბჭოთა კავშირის თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოსკოვის აზრით, დასავლეთის სახელმწიფოები პროექტის მშვიდობიანი მიზნების დემონსტრირებას მოახდენდნენ და არა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს, რაშიც ნატოს არცთუ უსაფუძვლოდ ადანაშაულებდნენ.

დასავლეთმა კატეგორიულად უარყო საბჭოთა ინიციატივა. თუმცა კრემლში სულაც არ ჰქონდათ იმის იმედი, რომ მოახერხებდნენ თავიანთი იდეოლოგიური ოპონენტების კლუბში შესვლას, რომელთან კონფრონტაციაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელ მსოფლიოში — გერმანიიდან დაწყებული კორეით დამთავრებული — უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

მდგომარეობა უფრო გართულდა 1946 წელს ფულტონში უინსტონ ჩერჩილის გამოსვლის შემდეგ, საიდანაც სტარტი აიღო ცივმა ომმა. ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამერიკელებმა, ბრიტანელებმა და ფრანგებმა ანტიჰიტლერულ კოალიციაში თავიანთ ყოფილ მოკავშირეში ახლა უკვე მტერი დაინახეს.

საბჭოთა დიპლომატიამ, რომელსაც სათავეში ვიაჩესლავ მოლოტოვი ედგა, ეშმაკური კომბინაცია გაითამაშა, რომლის ნებისმიერი დასასრული საბჭოთა კავშირისთვის სარგებლიანი იყო.

დადებითი პასუხის შემთხვევაში საბჭოთა კავშირი არა მხოლოდ ერთ მხარეს აღმოჩნდებოდა თავის მოწინააღმდეგეებთან, არამედ საშუალება უჩნდებოდა, ნატოს ჭეშმარიტი მისწრაფებების შესახებ შიგნიდან შეეტყო. ხოლო თუ დასავლეთი უარს ეტყოდა მოსკოვს თავის გუნდში მიღებაზე, მას შეეძლო განეცხადებინა პროვოცირებული იზოლაციის შესახებ და საკუთარი სამხედრო ორგანიზაციის შექმნის საბაბი მოეპოვებინა.

ნატოში შესვლის შესახებ განაცხადის შეტანისას ახალი საბჭოთა მთავრობა იმედოვნებდა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა სტალინის გარდაცვალების შემდეგ შერბილდებოდა. თუმცა თავად ბელადი ცდილობდა, ეჩვენებინა, რომ თუ ნამდვილად არ უნდოდა დასავლეთთან დამეგობრება, როგორც მინიმუმ, ამის სურვილი მაინც გა-

მოეხატა. ჯერ კიდევ 1949 წლის დასაწყისში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრეი ვიშინსკიმ ბრიტანეთის კომპარტიის შუამდგომლობით ლონდონში ბარათი გაგზავნა წინადადებით, განეხილათ საკითხი მოსკოვის ნატოს წინამორბედ ორგანიზაციაში — დასავლეთევროპულ კავშირში მონაწილეობის შესახებ.

მომდევნო ჯერზე საბჭოთა კავშირის წევრობის თემა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში დღის წესრიგში 1952 წელს დადგა, როცა პირველად დაიწყო ბლოკის გაფართოება — თურქეთის ნატოში შესვლის შემდეგ ნატო საბჭოთა კავშირის სამხრეთის საზღვრებს მიუახლოვდა.

საფრანგეთის ელჩთან ჟოკსთან შეხვედრისას სტალინმა შეიტყო,

რომ მისი ქვეყნის პრეზიდენტი ალიანსს, როგორც მშვიდობიან ორგანიზაციას, ისე უყურებს და ვიშინსკის ირონიულად ჰკითხა: „ჩვენც ხომ არ შევსულიყავით ნატოში?“

საბჭოთა კავშირი ყოველნაირად ცდილობდა, მიეღო ნატოს წევრი ქვეყნებისგან იმის დაპირება, რომ ისინი სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში არ ჩაერეოდნენ.

ნატოში შესვლის ერთ-ერთი მხარდამჭერი 1954 წელს საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსპერტი ანდრეი გრომიკო გახლდათ. მისი აქტიური მონაწილეობით შემუშავდა საბჭოთა პროექტი საერთოევროპული ხელშეკრულებისა კოლექტიური უშიშროების შესახებ — საბჭოთა კავშირი სთავაზობდა, ეს დოკუმენტი ნატოში შესვლის საკითხთან ერთად ყოფილიყო განხილული.

19 მარტს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმში გაიგზავნა ბარათი, რომელშიც ნათქვამი იყო: „საგარეო საქმეთა სამინისტრო მიზანშეწონილად თვლის, შეუერთდეს ჩრდილოატლანტიკურ ბლოკს.

ამგვარი განცხადება ჩრდილოატლანტიკური ბლოკის ორგანიზატორებს მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, რომლებიც ხაზს უსვამენ, რომ ალიანსს თავდაცვითი ხასიათი აქვს და თითქოს ის სულაც არ არის მიმართული საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ“.

იმავდროულად, საბჭოთა კავშირთან ერთად ნატოში შესვლის განცხადებები შეიტანეს უკრაინისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკებმა. როგორც გაეროში შესვლისას, 1945 წელს, როცა საჭირო იყო საკუთარი გავლენების გაძლიერება, მოსკოვი ახლაც ცდილობდა, დაერწმუნებინა მსოფლიო ამ რესპუბლიკების დამოუკიდებელ სტატუსში, რომლებიც თითქოსდა ნებაყოფლობით იყვნენ გაერთიანებული საბჭოთა კავშირში.

დასავლეთის წამყვანი ქვეყნების მთავრობებმა მოსკოვს არ დაუჯერეს, რადგან შესანიშნავად იცოდნენ საბჭოთა წინადადებების პოპულისტური ბუნების შესახებ. ალიანსის ქვეყნების უმრავლესობა თვლიდა, რომ საბჭოთა კავშირის მიზანი ევროპიდან აშშ-ის გაძევება და ნატოს შიგნიდან დაშლა იყო. ორივე საკითხთან დაკავშირებით დისკუსია რომ დაეწყოთ, საბჭოთა კავშირს გერმანიიდან და ავსტრიიდან გასვლა, შორეულ აღმოსავლეთის სამხედრო ბაზაზე უარის თქმა და განიარაღებაზე ხელშეკრულების დადება შესთავაზეს.

ღირს კი იმაზე ლაპარაკი, რომ ამ პირობებს არავინ შეასრულებდა და ამის შესახებ დასავლეთში შესანიშნავად იცოდნენ.

საბჭოთა კავშირის მთავრობა ნატოში შესვლაზე უარის გამო საჩვენებლად განაწყენდა. ოფიციალურ განცხადებაში გამოთქმული იყო წუხილი ვაშინგტონის, ლონდონისა და პარიზის პოზიციის გამო, რომლებიც სიტყვიერად „აცხადებენ რომ საერთაშორისო ურთიერთობებში განიარაღებას უჭერენ მხარს“, საქმით კი „სულ სხვა რამეს“ ვხედავთ...

1955 წელს ნატოს წევრი გახდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რამაც საბოლოოდ გაფანტა ილუზიები სამხედრო ბლოკის მშვიდობიანი მიმართულების შესახებ.

იმავე წელს ვარშავაში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროპის სოციალისტური ქვეყნების ახალი სამხედრო კავშირის შექმნის შესახებ. საბჭოთა კავშირის გარდა მასში შევიდნენ ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია.

1961 წელს კი შეიქმნა კიდევ ერთი ახალი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებდა დაახლოებით 120 ქვეყანას, რომლებსაც არ უნდოდათ არც ნატოს და არც ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობა. ამ ქვეყნებს შორის, რომლებიც უარს აცხადებდნენ არსებულ გაერთიანებებში შესვლაზე, ლიდერის როლს თამაშობდნენ სოციალისტური იუგოსლავია, ინდოეთი და ეგვიპტე.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი
ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74
გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

http://www.saertogazeti.ge